საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№45 (563)
9 – 15 დეკემბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ჯამლეტ ხუხაშვილის მადლით გზაგაკვლეული
22

## უნდა ჩატარდეს თუ არა რიგგარეშე არჩევნები?



2

## სხვა პლანეტაზე ხომ არ ცხოვრობთ მანდ, ზემოთ?
3



ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონ ერთ თვეს მაინც თუ იცხოვრებენ საარსებო მინიმუმის თანხის თუნდაც ხუთმაგი ოდენობით?

## ერს თურმე ის აინტერესებს, დაიშლება თუ არა «გირჩი»


4

ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება

## უქმური სიზმრის დასასრული
6-7






სოსო ცინცაძე:

## ამ პოლიტიკის შედეგად საქართველო მუდმივად დარჩება სტაბილური სტაგნაციის რეჟიმში
5

## ჯო ბაიდენი: რაც შეიძლება ბევრი ლგბტ მთავრობაში!


9

ჯერ ამერიკაში, მერე – საქართველოში

## დასავლური ცივილიზაციის თვითმკვლელობა
14




## ობამასგან ნათხოვარი «ბაიდენის 6 მეგობარი»
15



რუსოფობები და ქორები

ხალხის აზრით

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვინმეს შეუძლია, დაასახელოს ხალხის „რჩეულთაგან“ ისეთი ადამიანი, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ რამე გაუკეთებია? რომელიმეს მიუღია ან დაუყენებია კენჭისყრაზე ისეთი კანონი, რომელიც ქვეყნისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება?“

**უკვე მესამე თვეა, საქართველოს მოსახლეობა ე.წ. ოპოზიციის, ასე ვთქვათ, მატრაბაზობას შეჰყურებს; მესამე თვეა, ქუჩაში მდგომნი „გაყალბებულ არჩევნებზე“ ლაპარაკობენ და პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე დავობენ, თუმცა მათ ფანტაზიას ბოლო არ უჩანს. დედაქალაქის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ რამდენიმე დღის წინათ პლებისციტის ჩატარება მოითხოვა, მას აინტერესებს ხალხის აზრი — უნდა ჩატარდეს თუ არა რიგგარეშე არჩევნები? ამ საკითხზე აზრის გამოთქმა რამდენიმე ადამიანს ვთხოვეთ. მოქალაქეების უკან, რომლებიც დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან, თანამოაზრეების დიდი არმია დგას.**

# უნდა ჩატარდეს თუ არა რიგგარეშე არჩევნები?



## „ქართველი პოლიტიკოსები ყვარყვარეები არიან, ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ პოლიტიკაში“

**ტარიელ სუხიაშვილი, თბილისის მკვიდრი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, ე.წ. ოპოზიციის ინიციატივას გამოვეხმაუროთ, ეს მათთვის დიდი პატივია და ერთგვარი რეკლამაც.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე აღარ დადის, მობეზრდათ ეს მასკარადი. ქართველი პოლიტიკოსები ყვარყვარეები არიან, ადამიანები, რომლებიც შემთხვევით მოხვდნენ პოლიტიკაში. დედაქალაქის ყოფილი მერი **გიგი უგულავა** ხალხის გამოკითხვას რომ ითხოვს, ვინ არის?! მის შეკითხვას პასუხი რატომ უნდა გავცეთ? ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტიკოსებზე და სხვა, უფრო საინტერესო აზრის გამოთქმის სივრცე აღარ რჩება. მათი კინკლაობის ყურება მოსაბეზრებელია. **ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განსხვავება არ არის, მათ ერთი მიზანი აქვთ** — პირადი ვნებების დაკმაყოფილება, ხელისუფლებაში მოსვლა ქვეყნის გასაყვლეფად სჭირდებათ, სხვა არაფრისთვის.

ჩვენს ქვეყანაში, დიდი ხანია, არჩევნები არაფრისმომტანია, **ან ეს არჩევნები რა იყო, ან წინა არჩევნებმა რა მოგვიტანა, ან ახალს თუ დანიშნავენ, იქიდან რა ხეირი იქნება ხალხისთვის?!** ისევ ის ხალხი მოვა, ვინც, უკვე წლებია, ქართულ პოლიტიკაშია. **ვინმეს შეუძლია, დაასახელოს ახალარჩეულ პარლამენტში ისეთი პიროვნება, რომელიც ხალხის ნდობით სარგებლობს და ღირსია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იჯდეს?** ამ ქვეყანაში არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს.

რეფერენდუმი იმის გამო კი არ უნდა ჩატარდეს, უგულავამ გაიგოს, ხალხს სურს თუ არა ხელახალი არჩევნები, რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს საკითხზე, საერთოდ სურს თუ არა ამომრჩეველს ასეთი არჩევნების ჩატარება, რადგან ის ხალხის აზრს არასოდეს გამოხატავს.

**ვინმეს შეუძლია, დაასახელოს ხალხის „რჩეულთგან“ ისეთი ადამიანი, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ რაიმე გაუკეთებია? რომელიმეს მიუღია ან დაუყენებია კენჭისყრაზე ისეთი კანონი, რომელიც ქვეყნისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება? ალბათ, ასეთს ვერავინ გაიხსენებს და, თუკი ასეა საქმე, მაშ, რა საჭიროა ეს არჩევნები?! ხელახალ არჩევნებს რომ ითხოვენ, ახალ კომედიას, ახალ მასკარადს უნდა გვაყურებინონ? ამისთვის კიდევ ფული უნდა ხარჯონ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში?**

რეფერენდუმი ჩასატარებელია არჩევნების შესახებ, მთლიანად შესაცვლელია საარჩევნო სისტემა. **უნდა გაუქმდეს პროპორციული სისტემა, რადგან სიებში შეჰყავთ ის ადამიანები, რომლებიც მეტ ფულს გადაიხდიან. აი, ეს არის ამოსაძირკვი, რადგან ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი. პარლამენტში უნდა შევიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ხალხი ენდობა, ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ მაჟორიტარული სისტემა, რადგან მაჟორიტარობის დროს ხელისუფლებას რეკლამის ბერკეტი ეცლება ხელიდან — მაჟორიტარის შესახებ ყველა რაიონსა და სოფელში ყველამ ყველაფერი იცის, მათი მოტყუება რეკლამითა და ინფორმაციით ძნელია.** ტელევიზიებმა რამდენიც უნდა აქონ ესა თუ ის ადამიანი, მაინც ვერ დააჯერებენ ამომრჩეველს.

უნდა ავირჩიოთ მაჟორიტარები და, თუ ისინი დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებენ, ამომრჩეველს მისი პარლამენტიდან გაწვევა უნდა შეეძლოს, თანაც ისე, რომ პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. სხვა შემთხვევაში სულ ერთ წრეზე ვივლით — მოვლენ პარლამენტში, შეჭამენ, ცხოვრებას აიწყობენ და წავლენ, მერე ხელახლა ცდილობენ იქ შესვლას.



## „ქვეყანაში მკვდარია სახალხო მეურნეობა, არ არსებობს მრეწველობა, სულს ლაფავს სოფლის მეურნეობა და მხოლოდ იმიტომ არ კვდება, რომ ბოლო პერიოდში რუსეთმა ცოტა ჩვენკენაც გამოიხედა და ღვინოს ყიდულობს“

**მერაბ ზურაბაშვილი, გურჯაანის მკვიდრი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— 30 წელიწადია, მოჯადოებულ წრეზე დავდივართ, სიკეთე ვერ ვნახეთ ვერც ერთი ხელისუფლების ხელში, გაუბედურდა ქვეყანა. ხუთი მილიონი ქართველიდან სამ-ნახევარ მილიონამდე ჩამოვედით და აქედან ნახევარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არის წასული ლუკმაპურის საშოვნელად, პოლიტიკოსები კი გაიძახიან: ამდენმა ათასმა და ამდენმა მილიონმა მოგვცა ხმაო. ეს ხალხი მხარდამჭერთა რაოდენობას რომ ასახელებს, იმდენი ამომრჩეველი სულ არ

> «მივიღებ მონაწილეობას პლებისციტში, თუკი მკითხავენ, მინდა თუ არა ნატოში შესვლა და ევროინტეგრაცია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მექნება გარანტია, რომ ჩემს აზრს არ გააყალბებენ, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს»

არის ქვეყანაში. **მოსახლეობის დიდი ნაწილი არჩევნებზე აღარ დადის, იმედგაცრუებულია და, საერთოდ, არ აინტერესებს, ვინ შევა იმ პარლამენტში, რომელსაც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე არასოდეს გაუკეთებია.**

ქვეყანაში მკვდარია სახალხო მეურნეობა, არ არსებობს მწერველობა, სულს ლაფავს სოფლის მეურნეობა და მხოლოდ იმიტომ არ კვდება, რომ ბოლო პერიოდში რუსეთმა ჩვენკენ გამოიხედა და ღვინოს ყიდულობს, ცოტა კახეთში გამოსწორდა მდგომარეობა.

> «გიგი უგულავა ხალხის გამოკითხვას რომ ითხოვს, ვინ არის?! მას შეკითხვაზე პასუხი რატომ უნდა გავცეთ?»

**ხალხს შრომა უნდა და ამ შრომის საფასურად ადამიანური ცხოვრება, არ გვინდა ჩვენი ნაწვალებით სხვა მდიდრდებოდეს და ჩვენ უსახსრობით ვიღუპებოდეთ. სამუშაოს ვითხოვთ და არა არჩევნებს.**

ზნეობრივად განადგურებულია ქვეყანა, საშინელება ისმის ყველა მხრიდან, წაბილწულია ირგვლივ ყველა და ყველაფერი და ვის აინტერესებს ასეთ დროს მაგათი პარლამენტი?! **ხალხს არ აინტერესებს, ვინ შევა იმ პარლამენტში და ვინ — არა, რადგან ყველა ერთ ყალიბშია ჩამოსხმული, ქვეყანასა და ხალხზე არავინ ფიქრობს, მათ მხოლოდ საკუთარი სტომაქი აინტერესებთ და იმის იქით ვერაფერს ხედავენ. ხალხის სახელით საუბრობენ, იმ ხალხის, რომლის მდგომარეობაც საერთოდ არ ადარდებთ.**

30 წელიწადია, ერთი და იმავე სახეებს ვუყურებთ ქართულ პოლიტიკაში და ძალიანაც რომ მოვინდომო, რომელიმე მათგანის მიერ ქვეყნისთვის გაკეთებულ სასიკეთო საქმეს ვერ გავიხსენებ. ყველა მათგანი, ვინც ახლა ქუჩაშია და ისინიც, ვინც პარლამენტში შედიან, ხელისუფლებაში უკვე იყვნენ... **უგულავა** რომ გაიძახის: ხალხს ვკითხოთ, ხელახალი არჩევნები უნდა თუ არაო, რა უფლება აქვს მას, ხალხს რამე ჰკითხოს? უგულავამ არ შეჭამა 50 მილიონი გაღატაკებული ქვეყნის ბიუჯეტიდან?! უგულავამ ხალხს შეკითხვა როგორ უნდა გაუბედოს?! მაგრამ იცის, რაც იხარშება ხელისუფლებაში, იცის, რამდენი იჭმევა. **ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები მაგონებენ წუნკალ ძაღლებს, რომლებიც რესტორნისა და სასადილოების მიდამოებში დაძრწიან გამოხრული ძვლის შოვნის მოლოდინში.**



## „წლებია, ხალხისა და ქვეყნის ბედი ერთი მუდრეგი მთავრობიდან მეორის ხელში გადადის“

**ბორის კაკაბაძე, თბილისის მკვიდრი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ოპოზიციაც და პოზიციაც ხალხის ნერვებზე თამაშობს. ახლა ხელახალი არჩევნების ხელახლა ჩატარებას ითხოვენ, კიდევ ფულის ხარჯვა უნდათ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში. **რამდენჯერაც არ უნდა ჩაატარონ არჩევნები, პარლამენტი ხალხის ნების გამომხატველი მაინც არ იქნება. ხალხი ალთასაა და ეგენი — ბალთას.** რაიმე ახლისა და კარგის მოლოდინი არავის არ აქვს.

ხალხიო, ვამბობ, მაგრამ ჩვენი ხალხიც არ არის გათვითცნობიერებული ბევრ რამეში, განსაკუთრებით პოლიტიკაში, მაინც ვერაფერი ვისწავლეთ. ამ ბაქანალიაში ერთი თქვენი გაზეთი მეგულება, რომელიც ცდილობს, ხალხს სიმართლე უთხრას, გაანათლოს, მაგრამ...

პლებისციტის ჩატარებას ითხოვენ ქუჩაში მდგარნი, რადგან მათ ხალხის გაუთვითცნობიერებლობის იმედი აქვთ. ჩვენმა მოსახლეობამ მხოლოდ ერთი რამ იცის — უჭირთ, მაგრამ რატომ უჭირთ და ეს გაჭირვება სწორედ ამ ვაიპოლიტიკოსების ბრალი რომ არის, არ იციან. დიდი ხანია, საქართველოს ცხოვრება არ მომწონს, იმთავითვე ცნობილი იყო, რომ დავიღუპებოდით და დავიღუპეთ კიდეც, ჭაობში ვართ, ნაპირებს ვეხეთქებით და ამოსვლას ვერ ვახერხებთ — ეს ვითომ პოზიცია კი ხელისუფლებასთან ერთად სისულელეებით უჭედავს ხალხს თავს.

**დგანან ქუჩაში ურცხვად, ხალხის სახელით საუბრობენ, ეს ქვეყანა თავიანთი ჰგონიათ, არადა, ამ ქვეყანაში ჩვენც ვცხოვრობთ და სულ სხვა მოთხოვნები გვაქვს.** წესიერ საქართველოზე ვოცნებობთ, ბარაქით სავსეზე, შრომას ვითხოვთ და ამ შრომის დაფასებას, გვინდა ნამდვილი თავისუფლება და სუვერენული სახელმწიფო; გვინდა თანასწორუფლებიანები ვიყოთ და ჩვენი ქვეყნის ბედს უცხოტომელი არ წყვეტდეს, მაგრამ წლებია, ერთი მუდრეგი მთავრობიდან მეორის ხელში გადადის ხალხისა და ქვეყნის ბედი.

ახლა უგულავა გაიძახის: ხალხმა თქვას, რა სურსო, სასაცილოა, რატომ უნდა უპასუხოს ხალხმა უგულავას?! რამდენი პლებისციტიც არ უნდა ჩატარდეს, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, ან უგულავა ვინ არის, რომ მის ინიცირებულ პლებისციტში მივიღოთ მონაწილეობა?! მე მივიღებ მონაწილეობას პლებისციტში იმ შემთხვევაში, თუ მკითხავენ, მინდა თუ არა ნატოში შესვლა და ევროინტეგრაცია, ისიც მაშინ, თუ მექნება გარანტია, რომ ჩემს აზრს არ გააყალბებენ, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს. აი, ეს იქნება ქვეყანაზე ზრუნვაც და სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯიც, სხვა ყველაფერი მატრაბაზობა და ფულის ტყუილად ფლანგვაა.

მეცინება პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე რომ საუბრობენ, ყველა პარლამენტს, რომლებიც ამ დრომდე არსებობდა, ერთი ფასი აქვს. ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა და, რაც დრო გადის, სამწუხაროდ, უფრო და უფრო მძიმდება.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

> «ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები მაგონებენ წუნკალ ძაღლებს, რომლებიც რესტორნისა და სასადილოების მიდამოებში დაძრწიან გამოხრული ძვლის შოვნის მოლოდინში»

გავა ერთი თვეც და საქსტატი აუცილებლად გამოაქვეყნებს ახალ ციფრებს, ისევ შეუსაბამოს რეალობასთან, მაგრამ ამისთვის პასუხს არავინ მოჰკითხავს. ისიც ვთქვათ, რომ საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ყოველთვიურად 5 ათას ლარზე მეტი აქვს ხელფასი და ასეთ პირობებში ხელს რომ მოაწერ, ოთხსულიან ოჯახს 332,50 ლარი უნდა ეყოსო, თავადაც ხომ ხვდები, რომ სისულელეზე აწერ ხელს. მაგრამ, რომ არ მოაწეროს, რომ იყვიროს, 5-ათასლარიან სამსახურს დაკარგავს და როგორი დასაკარგია?!

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სხვა პლანეტაზე ხომ არ ცხოვრობთ მანდ, ზემოთ?

## ხელისუფლების წარმომადგენლები თვითონ ერთ თვეს მაინც თუ იცხოვრებენ საარსებო მინიმუმის თანხის თუნდაც ხუთმაგი ოდენობით?

**ჯერ პირველი შეზღუდვებისას, მერე ახლა ათიათასობით ადამიანმა სამსახური დაკარგა. აქ იგულისხმებიან თვითდასაქმებულებიც და ოფიციალური სამსახურის მქონენიც. მხოლოდ მაღაზიებისა და რესტორნების მომსახურე პერსონალი რომ ავიღოთ, სამსახურდაკარგულთა რაოდენობა 20 ათასს სცდება. ხელისუფლება, ერთი შეხედვით, მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობს და, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში კომპენსაციები დაარიგა. რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ გვეუბნებიან, რომ ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე ხელისუფლებას შეუძლია და... ეს ცოტა არ არის.**

სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ვერ მივხვდით, როგორ შეიძლება, ერთჯერადი დახმარება, რომელიც 300 ლარია და ისიც ყველასთვის არა, ცოტა არ იყოს, მაგრამ შემდეგ საქსტატის ახალ მონაცემებს გავეცანით და, ჰოი, საოცრებავ, ცოტა კი არა, თურმე რამდენს გვაძლევენ! თუ ხელისუფლება საქსტატის მონაცემებით ხელმძღვანელობს და ისე არიგებს დახმარებას, მაშინ გასაგებია ყველაფერი, თუ არა... მართლა სხვა ქვეყანაში კი არა, სხვა პლანეტაზე ხომ არ ცხოვრობთ მანდ, ზემოთ?!

საქსტატის ცნობით, **2020 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი თვეში 166,30 ლარია, ხოლო ოთხსულიანმა ოჯახმა 332,50 ლარით უნდა იარსებოს. მიმდინარე წლის ბოლო თვეა და, შესაბამისად, მომდევნო წელს უკვე გვეცოდინება, რამდენი უნდა მოეხმარა თითოეულ მოქალაქეს, რომ არ გასჭირვებოდა. თუ შარშანდელ, ანუ 2019 წლის მონაცემს ავიღებთ,** შარშან მომხმარებელი თვეში, საშუალოდ, 223,40 ლარს ხარჯავდა. საინტერესოა, როგორ არის ამ თანხაში გადანაწილებული გასავალი. მოკლედ, ამ 223,40 ლარიდან სურსათზე 84,50 ლარია გათვალიწინებული და სურსათში შედის... თამბაქო და სასმელიც. ე.ი., თვეში ზრდასრული ადამიანი 84.50 ლარის თამბაქოს, სასმელსა და საკვებს მოიხმარს. **ამავე მონაცემით, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად თითოეული მოქალაქე შარშან თვეში საშუალოდ 9,30 ლარს ხარჯავდა. წლიურად შემოსვა 111,60 ლარი ჯდებოდა და ბარემ ისიც გვითხარით, ამ ფასად მხოლოდ ფეხსაცმელს (ტანსაცმელზე არ გვაქვს საუბარი), თანაც ორ წყვილს — საზაფხულოსა და საზამთროს — სად ყიდულობთ? ელექტროენერგია და გათბობა თვეში 28,80 ლარი ჯდება თურმე, განათლება კი — 6,20 ლარი. აი, განათლებაში მილიარდი რომ არის ჩადებული, ის განათლება ჯდება თვეში თურმე 6,20 ლარი.**

იცით, ეს ყველაფერი რატომ გამოიყურება სასაცილოდ? იმავე საქსტატის მონაცემებით, ასე დაშლილად რომ დავთვალოთ, ოთხსულიან ოჯახს 900 ლარამდე სჭირდება. ჰო, 900 ლარამდე და ახლა ერთმანეთის საკვებს ვერ შეჭამენ, ვერც ერთმანეთის ტანსაცმელს ჩაიცვამენ, ერთ ღერს ვერ მოწევენ. ჰოდა, მივედით იქამდე, რომ **ცალ-ცალკე ადამიანებს ბევრი სჭირდებათ, აი, ოჯახს კი — ნაკლები. გათბობა გასაგებია, ელექტროენერგია — ცოტა გაუგებარი, იმიტომ, რომ აუცილებლად ერთ ოთახში ხომ არ უნდა იყოს ოთხსულიანი ოჯახი, მაგრამ დანარჩენი? ან ერთი ფეხსაცმლით რიგრიგობით უნდა იარონ გარეთ?! შესაძლოა, საქსტატში იმას ფიქრობენ, ლოქდაუნის პირობებში გარეთ მაინც იშვიათად დადიან ადამიანები და ერთი ფეხსაცმელი ეყოფათო.**

რეალურად, ეს ყველაფერი სასაცილო ნამდვილად არ არის. ვერავინ აგვიხსნის, ოფიციალურ მონაცემებში, თანაც ერთი და იმავე სტრუქტურის მონაცემებში, ასეთი შეუსაბამობა როგორ შეიძლება იყოს. ან იქ ადამიანები არ მუშაობენ და არ იციან, რომ თვეში მხოლოდ თამბაქოსთვის არ არის საკმარისი 84,50 ლარი და ამ თანხას საკვები და სასმელიც ემატება. კარგი, ვთქვათ, არ ვსვამ ალკოჰოლურ სასმელს და მხოლოდ მწეველი ვარ, დღეში საშუალოდ ერთ კოლოფს ვეწევი (და მართლა ვეწევი), გამოდის, თვეში მხოლოდ თამბაქოში, სულ ცოტა, 180 ლარი მჭირდება. მხოლოდ თამბაქო რომ იანგარიშონ და სხვა არაფერი, საარსებო მინიმუმიც ვერ გამოდის თანხობრივად. აი, **თუ მწეველი არ ვარ, არც ვსვამ და მხოლოდ საკვებზე ვარ დამოკიდებული, დღეში სამი ლარი უნდა მეყოს საკვებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი თვის განმავლობაში უნდა ვჭამო შემწვარი, მოხარშული, დაჭყლეტილი, გახუხული, მარილიანი, უმარილო, ტკბილი... კარტოფილი.** მხოლოდ კარტოფილი, რადგან სხვა რამისთვის თანხა, გამორიცხულია, იმყოფინო. **მინდა, ხელისუფლების წარმომადგენლებს მივმართო, თვითონ თუ იცხოვრებდნენ ამ თანხის თუნდაც ხუთმაგი ოდენობით ერთ თვეს?** რა თქმა უნდა, ვერა, იმიტომ, რომ სხვანაირ კვებას არიან მიჩვეულნი და სხვანაირ მგზავრობას, ტანსაცმელიც სხვანაირი სჭირდებათ. ჰოდა, **თუ ეს ყველაფერი მხოლოდ რიგითი ადამიანებისთვის არის მოგონილი, მაშინ პირდაპირ კლასებად დავყოთ, ოფიციალურად, უფლებებიც სხვადასხვაგვარი გვქონდეს და გვეცოდინება, რომ რაღაც არ შეიძლება ჩვენთვის, მაგრამ შეიძლება მათთვის. მაღაზიებიც ცალ-ცალკე იყოს; ერთგან იაფი და უვარგისი პროდუქტი გაიყიდება, მეორეგან — ხარისხიანი. ასე არც გადავიკვეთებით და ნერვებსაც არ მოგიშლით ჩვენი არსებობით.**

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა რამდენიმე დღის წინათ ამაყად განაცხადა, — ხორბლის 2 თვის მარაგი გვაქვს და ზამთრის არ გვეშინიაო. **ოფიციალურად გამოგვიცხადა, პური გექნებათ (სანახაობაც ახალ პარლამენტში, ალბათ, იქნება, თავიდან მაინც, სანამ ერთმანეთში მუშტებსა და სხვა ადგილებს დაატოლებენ), შიმშილის ნუ გეშინიათო და მხოლოდ პურზე გადაატარებენ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს.**



რასაც ახლა ვიტყვი, შესაძლოა, ბევრს ძალიან არ მოეწონოს, მაგრამ... **სარესტორნო ბიზნესში მყოფ ადამიანებს ბანკის სესხის 80%-ის დაფარვაში სახელმწიფო დაეხმარებათო, სიხარულით გვამცნეს. კარგია, რომ სფეროს, რომელსაც დიდი დარტყმა მიადგა, ცოტას ამოასუნთქებენ, მაგრამ სხვებმა რა დააშავეს? რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც ასევე სესხი ჰქონდათ აღებული და უმუშევრები დარჩნენ?** მათ ვინ დაეხმარება? თუ ისინი სახლ-კარს დაკარგავენ და მეტს არაფერს, აქეთ კი ბიზნესი ილუპება? აქაც არ ჩანს თანასწორობა და, თუ ეხმარებით, ყველას დაეხმარეთ — მთელ ქვეყანას და ნურავის ნუ გამოარჩევთ. იმ დღეს ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონე ამბობდა, რესტორნებმა გასულ წელს ბიუჯეტში გადასახადების სახით 12 მილიონი შეიტანესო და როგორ გგონიათ, ბატონებო, რიგითმა ადამიანებმა, სულ ცოტა, ათჯერ მეტი არ შეიტანეს? **ან ის რა იყო, მამუკა ხაზარაძემ რომ დაზაფრა ადამიანები: თუ ასე გაგრძელდება, დეპოზიტებზე მოგების პროცენტის დარიცხვა გაჭირდებაო? ვალად აღებულ ფულს ხომ კარგად არიცხავთ, ბატონო ბანკირებო, პროცენტს და თურმე ეს დეპოზიტზე გაჭირდება? და ვის აქვს დღეს დეპოზიტი? გინახავთ, გაჭირვებული ადამიანი ბანკში, სესხის აღების გარდა, სხვა რამისთვის მიდიოდეს?!**

**ის რა იყო, მამუკა ხაზარაძემ რომ დაზაფრა ადამიანები, — თუ ასე გაგრძელდება, დეპოზიტებზე მოგების პროცენტის დარიცხვა გაჭირდებაო? ვალად აღებულ ფულს ხომ კარგად არიცხავთ, ბატონო ბანკირებო, პროცენტს და თურმე ეს დეპოზიტზე გაჭირდება? და ვის აქვს დღეს დეპოზიტი? გინახავთ, გაჭირვებული ადამიანი ბანკში, სესხის აღების გარდა, სხვა რამისთვის მიდიოდეს?**



გავა ერთი თვეც და საქსტატი აუცილებლად გამოაქვეყნებს ახალ ციფრებს, ისევ შეუსაბამოს რეალობასთან, მაგრამ ამისთვის პასუხს არავინ მოჰკითხავს. ისიც ვთქვათ, რომ საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ყოველთვიურად 5 ათას ლარზე მეტი აქვს ხელფასი და ასეთ პირობებში ხელს რომ მოაწერ, ოთხსულიან ოჯახს 332,50 ლარი უნდა ეყოსო, თავადაც ხომ ხვდები, რომ სისულელეზე აწერ ხელს. მაგრამ, რომ არ მოაწეროს, რომ იყვიროს, 5-ათასლარიან სამსახურს დაკარგავს და როგორი დასაკარგია?!

პირველი იანვრიდან პენსიები მოიმატებს, მაგრამ რეალურად, გაუფასურებული ლარის ფონზე, ამ მომატებას პენსიონერები ვერ იგრძნობენ. თანაც, ამ ლოგიკით, რასაც ახლა გვიმტკიცებენ, ყველა პენსიონერი არათუ გადასარევად უნდა ცხოვრობდეს, არამედ დანაზოგსაც კი უნდა აკეთებდეს, რადგან პენსია თითქმის 60 ლარით მეტია საარსებო მინიმუმზე და 60 ლარი ხუმრობა ხომ არ არის?!

**ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად თითოეული მოქალაქე შარშან თვეში საშუალოდ 9,30 ლარს ხარჯავდა. წლიურად შემოსვა 111,60 ლარი ჯდებოდა და ბარემ ისიც გვითხარით, ამ ფასად მხოლოდ ფეხსაცმელს (ტანსაცმელზე არ გვაქვს საუბარი), თანაც ორ წყვილს — საზაფხულოსა და საზამთროს — სად ყიდულობთ? ელექტროენერგია და გათბობა თვეში 28,80 ლარი ჯდება თურმე, განათლება კი — 6,20 ლარი. აი, განათლებაში მილიარდი რომ არის ჩადებული, ის განათლება ჯდება თვეში თურმე 6.20 ლარი**

არჩევნების წინ ვწერდით, რომ რეალუად არაფერი არ შეიცვლებოდა და არ შეიცვლებოდა იმიტომ, რომ ამის ნება არ არსებობს. უფრო ზუსტად კი, შესაძლოა, ნება არსებობს, მაგრამ არ გვანებებენ. ჰო, არ გვანებებენ, რადგან ე.წ. განვითარებადი ქვეყნის სტატუსი რომ მოგვაწებეს 30 წლის წინათ, ვერ მოვიშორეთ და კიდევ კარგა ხანს არ მოგვაშორებენ, რადგან ამ სტატუსის გარეშე, შანსი გვაქვს, ჩვენი პროდუქცია იმ ოდენობით ვაწარმოოთ, სერიოზული მოთამაშე გავხდეთ ევროპაში. ეს კი დასავლეთს ყველაზე ნაკლებად აძლევს ხელს, ურჩევნია, წლიდან წლამდე გრანტები გადმოგვიგდოს და, ასე ჩვენი შენახვა იაფი რომ ჯდება, არაერთხელ დამტკიცდა. ამიტომ იმყოფინეთ ის, რასაც გვიწესებენ, და ისე არ მოხდეს, ეგეც სანატრელად გვექცეს.

**ბესო ბარბაქაძე**

პოლიტიკური მარაზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ იმიტომ აქციეს არსაიდან მოსული ხალხი პოლიტიკურ ფიგურებად, რომ მათ ეკლესია დააკნინეს, ქართულ თავმოყვარეობას თავზე გადაუარეს და თავისუფლების სახელით სურთ, შეცვალონ ყველა და ყველაფერი. ახალგაზრდების ნაწილს კი მარიხუანა მოსწონს, ვერ ხვდება იმას, რომ ამით მომავალს ანგრევს და ამიტომ აღტკინებული, გაბრუებული ხმას აძლევს იმ ადამიანს, რომელიც ამ აღტკინებასა და გაბრუებას ჰპირდება, რომელიც მისი მშობლის წინააღმდეგია.**

## ერს თურმე ის აინტერესებს, დაიშლება თუ არა «გირჩი», რომლის ლიდერები ნარკოტიკების ლეგალიზაციასა და ჰომოსექსუალთა ქორწინებას მოითხოვენ

# ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება

**მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, პროცენტულად პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებისა და სიკვდილიანობის ზრდით. თითქოს სხვა გასაჭირი არ გვეყოფოდა, ახლა ესეც დაგვემატა და, სამწუხაროდ, ამ ჯაჭვის გაწყვეტა ვერ მოვახერხეთ. ვერ მოვახერხეთ ბევრი რამის გამო და, უპირველესად, იმიტომ, რომ კოვიდინფიცირებულები ქუჩაში თავისუფლად დადიან და ჩვენს ჯანმრთელობას არ უფრთხილდებიან. მხოლოდ ის რად ღირს, რომ სამართალდამცველებმა გასულ კვირას ინფიცირებული ტაქსის მძღოლი დააჯარიმეს, რომელიც მგზავრებს ემსახურებოდა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდა.**



„გირჩი“ საჯაროდ ეწევა მარიხუანის პროპაგანდას



„გირჩის“ გასაბერი ეკლესია

როცა ასეთი მძიმე ვითარებაა ქვეყანაში, როცა დღეში 40-მდე ადამიანი კვდება, იმაზე მეტი, ვიდრე თუნდაც ყარაბაღის ომში უკვდებოდათ აზერბაიჯანელებსა და სომხებს, **საინფორმაციო საშუალებები დღის მთავარ გამოშვებას იწყებენ იმით, რომ თურმე პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი“ იშლება და მისი ლიდერები ერთმანეთს წაეკიდნენ. გამოდის, რომ დღის მთავარი მოვლენა ათასობით ახალი ინფიცირებული და 40-მდე შავით შემოსილი ოჯახი კი არა, ის არის, უკანალმოშიშვლებულები როგორ მოაგვარებენ ერთმანეთში ურთიერთობას** და შეურიგდება თუ არა **იაგო ხვიჩია ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძეს.**

ზოგიერთი ტელეწამყვანი უფრო შორსაც წავიდა და ტელეეთერში გაკეთებული სიუჟეტი არ იკმარა, სოციალური ქსელის საშუალებით მოუწოდა „გირჩელებს“, — ეგებ შერიგდეთ, ერთად უნდა იყოთო. რაც ყველაზე საინტერესოა, აღნიშნულ პარტიას არაერთი მედიასაშუალება „თავისუფლების კუნძულად“ მოიხსენიებს.

როცა წინა მოწვევის პარლამენტმა მარიხუანის ლეგალიზაციაზე კანონი მიიღო, ერი თუ ბერი აღშფოთდა. რეალურად **ისე ჩანდა, თითქოს რამდენიმე ათეული ადამიანი იყო ამ ყველაფრის მომხრე და პარლამენტარებმა გადაწყვეტილება საერთაშორისო ორგანიზაციებში ლიბერალური ფრთის წარმომადგენელთა ზეწოლის შედეგად მიიღეს. პრაქტიკულად, ერთადერთი პარტია, რომელიც მარიხუანის ლეგალიზაციას არამხოლოდ ხმამაღლა ითხოვდა, არამედ მას საჯაროდ, სატელევიზიო ეთერში მოიხმარდა, „გირჩი“ იყო.**

წესითა და რიგით, „გირჩისთვის“ საკადრისი პასუხი ამომრჩეველს სწორედ ამ არჩევნებზე უნდა გაეცა და... გასცა კიდეც. 55 598 — ეს არის ხმების ის რაოდენობა, რომელიც „გირჩმა“ საპარლამენტო არჩევნებში აიღო და პარლამენტში ერთბაშად 4 კაცს შეიყვანს. სწორედ ეს ოთხეული დაერია ერთმანეთს და, უდიდესი ალბათობით, დავის მთავარი თემა სწორედ პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხია. **პარტიის ლიდერ ჯაფარიძეს გარეთ დარჩენა სურს, მომდევნო სამეულს — შესვლა. როგორც გვითხრეს, ყველაზე მწვავე დაპირისპირება პარტიისთვის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღებ თანხაზე უარის თქმის შემდეგ მოხდარა. რამდენიმე ასეულ ათასზე უარი პარტიის წევრებს არ მოეწონათ და თურმე, პარტიის ოფისში ქოთნებში მოყვანილი მარიხუანა სულ ფოთოლ-ფოთოლ გაუკრეფიათ.**

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ „გირჩის“ დამფუძნებელმა და ლიდერმა ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძემ არც ისე დიდი ხნის წინათ თქვა: არავის საქმე არ არის, მე ფულს პირით და მარჯვენა ხელის მოძრაობით თუ ვიშოვი და თანაც ამით ვინმეს სიამოვნებას მივანიჭებო. **ჩემი ნება რომ იყოს, იმ 55 598 ადამიანის სახელსა და გვარს გამოვამზეურებდი, რადგან ერმა უნდა იცოდეს, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც გარყვნილებასა და მომავალი თაობის ნარკოტიკებით გადაგვარებას მისცეს ხმა.** ისიც ხომ ყველამ იცის, რომ პარლამენტის წევრს უფლება აქვს, კანონპროექტი შეიტანოს განსახილველად და ამისთვის არც მოსახლეობაში სიარული და ათასობით ხელმოწერის შეგროვება სჭირდება და არც სხვა რამ. **„გირჩი“ კი ხმალამოღებული იბრძვის იმისთვის, რომ არამხოლოდ მარიხუანის, არამედ სხვა ნარკოტიკების ლეგალიზაციაც მოხდეს და ახალგაზრდებს დაუკანონდეთ გადაგვარების გზით სიარული. იმავე „გირჩის“ პროექტით, აუცილებელია საქართველოში ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინებაც დაკანონდეს და, თუ ამ კავშირს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს, ისინი თავისი ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლებით“ შეძლებენ ამ ყველაფრის „ეკლესიურად აღსრულებას“, ხოლო კანონიერად საჯარო რეესტრი დაარეგისტრირებს.** ეს უნდათ, ეს სურთ და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ არსაიდან მოსული პარტია მოულოდნელად ლიბერალთათვის ძლიერ ბერკეტად რომ იქცა.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, **ლიბერალთა ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი სასტიკი აგრესიაა. ისინი პირდაპირ გადადიან იმ ხალხის განადგურებაზე, ვინც მათ არ ეთანხმება და ამის ნათელი მაგალითი ცოტა ხნის წინათ ამერიკაში განვითარებული მოვლენებია,** როცა ლიბერალიზმის სახელით დაარბიეს მაღაზიები, ძეგლები და იმავე ლიბერალიზმის სახელით ფეხის დაბანის რიტუალიც არაერთხელ გამართეს. **როცა ლიბერალებს არ ჰყავთ ობიექტი, რომელზეც აგრესიის ამონთხევა შეუძლიათ, ერთმანეთისკენ იწევენ და ახლა „გირჩში“ სწორედ ეს ხდება, ერთმანეთის ჭამაზე არიან გადასულნი.** ისე რომ არ გაიგოთ, რომ მხოლოდ „გირჩის“ აგრესიაზე ვლაპარაკობთ, იმავე ლიბერალიზმის დროშით მოქმედი **ბაია პატარაიას** ქცევებს დააკვირდით: ის აგრესიას არასდროს არ მალავს განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანთა მიმართ და, თუ მას რამე არ მოსწონს, არავისაც არ უნდა მოეწონოს, თუნდაც ეს „რამე“ ქართული სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი, ისტორიული საფეხბურთო მატჩი იყოს.

2016 წლის მოწვევის პარლამენტში იყო ინიციატივა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, საქმიანობა აკრძალვოდა, მაგრამ ეს საკითხი პარლამენტმა ჩააგდო. ცუდი არ იქნება, თუ **ახალი მოწვევის პარლამენტი მაინც მოახერხებს იმდენს, რომ მიიღოს კანონი, რომლის მიხედვით ამორალურ, საზოგადოებისთვის მიუღებელ პლატფორმაზე მყოფი პარტიების რეგისტრაცია ოფიციალურად გაუქმდება.** ახლა თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჰომოსექსუალების ქორწინება ამორალური არ არის, მაშინ... თუმცა, რაღა მაშინ, 55 598 ადამიანი ასე ნამდვილად არ ფიქრობს და საქართველოსთვის ეს რაოდენობა კატასტროფულად დიდია. ამ ადამიანების ნახევარს ხმა ისეთი პარტიებისთვის რომ მიეცათ, რომლებიც, წლებია, ეროვნულ იდეოლოგიას ქადაგებენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში ვერ ხვდებიან, 1-2 კაცს გაიყვანდნენ და, სხვა თუ არაფერი, ხმამაღლა იყვირებდნენ: ჯერ საქართველო და მერე დანარჩენიო. მაგრამ არა, ბატონებო, **სწორედ იმიტომ აქციეს არსაიდან მოსული ხალხი პოლიტიკურ ფიგურებად, რომ მათ ეკლესია დააკნინეს, ქართულ თავმოყვარეობას თავზე გადაუარეს და თავისუფლების სახელით სურთ, შეცვალონ ყველა და ყველაფერი. ახალგაზრდების ნაწილს კი მარიხუანა მოსწონს, ვერ ხვდება იმას, რომ ამით მომავალს ანგრევს და ამიტომ, აღტკინებული, გაბრუებული ხმას აძლევს იმ ადამიანს, რომელიც ამ აღტკინებას და გაბრუებას ჰპირდება, რომელიც მისი მშობლის წინააღმდეგია.** არავინ არ მალავს, რომ „გირჩის“ მხარდამჭერები, ძირითადად, სწორედ 19-20 წლის ახალგაზრდები არიან და ეს კიდევ ცალკე ტრაგედიაა. რაც მთავარია, ამ ყველაფერს დასავლეთში უდიდესი მხრადაჭერა აქვს და რეალურად, **„გირჩის“ ლიდერმა ზუსტად იცის, რომ ბიუჯეტის თანხებზე უარის თქმა არ ნიშნავს უფულოდ დარჩენას, საერთაშორისო ორგანიზაციები მათ მშიერს ნამდვილად არ დატოვებენ და მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს, რათა „გირჩმა“ დაწყებული საქმე შეუფერხებლად განაგრძოს.**

ვინც ამ პარტიის პლატფორმას არ იცნობს, არც ის ეცოდინება, რომ ე.წ. ბიბლიურ თავისუფლებას თავისი მიტროპოლიტები ევროპის ყველა ქვეყანაში ჰყავს. ჰო, მისი წევრები ამ თითქოს რელიგიური ორგანიზაციის სახელით მოგზაურობენ, პატივსა და დიდებაში არიან და არანაირი შეზღუდვა არ აქვთ. ამ ყველაფერს კიდევ ერთი მიზანი აქვს — **არ არსებობს რეალურად არც ძველი სარწმუნოება, არც სასწაული, აგერ, გუშინ დაარსებული ორგანიზაციის წევრები ერთ საათში მიტროპოლიტებიც ხდებიან, ეპისკოპოსებიც და წოდებებს ყოველგვარი საფეხურების გავლის გარეშე არიგებენ.**

დასავლეთს მთავარ ძალად საქართველოში სწორედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დახვდა და მისი ავტორიტეტი, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეარყიეს. შედეგად, რაც ვერ მოახერხეს გარედან, მშვენივრად ახერხებენ შიგნიდან და **„გირჩში“ ახალგაზრდების დიდი ნაწილი სწორედ იმიტომ გაერთიანდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გაევლო და „ბიბლიური თავისუფლების“ მრევლი გამხდარიყო. ამით მათ მართლმადიდებლობაც შეურაცხყვეს და ქვეყნის სამსახურზეც თქვეს უარი, ჰოდა, მიზანიც სწორედ ეს არის. და, საერთოდ, ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება.**

უხილავ მტერთან ომის პირობებში მთავარ თემად აღნიშნული პარტიის ლიდერთა დაპირისპირება რომ გაქვს, ესეც არ არის შემთხვევითი. დღეში 40-მდე ადამიანი იღუპება და ათასობით ავადდება, ერს კი თურმე ის აინტერესებს, რა მიმოწერა აქვთ ერთმანეთთან „გირჩის“ ლიდერებს, რომლებიც ნარკოტიკების ლეგალიზებასა და ჰომოსექსუალთა ქორწინებას მოითხოვენ.

**ბესო ბარბაქაძე**

**„სახელმწიფო პოლიტიკისა და დიპლომატიის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ჩვენი ეროვნული, ჩვენი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. ეს ისეთი წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება, მაგრამ დღეს ამის რამე ნიშანწყალი არ ჩანს, არ ჩანს არც ერთ პოლიტიკურ დონეზე — არც ხელისუფლებისა და არც ოპოზიციური სპეტრისგან. ღმერთმა ქნას, გამოჩნდეს“.**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ცინცაძე: ამ პოლიტიკის შედეგად საქართველო მუდმივად დარჩება სტაბილური სტაგნაციის რეჟიმში

**2 დეკემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ დოკუმენტი ორივე მხარისთვის მისასალმებელია. მისი თქმით, იმ ვითარებაში, როცა რუსეთი განაგრძობს, როგორც საქართველოს, ისე უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ზრდის სამხედრო შესაძლებლობებს ყირიმსა და შავი ზღვის რეგიონში, ალიანსის მოქმედება აუცილებელია. მისივე განმარტებით, ალიანსი აძლიერებს პრაქტიკულ მხარდაჭერას ორივე ქვეყნისადმი, რაც რიგი მიმართულებებით აქტიურ ხელშეწყობასა და თანადგომას, მათ შორის რეფორმების პროგრამების მხარდაჭერასაც გულისხმობს.**

**ცნობისთვის:** სტოლტენბერგის განცხადებას მალე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ ბრიფინგზე განაცხადა, რომ შავ ზღვაში ნატოს აქტიურობა ძირს უთხრის რეგიონის სტაბილურობას, რაზეც რუსეთი იძულებულია, შესაბამისი რეაქცია ჰქონდეს: „იზრდება ნატოს ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ხომალდების შემოსვლების რაოდენობა შავი ზღვის მოკავშირეთა და პარტნიორთა პორტებში, სადაზვერვო თვითმფრინავების ფრენები, რუსეთის საზღვრის გასწვრივ უპილოტო საფრენი აპარატები. მოდერნიზაციას განიცდის ბულგარეთისა და რუმინეთის ინფრასტრუქტურა და მათ ტერიტორიაზე ხდება შეტევითი შეიარაღების განთავსება. სწავლებისას მუშავდება სცენარები, რომლებიც ითვალისწინებს დარტყმებს რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენებით, რომლებსაც შეუძლია ბირთვული ქობინების გადატანა. ჩვენ იძულებულნი ვართ, გავითვალისწინოთ ალიანსისა და მისი წევრი ქვეყნების სამხედრო საქმიანობა და შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ...“

**რას ნიშნავს საქართველოსთვის, ერთი მხრივ, ნატოს გენერალური მდივნის განცხადება შავი ზღვის რეგიონში წარმომადგენლობის გაზრდის თაობაზე და, მეორე მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია შესაბამის რეაგირებაზე, რომელსაც მოსკოვი უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე ახორციელებს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი რუსეთის მხრიდან საქართველოსა და უკრაინის მიმართ განხორციელებული მზარდი სამხედრო თუ პოლიტიკური ექსპანსიის საპასუხოდ ზრდის წარმომადგენლობას რეგიონში, როგორც ხმელეთზე, ისე საზღვაო და საჰაერო სივრცეებში. საქართველოში ამას ერთგვარი პოლიტიკური ოვაციები და ჟრიამული მოჰყვა, თუმცა 3 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზახაროვამ განაცხადა, რომ ალიანსის აქტიურობა შავი ზღვის რეგიონში ძირს უთხრის სტაბილურობას, რომლის გამოც ოფიციალური მოსკოვი იძულებულია, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს. რას ნიშნავს ჩვენთვის ეს ყველაფერი, რა გამოწვევების წინაშე დადგება მომავალში საქართველო, თუ ნატო მართლა შეეცდება აქ გარკვეული წარმომადგენლობის გაზრდას რუსეთის საწინააღმდეგოდ?**

— აბსოლუტურად სწორად შენიშნეთ: ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ნამდვილად არის რაღაც ჟრიამული და ოვაციები, რომლებიც, ჩემი აზრით, გადაჭარბებულია, თუმცა ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დასავლელი პოლიტიკოსებისა და მათ შორის ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან მსგავსი განცხადებები ხშირად კონკრეტიკას არის მოკლებული. ყოველთვის გვესმის ხოლმე ზოგადი ფრაზები, რომ აი, დემოკრატიას რაღაც ემუქრება, აი, პარტნიორი ქვეყნების სუვერენიტეტი ხელყოფილია და საჭიროა ზომები, მაგრამ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: კონკრეტიკის გარეშე ძნელია ამა თუ იმ პოლიტიკური გზავნილის მარგი ქმედების კოეფიციენტის შეფასება, ვინაიდან პოლიტიკა შედეგებია. ჯერჯერობით ეს შედეგები მაინცდამაინც თვალსაჩინო არ არის. რაც შეეხება რუსეთის საპასუხო რეაქციას, კონკრეტულად **ზახაროვა,** ჩვენი **ირაკლი კობახიძის** არ იყოს, ხანდახან პოლიტიკურ დაუკრეფავში გადადის ხოლმე, რაც დიპლომატიის ჩარჩოებში ვერ ჯდება, თუმცა ვფიქრობ, კრემლი ჯერჯერობით გამაფრთხილებელი განცხადებით შემოიფარგლება და დაელოდება რეალურ შედეგებს...

**«დღეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, სამხედრო მოკავშირე არ ჰყავს პოლიტიკურ დონეზე და, საერთოდ, ჩვენ ვართ აბსოლუტურად უქომაგო ქვეყანა, რაც, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცის რუსეთმაც, იციან რეგიონის სხვა ქვეყნებმაც»**

**— რა შეიძლება, იყოს ეს რეალური შედეგი?**

— რეალური შედეგი, რომელსაც მოსკოვის მხრიდან კონკრეტული რეაქცია მოჰყვება, შეიძლება იყოს ის, რომ, მაგალითად, შავი ზღვის რეგიონში, მათ შორის საქართველოს აკვატორიაში, ნატოს სამხედრო წვრთნები გახშირდეს. ეს უკვე იქნება, როგორც დიპლომატები იტყვიან, დროშის დემონსტრაცია, თუმცა კონკრეტული ობიექტური გარემოება, რომელმაც შეიძლება, ერთი მხრივ, რუსეთის აგრესია, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი აღფრთოვანება გამოიწვიოს, აი ავშენდითო, ასეც არ არის; რას ვგულისხმობ? ვთქვათ, მართლა გახშირდა ეს სტუმრობა, შემოვიდნენ ალიანსის სამხედრო გემები, ჩატარდა წვრთნები და წავიდნენ, მერე რა? ეს ერთი, მეორე — დღეს ჩვენ საკითხს ასე ვუდგებით — ან ყველაფერი, ან არაფერი! ე.ი., ნატოს წევრობის გარდა, სხვა ყველაფერი არაფერია. არადა, ფაქტია: **დღეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, სამხედრო მოკავშირე არ ჰყავს პოლიტიკურ დონეზე და, საერთოდ, ჩვენ ვართ აბსოლუტურად უქომაგო ქვეყანა, რაც, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცის რუსეთმაც, იციან რეგიონის სხვა ქვეყნებმაც.** რაც შეეხება ისევ ნატოს გენერალური მდივნის განცხადებას, რომ სურთ, დაიცვან უკრაინისა და საქართველოს დემოკრატიები, თუ დააკვირდებით, **მსგავსი განცხადებების შემდეგ აქტიურდება ხოლმე ბორდერიზაციის პროცესი. ამით, ფაქტობრივად, რუსეთი გამოხატავს თავის პოზიციას — აბა, მოვიდეს „ნატო“ და, თუ ასეთი მაგარია, ამოთხაროს ეს ბოძები. შედეგად, საქართველო დღითიდღე კარგავს ტერიტორიებს და ჯერჯერობით არანაირი პოლიტიკური ნიშანწყალი ამ მდგომარეობიდან თუნდაც ნაწილობრივ გამოსვლის არ ჩანს.**

**— გარდა იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იმაგრებს პოზიციებს, რა შეიძლება იყოს მისი პასუხი ნატოს გააქტიურებაზე, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში? სხვათა შორის, ზახაროვამ თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი ყურადღებით აკვირდება ალიანსის წვრთნებს ბულგარეთსა და რუმინეთში, სადაც სწავლებებისას მუშავდება რუსეთზე დარტყმის სცენარები...**

— რუსეთი, რა თქმა უნდა, ყველაფერს ყურადღებით აკვირდება და ეს არც უნდა გვიკვირდეს. რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებას, არ მგონია, მოსკოვი ნატოს ხელმძღვანელობის განცხადებების საპასუხოდ ხვალ-ზეგ რაღაც ფართომასშტაბიან მოქმედებებს წამოიწყებს, ამას გამოვრიცხავ, მაგრამ ის, რომ გარკვეული მზადყოფნაა სხვადასხვა შემთხვევებისთვის, უკვე აშკარაა. სხვათა შორის, ძალიან სასიამოვნო იყო ის, რომ საახალწლოდ გაგრძელდა ქართული პროდუქციის გატანა რუსეთში. ამით, ცხადია, ქართული ეკონომიკა იგებს...

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება ალიანსის წარმომადგენლობის გაზრდა საქართველოში ამის შემაფერხებელი და, შესაბამისად, გარკვეული ეკონომიკური სირთულეების შემქმნელი აღმოჩნდეს საქართველოსთვის?**

— ამის გამორიცხვა არ შეიძლება. რატომაც არა, ჩაკეტავს და მორჩა. სხვათა შორის, რთველმა, მოგეხსენებათ, ჩაიარა და ახლა ღვინის სეზონი მოდის. ეს ღვინო საექსპორტოდ მზადდება და გასატანია. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით შეიძლება შეიქმნას პრობლემები, ეს სავსებით რეალურია, მაგრამ ცხადია, ეს პრობლემები ისევ და ისევ რიგითი მოქალაქეების კისერზე გადაივლის. საერთოდ, რუსეთს ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს საქართველოზე ზემოქმედებისთვის, ამიტომ, კიდევ გავიმეორებ: **ის პოლიტიკური ჟრიამული, რომ ნატო დაგვეხმარება და რაღა გვიჭირს, ცოტა არ იყოს, არასერიოზულია.** რაც შეეხება შავ ზღვაში ალიანსის გააქტიურებას და, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენს მოლოდინს, ყველაფერთან ერთად ჩვენ ერთი რამეც უნდა გვახსოვდეს: შავი ზღვის რეგიონი არ არის მხოლოდ საქართველო, აქ ჩვენზე გაცილებით მნიშვნელოვანია უკრაინის სანაპიროები, იმავე რუმინეთისა და ბულგარეთის. გამგები, ალბათ, გამიგებს, ამიტომ **ამ ჟივილ-ხივილსა და ოვაციებს დასავლელი ლიდერების განცხადებებზე ჯობია, რაღაც-რაღაცეები ავწონ-დავწონოთ; ყველაფერი გავაანალიზოთ და რეალობასთან მიახლოებული ობიექტური დასკვნები გამოვიტანოთ.**

**— საქართველომ რა პოლიტიკა უნდა გაატაროს იმისათვის, რომ ის რეგიონში, ერთი მხრივ, ალანსის გააქტიურებისა და, მეორე მხრივ, რუსეთის საპასუხო მოქმედებების ფონზე დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების ეპიცენტრად არ იქცეს, რაც ბუნებრივია, ჩვენთვის დადებითი შედეგების მომტანი ვერ იქნება?**

— ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ამას ყოველთვის გავიმეორებ: **დღეს ჩვენ კვალიფიციური, პრაგმატული დიპლომატიური სამსახური, სამწუხაროდ, არ გვყავს; და ამის უპირველესი მიზეზია ის, რომ არ არსებობს ანალიტიკური ცენტრები, არ მიმდინარეობს საუნივერსიტეტო განხილვები და ა.შ. ანუ, პოლიტიკა, ფაქტობრივად, გადაქცეულია დილეტანტების თავშესაფრად.** რაც შეეხება შეკითხვას, რა პოლიტიკა შეიძლება გატარდეს იმისთვის, რომ დაპირისპირების ეპიცენტრად არ ვიქცეთ, თეორიულად ყველაფერი ძალიან მარტივია — სახელმწიფო პოლიტიკისა და დიპლომატიის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ჩვენი ეროვნული, ჩვენი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. ეს ისეთი წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა თანხმდება. მაგრამ დღეს ამის ნიშანწყალი არ ჩანს, არ ჩანს არც ერთ პოლიტიკურ დონეზე — არც ხელისუფლებისა და არც ოპოზიციური სპეტრისგან. ღმერთმა ქნას, გამოჩნდეს... აი, ეს არის მარტივად, მოკლედ რომ ვთქვათ, მიზეზი იმისა, რომ **მუდმივად ვიმყოფებით რაღაც ილუზიებში, აი, ნატო გვიშველის, აი, ევროკავშირი და ა.შ. რეალურად კი შედეგი არის უცვლელი — საქართველო ვერც ერთ ასპარეზზე — ვერც პოლიტიკურ, ვერც დიპლომატიურ, ვერც ეკონომიკურ და ა.შ. ვერანაირ ხელშესახებ წარმატებას ვერ აღწევს.** სამწუხაროდ, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ამ პოლიტიკითა და პრინციპებით უკეთესს არაფერს უნდა ველოდოთ, ამ პოლიტიკის შედეგად საქართველო მუდმივად დარჩება სტაბილური სტაგნაციის რეჟიმში, რომლის შედეგებიც მერე და მერე, რა თქმა უნდა, გაცილებით მძიმე აღმოსაფხვრელი იქნება...

**«რაც შეეხება ისევ ნატოს გენერალური მდივნის განცხადებას, რომ სურთ, დაიცვან უკრაინისა და საქართველოს დემოკრატიები, თუ დააკვირდებით, მსგავსი განცხადებების შემდეგ აქტიურდება ხოლმე ბორდერიზაციის პროცესი. ამით, ფაქტობრივად, რუსეთი გამოხატავს თავის პოზიციას — აბა, მოვიდეს ნატო და, თუ ასეთი მაგარია, ამოთხაროს ეს ბოძები»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთი ხმაურით წარმოგვიდგინეს ნატოს გენერალური მდივანი, რომ სიხარულისგან კინაღამ გადმოცვივდნენ ეკრანიდან. თავიანთ მამას ვერ მიაგებდნენ იმდენ პატივს, რამდენიც ამ ცრუპენტელა იენს სტოლტენბერგს მიაგეს, რომელმაც საქართველოს შესახებ წლების განმავლობაში დახვეწილი თაღლითური ტექსტი წარბშეუხრელად ჩაარაკრაკა.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამეთორმეტე გადაცემა

# უქმური სიზმრის დასასრული



**ვალერი კვარაცხელია:**
— გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

ზამთრის არცთუ ცივი, მაგრამ მაინც პირქუში და მელანქოლიისმომგვრელი ამინდები დაიწყო. ქალაქის ცენტრალურ უბანში (ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩაზე) საკუთარი აივნიდან ვადევნებ თვალს უჩვეულოდ მოწყენილ პეიზაჟსა და ავტომანქანებისგან დაცარიელებულ ქუჩას. უზარაზარი ჭადრები, რომლებიც ზამთარს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განუძარცვავს დამჭკნარ-გაყვითლებული ფოთლებისგან, წელს უფრო საცოდავად გამოიყურებიან, ვიდრე ზამთრის პირზე ხდება ხოლმე. ქუჩის გაღმა, ძველებური, თბილისური თაღით დამშვენებული ეზოდან სახეზე ნიღაბაფარებული მოხუცი მამაკაცი გამოვიდა ჯოხის კაკუნით, გეზი მარჯვნივ აიღო და მალე თვალსაც მიეფარა. კარგა ხანს ადამიანი აღარ გაჭაჭანებულა მთაწმინდის ამ ბებერ ქუჩაზე. ცოტა ხანში ჭრელმა, გამხდარმა კატამ ფრთხილი და მოზომილი ნაბიჯებით გადაკვეთა „გრიბოედოვი" და საკენკის ძებნით გართული მტრედი დააფრთხო. ნახევარი საათის განმავლობაში სხვა არაფერი აღარ მომხდარა, პანდემიური სიჩუმით გარინდებულიყო სხვა დროს მუდამ მშფოთვარე და ხმაურიანი ქუჩა.

**შეიცვალა თბილისი, დარდიანი გახდა, გულჩათხრობილი, ერთფეროვანი. აღარც სტუმარი, აღარც მასპინძელი, აღარც ქორწილი, აღარც ქელეხი. ხალხმა თავის ჭირსა და ლხინთან (თუმცა, სადღაა ლხინი?!) მარტო დარჩენა ამჯობინა და ბინებში ჩაიკეტა. ათასში ერთხელ გარეთ გამოლასლასებულ, საგულდაგულოდ თავყბააკრეულ ვინმეს თუ მოჰკრავ თვალს, რომელიც პურის ან წამლის საყიდლად იქნება გამოსული...**

არ გადაგღლით ჩემი აივნიდან დანახული სურათების აღწერით, რადგან თქვენი აივნებიდანაც ანალოგიურად სევდიანი სურათები იშლება. ის კი არა, საერთოდაც არ შემოვიტანდი ამ სენტიმენტურ განწყობას, რომ არა ერთი გარემოება, რომელიც ჩვენი დღევანდელი გადაცემის მთავარი თემაა.

პანდემიამ ყველაფერი შეცვალა: ცხოვრების წესი, ნირი, თვით ადამიანი და მისი ბუნება... მართალი გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, ამ შეცვლილ, გადასხვაფერებულ გარემოში რამე თუ იქნებოდა ისე ხელუხლებელად და უცვლელად დარჩენილი, რომ რაღაცით შემძრავდა კიდეც. ეს შემზარავი უცვლელობა აივნიდან არ მინახავს, იგი ბინაში შესულსა და ტელევიზორთან ჩამომჯდარს მელოდა. **გადაცემის წამყვანი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე გვიყვებოდა, რომელიც წინა დღეს გაიმართა.**

**გადაცემის წამყვანები:**
— ნატოს მინისტერიალზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას და კიდევ იმას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო...

**ვალერი კვარაცხელია:**
**— ბედნიერებისგან აჭყლოპინებული ეს გოგობიჭი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ნეტა, მართლა ასე ძალიან ახარებთ საქართველოსთვის ნატოს წევრობის პერსპექტივა თუ უფროსებისგან აქვთ დავალებული, რომ ხბოს აღტაცებით წაიკითხონ მათთვისვე დაწერილი და სუფლიორზე აკრეფილი ტექსტი, რომლის შინაარსის გაცნობიერებით თავს მაინცდამაინც არც იწუხებენ.** კი მაგრამ, ამ შინაარსის ტექსტი იმდენჯერ აქვთ წაკითხული, რომ ის პათოსი, რომლითაც ამ აზრისგან დაცლილსა და სულელურ ტექსტებს გადმოსცემენ, მათშივე უნდა იწვევდეს უხერხულობის განცდას, მაგრამ, არა, ისინი თოჯინები არიან, გარეგნობითაც თოჯინები არიან და შინაგანადაც. თოჯინების სული და გონება აქვთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თოჯინების ცნობიერება აქვთ. ერთს ქალის სამოსელი აცვია, მეორეს — კაცის, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, გენდერული ბალანსი დაცულია. ეს გარეგნულად, თორემ შიგნით რას წარმოადგენენ, ღმერთმა უწყის...

— ღმერთო ჩემო, — ვფიქრობ, — ეს რა ხდება? ისე შეიცვალა ირგვლივ ყველაფერი, რომ **დღისით, მზისით, თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ერთი მოხუცებული ადამიანი, ერთი კატა და ერთი მტრედი დავლანდე, ამ წყეული ნატოს მიმართ კი როგორ არ იცვლება არაფერი?!**

ტელეწყვილმა კიდევ კარგა ხანს იჭყლოპინა ნატოს თემაზე, შემდეგ კი **ისეთი ხმაურით წარმოგვიდგინეს ნატოს გენერალური მდივანი, რომ სიხარულისგან კინაღამ გადმოცვივდნენ ეკრანიდან. თავიანთ მამას ვერ მიაგებდნენ იმდენ პატივს, რამდენიც ამ ცრუპენტელა იენს სტოლტენბერგს მიაგეს, რომელმაც საქართველოს შესახებ წლების განმავლობაში დახვეწილი თაღლითური ტექსტი წარბშეუხრელად ჩაარაკრაკა.**

**იენს სტოლტენბერგი, ნატოს გენერალური მდივანი:**
— ნატოს 2030-ის სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა ალიანსის გაძლიერებაა, რომელიც პარტნიორებთან, მათ შორის, საქართველოსთან თანამშრომლობის განმტკიცებას გულისხმობს. საქართველოსა და ნატოს პარტნიორობა ყველას უფრო დაცულს გვხდის, ამიტომ მტკიცედ მჯერა, რომ ეს პარტნიორობა კარგია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნატოსთვისაც. საქართველოსთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ შავი ზღვის რეგიონში. საქართველოს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას ვუწევთ. ჩვენ ასევე გავაძლიერეთ ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და ახლა ერთად უფრო მეტს ვაკეთებთ საზღვაო სფეროში, მათ შორის, ვწვრთნით სანაპირო დაცვის სამსახურს, ერთმანეთს საჰაერო სივრცეში გადაადგილების მონაცემებს ვუზიარებთ და ერთად ვპასუხობთ ჰიბრიდულ გამოწვევებს. ასევე, ერთობლივ წვრთნებს ვატარებთ შავ ზღვაში. არ დავიწყებ სპეკულაციებს, როდესაც საქმე ნატოში გაწევრების თარიღს ეხება, თუმცა ვიტყვი, რომ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია. მჯერა, რომ საქართველოსთვის ალიანსთან დასაახლოებლად საუკეთესო გზად რჩება რეფორმების **იმპლემენტაცია,** უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტების **მოდერნიზაცია** და ნატოს მოკავშირეები აგრძელებენ საქართველოს მხარდაჭერას. ნატო უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში. ვგულისხმობ ნატოს ტრეინინგცენტრს თბილისთან ახლოს.

**ვალერი კვარაცხელია:**
— ეეეჰ, ხანდახან სურვილი და რეალობა ისე სცილდება ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა. არაფერი ისე არ მსურს ახლა, როგორც ერთი რამ: აგერ, ჩემს სახლთან, სიძე-სიმამრის — **ალექსანდრე გრიბოედოვისა** და **ალექსანდრე ჭავჭავაძის** ქუჩების კვეთაზე **რომ შემახვედრა ეს გარეწარი სტოლტენბერგი, იმდენს ვურტყამდი ჩვენს გასაბრიყვებლად მოგონილი ამ ორი სიტყვის გამო — „იმპლემენტაცია" და „მოდერნიზაცია", სანამ მათ ნაცვლად ბოდიში და პატიება არ გაახსენდებოდა. კი ვარ მოხუცებულობისკენ წასული, მაგრამ მკლავებში იმდენი სიმტკიცე ჯერ კიდევ შემრჩენია, რომ ჩემი ხალხის გაცუცურაკებისთვისა და ათწლეულების განმავლობაში თვალებში შეყრილი ნაცრისთვის ეს გარეწარი მთაწმინდის ტალახიან ქვაფენილზე ვაგორავო და ჯოხით ავუჭრელო გვერდები, მაგრამ სად არის, აბა?!**

ამასობაში წამყვანებმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოგვიდგინეს. აგერ, ახლავე მოგასმენინებთ, რაც ამ უბედურ დღეზე გაჩენილმა ილაპარაკა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რა სახით ლაპარაკობდა. **ვერც ერთი მწერალი ვერ შეძლებს ლიქნისა და წახდომის იმ მასშტაბის აღწერას, რომელიც ამ ადამიანის სახეზე იყო აღბეჭდილი. კაცი აღარ არსებობდა, ნატოსა და დასავლეთის შესახებ ისეთი აღტყინებითა და აუხსნელი ნეტარებით ყვებოდა, რომ სახე, სახელი, გვარი, წარმომავლობა, გე-** ▶

**სააკაშვილო, გახარია, ზალკალიანო... ქოცებო და ნაცებო, ასე საოცრად როგორ დაგამსგავსეს ერთმანეთს დასავლეთში მოკალათებულმა გარეწრებმა, რომ დედათქვენებსაც უჭირთ ერთმანეთისგან თქვენი გარჩევა?! იმ ნატოსა და ევროკავშირის გარდა, იმ დასავლური სტრუქტურებისა და დასავლური თაღლითობების გარდა, არსებობს სამშობლო, არსებობს თავმოყვარეობა, არსებობს ზნეობა და არსებობს ადამიანური ღირებულებები. ყველაფერზე როგორ ამბობთ უარს?! რას ილებთ ასეთს, ან რას გპირდებიან და რა სიმდიდრეში უნდა გაგანავონ მაგ თახსირებმა, თვალებში სინათლე რომ გაქვთ დაკარგული?!**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვერც ერთი მწერალი ვერ შეძლებს ლიქნისა და წახდომის იმ მასშტაბის აღწერას, რომელიც ამ ადამიანის სახეზე იყო აღბეჭდილი. კაცი აღარ არსებობდა, ნატოსა და დასავლეთის შესახებ ისეთი აღტყინებითა და აუხსნელი ნეტარებით ყვებოდა, რომ სახე, სახელი, გვარი, წარმომავლობა, გენი, ჯიში — ყველაფერი წაშლილი ჰქონდა.

**◀ ნი, ჯიში — ყველაფერი წაშლილი ჰქონდა.**

**დავით ზალკალიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:** — კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც მინისტერიალზე მივიღეთ, გახლავთ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ნატოს შესაბამისი ექსპერტების მიერ. ეს გახლავთ ნატოს 2030-ის სტრატეგია. ეს არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ნატოს სამომავლო პერსპექტივებს, თუ რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ორგანიზაცია და რა მნიშვნელოვან მიმართულებებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. აღსანიშნავია, რომ **ამ დოკუმენტში საქართველო რამდენჯერმე არის მოხსენიებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვართ მოხსენიებული ზუსტად ღია კარის მიმართულებით.** ხაზს ვუსვამ: ამ დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილში აღნიშნული და კიდევ ერთხელ დადასტურებულია 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და იქვე არის მინიშნება, რომ ასპირანტი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მიმართ უფრო მაღალ დონეზე უნდა გადავიდეს მოლაპარაკებები გაწევრების შესახებ.

დოკუმენტში, ასევე, საუბარია რუსეთის მხრიდან უკრაინისა და საქართველოს მიმართ აგრესიულ ქმედებებზე. გუშინდელ შეხვედრაში გამოითქვა ერთსულოვანი მხარდაჭერა საქართველოსა და მისი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ამ სტრატეგიულ დოკუმენტშია, გახლავთ მოწოდება ნატოს წევრი ქვეყნების მიმართ, რომ გააფართოვონ ნატოს ასპირანტებსა და პარტნიორებთან თანამშრომლობა, აქაც მოხსენიებულია საქართველო უკრაინასთან და ბოსნია ჰერცოგოვინასთან ერთად. ასევე, საუბარია შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტზე და უკრაინასა და საქართველოს მიმართ რუსეთის მხრიდან აგრესიულ ქმედებებზე. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო მუდმივად არის ჩვენი ნატოელი პარტნიორების დღის წესრიგში, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები მათთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი და გუშინდელი შეხვედრა ჩემი მხრიდან მაქსიმალურად იყო გამოყენებული იმისთვის, რომ ნატოელი პარტნიორებისთვის დეტალურად მიმეწოდებინა ინფორმაცია რეგიონში შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე, იმ გამოწვევებზე, რომელთა გამკლავებაც გვიწევს ჩვენს რეგიონში და ასევე შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში გაძლიერებულ თანამშრომლობაზე. ვფიქრობ, ეს იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, წარმატებული მინისტერიალი საქართველოსთვის. საქართველო უკვე ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგულარულად არის მიწვეული ნატოს მინისტერიალზე. მანამდე, 2018 წელს, ჩვენ პირველად მივიღეთ უპრეცედენტო ფორმატში მონაწილეობა, სამიტის ფორმატში, როცა უკრაინა და საქართველო იყვნენ მიწვეულნი და უკვე ორი წელია, საქართველო აქტიურად მონაწილეობს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში.

**ვალერი კვარაცხელია:** — მოდი და ნუ გაბრაზდები?! **ბიჭო, შე მართლა ოხერო და მუდრეგო, მაგ მინისტრის პორტფელს (მდგომარეობას, ანაზღაურებას) ციებიანივით რომ დაჰკანკალებ, გასაგებია, მაგრამ, სანამ საკუთარ ხალხს ასე ვაგლახად მოატყუებ, ხომ უნდა იფიქრო, ამ ჩემს ტყუილში ერთი ახალი სიტყვა, ჟესტი ან მიმიკა მაინც უნდა ერიოსო?! ის საკენკი, რომლითაც შენ მინისტერიალიდან გამოგიშვეს, ხომ მილიონჯერ აქვთ ჩვენთვის დაყრილი მაგ გარეწრებს? ვერ უთხარი, ერთი ახალი სიტყვა მაინც მასწავლეთ, ჩემი ხალხი კიდევ ცოტა ხნით რომ მყავდეს იმ ახალი სიტყვის ბურანშიო?!** ერთი ახალი, უბრალოდ ცრუ და არაფრისმთქმელი, მაგრამ მაინც ახალი სიტყვაც კი არ გამოიმეტეს ჩვენთვის და ყველაფერი იმის იმედად დატოვეს, რამდენად დამაჯერებლადააფახულებდი მაგ თვალებს ტელეეკრანზე და მრავალმნიშვნელოვნად როგორ მინაბავდი მზერას?! ის მაინც გეთქვა მაგ შენი პატრონებისთვის, — ამაოდ ირჯებით და მეც ამაოდ მაიძულებთ, გავისარჯო, ქართველ ხალხს აღარ სჯერა თქვენი ტყუილების-თქო.

არადა, სულო ცოდვილო, ისიც კი ვიფიქრე, ამ ცრუპენტელა მინისტრს ახლა მთავრობის თავმჯდომარე ტყავს გააძრობს-მეთქი. — როგორ, შე კაი კაცო, მაგ მინისტერიალიდან ერთი ახალი სიტყვაც კი ვერ ჩამოგვიტანე და ხალხი თვალში მიყრილ ნაცარზე დაგყაბულდება? — აი, ასე ეტყვის პრემიერმინისტრი-მეთქი, — გავიფიქრე და გენდერულად შეხმატკბილებულმა წამყვანმა, წყვილმა თითქოს ჩემს ნაფიქრს ჩასწვდაო, სიტყვა ბატონ **გიორგი გახარიას** გადასცა. — ნახე, როგორ შეჯოროს პრემიერმინისტრმა გახარიამ საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი! — გავიფიქრე და სანახაობის საყურებლად მოვემზადე.

**გიორგი გახარია, საქართველოს პრემიერმინისტრი:** — მინდა, მადლობა გადავუხადო და მივულოცო საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს წარმატებული მონაწილეობა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე, სადაც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი გზავნილები იყო გახმაურებული. რა თქმა უნდა, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ნატოს მყარი მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკის გაგრძელების მიმართ, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის თითოეული მეგობარი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს, როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრების პროცესის შემდგომ გაღრმავებას. მათ პრაქტიკული ნაბიჯებითა და გეგმებით მხარი დაუჭირეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, რომელიც ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია სწორად არის აღქმული ჩვენი პარტნიორებისა და მეგობარი ქვეყნების მხრიდან.

**ვთქვათ და, ხვალვე მიგვიღეს ნატოში, დაკარგულ ტერიტორიებზე რას გვირჩევთ ქართველ ხალხს, იმავეს, რაც მაგ გათახსირებულმა სტოლტენბერგმა გვირჩია, — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნატოს წესდების მეხუთე მუხლის გავრცელებაზე უარი თქვითო? პანდურითა და კინწისკვრით უნდა გაგვეგდო მაშინ აქედან ეგ არამზადა, მაგრამ ვინ გააკეთებდა ამას, საქართველოს ხომ არ ჰყავს ხელისუფლება?!**




**ვალერი კვარაცხელია:** — ბიჭებო, თქვენ რაღაც ხომ არ გეშლებათ?! გეშლებათ კი არა, ისე მაგრა გეშლებათ, რომ, **იმ თქვენი სტოლტენბერგისა არ იყოს, არც თქვენ გაწყენდათ ზურგის** აჭრელება მოქნილი სახრით. **ვინ არის თქვენი „გასაშაყირებელი“, თქვე მართლა ათასგზის „გაშაყირებულებო“?! ქართველ ხალხს ახლა, 2020 წლის მიწურულს, ის აკადრო, რომ ნატოს ღია კარი უხსენო, თავხედობის რა უკიდეგანო ჯავშანი უნდა გიფარავდეს სინდის-ნამუსთან ასე მწყრალად მყოფ მაგ თავ-ყბას?! კარი ღია დაგვიტოვესო, ვაი, თქვენს პატრონს! თორმეტი წლის წინათ, ბუქარესტის სამიტზე რომ მოაღიავეს ეს კარი, შეგვიშვეს შიგ, თუ როგორაა საქმე?!**

არ გახსოვთ ბუქარესტის სამიტი? ახლავე შეგახსენებთ, მე ასეთი ამბები არ მავიწყდება. არა მხოლოდ ბუქარესტის სამიტი მახსოვს, იმ სამიტითა და მისი გადაწყვეტილებით საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის გადარევაც მახსოვს. ახლავე შეგახსენებთ ყველაფერს და იმასაც გთხოვთ, რომ გახარიას ახლანდელ შეფასებასა და სააკაშვილის იმჟამინდელ შეფასებაში არა ათი ან ხუთი, ან თუნდაც სამი, ერთი განსხვავება მაინც იპოვოთ...

**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი:** — ბუქარესტის სამიტზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა ერთორ სკეპტიკოსსა და ოცზე მეტ ძალიან მოტივირებულ ქვეყანას შორის. მე ვნახე პოლონეთის პრეზიდენტი, **ლეხ კაჩინსკი** ამ შეხვედრებზე და იყო მართლა გასავათებული, დაღლილი, მაგრამ ძალიან ბედნიერი ამ ყველაფრის შედეგად. პოლონეთმა იბრძოლა საოცრად, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა იბრძოლეს ძალიან მაგრად. პრაქტიკულად, იყო ძალიან დიდი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ამ ქვეყნებს შორის და სკეპტიკოსებს შორის. თქვენ წარმოიდგინეთ, დანიამ და ისლანდიამაც კი, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობები არ გვაქვს, ძალიან მკვეთრი პოზიცია დაიკავეს.

საბოლოო ჯამში, **ჩვენ მივიღეთ დოკუმენტი — ბუქარესტის სამიტის კომუნიკე, რომელიც არის ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ე.წ. MAP. რა არის MAP? MAP არის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმა. ეს არის დაპირება, რომ, თუ სამოქმედო გეგმას კარგად გაივლი, შეიძლება, მე ხაზი მინდა გავუსვა, გახდე ნატოს წევრი.** დღეს **აქ**, რუმინეთში, ეს არ არის ბოლო ვერსია, მაგრამ ეს არის პარტიზანულად მოპოვებული ვერსია. ამ დოკუმენტში წერია: „ნატო მიესალმება უკრაინისა და საქართველოს ევროატლანტიკურ ლტოლვას და დღეს ბუქარესტში ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს ქვეყნები გახდებიან ნატოს წევრები“.

ეს არ მიუღიათ თავის დროზე არც ბალტიის ქვეყნებს, არც პოლონეთს, ჩეხეთს, უნგრეთს და არც სხვა კანდიდატებს ნატოსი. ეს არის პირდაპირი ვალდებულება, მიუხედავად იმისა, როგორ გავივლით ჩვენ კანდიდატობის გეგმას, როდის გავივლით, როდის მივიღებთ სხვადასხვა ეტაპზე ასეთ თუ ისეთ შეფასებას, ეს არის პირდაპირი ვალდებულება ალიანსის მხრიდან, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები.

ეს რუბიკონია საქართველოსთვის და მეტსაც გეტყვით, ჩვენ გავხდებით ნატოს წევრები, დარწმუნებული ვარ, ჩემი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე ბევრად უფრო მალე.

არ არის საიდუმლო, რომ ამ დისკუსიებს ერთი ქვეყანა, რუსეთი, არ ესწრებოდა, მაგრამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს დოკუმენტი არ ყოფილიყო – დაწყებული პირდაპირი შანტაჟით, მუქარით, კონკრეტული ქმედებებით, დაპირებებით, სხვადასხვა დიპლომატიური ფანდებით და ხერხებით. აი, ამაზეა ნათქვამი: თაგვმა თხარა, თხარაო და კატა გამოთხარაო.

ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ჩვენთვის არ მოეცათ ნატოს კანდიდატის სტატუსი, ე.ი. თეორიული და პრაქტიკული დაპირება, რომ გავმხდარიყავით ნატოს წევრები და სანაცვლოდ მივიღეთ პირდაპირი ვალდებულება, რომ ჩვენ გავხდებით ნატოს წევრი.

**აი, ეს არის, რაც მიიღო დღეს აქ საქართველომ. ეს არის ისტორიული დღე ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ამ ორგანიზაციისთვის. ჩათვალეთ, რომ მოხდა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური გადატრიალება ჩვენს რეგიონში.**

პირველად როცა დავესწარი ნატოს სამიტს 4 წლის წინათ, გავოცდი. ამაზე ოცნებაც ნამდვილად არ შეგვეძლო — ნატოში ინტეგრაციის საკითხში აშშ-ის მხარდაჭერაზე. ვინც უნდა იყოს ამერიკის შემდეგი პრეზიდენტი და, სამი კანდიდატიდან ორი არის ჩვენი მეგობარი — ერთი ძალიან, ძალიან ახლო მეგობარი და მეორეც მეგობარი; და მესამე იყო ჩვენი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი სენატში ნატოში გაწევრების საკითხში. ასე რომ, ჩვენ ყველა შემთხვევაში ვართ ძალიან მომგებიან სიტუაციაში და ეს არ არის ამერიკის ამ პრეზიდენტის პოლიტიკა, თუმცა ამ პრეზიდენტთან მე მაქვს განსაკუთრებულად თბილი და მეგობრული ურთიერთობები.

ეს არის მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფოს ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოსთვის. მე არ მახსოვს ასეთ თემაზე სხვა საკითხი, როდესაც ამერიკამ და ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ ასეთი ენთუზიაზმით იბრძოლეს პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი საკითხის გადასაწყვეტად.

ადვილია ლაპარაკი ხორვატიასა და პოლონეთზე, ისინი არიან ევროპის ცენტრში, საქართველო ნატოში — ეს არასამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდან იყო 3 წლის წინათ. დღემდე არავის არ სჯერა, მგრამ აქ წერია: „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საქართველო იქნება ნატოში“. ეს არ არის დაპირება, ეს არ არის საპარლამენტო რეზოლუცია და რაღაც სახის ტექნიკური ვალდებულება.

ეს არის კონკრეტული სავალდებულო დოკუმენტი ნატოს სახელმწიფოთა მეთაურების. ამას ვერ შეცვლის ვერც მინისტრების შეხვედრა, ვერც პარლამენტის გადაწყვეტილება, ამას ველარ შეცვლის ვერც ერთი სახელმწიფოს დაწოლა, ზეწოლა, შანტაჟი, ბუზღუნი, ბურდღუნი და უკმაყოფილების სხვადასხვა გამოხატულება.

**ვალერი კვარაცხელია: — სააკაშვილო, გახარია, ზალკალიანო... ქოცებო და ნაცებო, ასე საოცრად როგორ დაგამსგავსეს ერთმანეთს დასავლეთში მოკალათებულმა გარეწრებმა, რომ დედათქვენებსაც უჭირთ ერთმანეთისგან თქვენი გარჩევა?! იმ ნატოსა და ევროკავშირის გარდა, იმ დასავლური სტრუქტურებისა და დასავლური თაღლითობების გარდა, არსებობს სამშობლო, არსებობს თავმოყვარეობა, არსებობს ზნეობა და არსებობს ადამიანური ღირებულებები. ყველაფერზე როგორ ამბობთ უარს?** რას იღებთ ასეთს ან რას გპირდებიან და რა სიმდიდრეში უნდა გაბანავონ მაგ თახსირებმა, თვალებში სინათლე რომ გაქვთ დაკარგული?! **ვთქვათ და, ხვალვე მიგვიღეს ნატოში, დაკარგულ ტერიტორიებზე რას გვირჩევთ ქართველ ხალხს, იმავეს, რაც მაგ გათახსირებულმა სტოლტენბერგმა გვირჩია, — აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნატოს წესდების მეხუთე მუხლის გავრცელებაზე უარი თქვითო? პანდურითა და კინწისკვრით უნდა გაგვეგდო მაშინ აქედან ეგ არამზადა, მაგრამ ვინ გააკეთებდა ამას, საქართველოს ხომ არ ჰყავს ხელისუფლება?!**

გამოფხიზლდი, ქართველო ხალხო, ამიერკავკასიაში (საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში) რუსი სამხედროები დგანან. რა დროს ნატოა და რა დროს სტოლტენბერგია?! დამთავრდა ნატოს ეგ უჟმური სიზმარი, ისე დამთავრდა, რომ არასოდეს არ დაგესიზმრებათ!

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში, ისევე, როგორც საბერძნეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, გარკვეული ძალები ყველანაირად ცდილობენ, ეს პანდემია გამოიყენონ ეკლესიებში ღვთისმსახურების შესაჩერებლად. ამას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხედავს, ამიტომ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ეს ადამიანები არიან ეკლესიის მტრები, რომლებიც ფულს იღებენ ხელფასის სახით, რათა ხალხი როგორმე დაუპირისპირონ ეკლესიას“.**



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, — ჭეშმარიტებას როცა ებრძვი, ჭეშმარიტება ძლიერდება

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოში მოქმედმა სხვადასხვა რელიგიურმა გაერთიანებამ (რომელთაგან ზოგიერთი გამოირჩევა საპატრიარქოს დაუფარავი კრიტიკით) მთავრობას ერთობლივი წერილით მიმართა და გააპროტესტა პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნა მხოლოდ მართლმადიდებლურ დღესასწაულებზე. მათი შეფასებით, ეს გადაწყვეტილება მცდარი და უსამართლოა, ხოლო ვიცეპრემიერ მაია ცქიტიშვილის განცხადება, რომელმაც გამონაკლისი იმით ახსნა, რომ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია — დისკრიმინაციული. „რელიგიური გაერთიანებები შეშფოთებული ვართ საქართველოს მთავრობის ვიცეპრემიერ მაია ცქიტიშვილის პოზიციის გამო. ქალბატონმა მაიამ მიმდინარე წლის 27 ნოემბერს განაცხადა, რომ 6-7 იანვარს შობის აღნიშვნის მიზნით დაშვებული იქნება გამონაკლისი, ხოლო არგუმენტად დაასახელა გარემოება, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და უქმე დღეების უმრავლესობაც მართლმადიდებლური შინაარსისაა... იმ შემთხვევაში, თუ დასაშვებია, მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლისთვის გათვალისწინებული იქნას დღესასწაულის აღნიშვნის აუცილებლობა, სრულიად გაუგებარია, რა მოტივით უნდა შეიზღუდოს რელიგიური შეკრება და სადღესასწაულო მსახურება არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის? ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა რამე უპირატესობის მინიჭებას არ ითვალისწინებს...“**

განცხადებას ხელს აწერენ შემდეგი რელიგიური კონფესიები: **ქართველ მუსლიმთა კავშირი, სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო, ევანგელისტური ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, მუსლიმთა გაერთიანება, ევანგელური ეკლესია სიცოცხლის სიტყვა, მეგობართა საზოგადოება — კვაკერები, სვედენბორგის რელიგიური საზოგადოება, დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია, ხსნის არმია. აღსანიშნავია, რომ** გამონაკლისის სახით შობის აღნიშვნის დაშვებამ რელიგიურ კონფესიებთან ერთად საქართველოს სახალხო დამცველი **ნინო ლომჯარიაც** შეაშფოთა.

რატომ არის აუცილებელი საეკლესიო მსახურების გაგრძელება შეზღუდვების მიუხედავად და არის თუ არა რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაცია ის, რომ ტრადიციულ ქრისტიანულ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, 6 იანვარს შობის აღნიშვნა შეუზღუდავად მოხდეს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, მთავრობის გადაწყვეტილებით, 28 იანვრიდან ამოქმედებული შეზღუდვები ორ გამონაკლისს ითვალისწინებს: თავისუფლად გადაადგილების დაშვებას 31 დეკემბერს (ახალ წელს) და 6 იანვარს, შობის ღამეს. პრემიერმა განმარტება გააკეთა, მაგრამ გადაწყვეტილებამ ქვეყანაში მოქმედი რელიგიური კონფესიები და უცხოეთიდან დაფინანსებული „არასამთავრობო ორგანიზაციები“ შეაშფოთა. მათი განცხადებით, ეს გადაწყვეტილება რელიგიური დისკრიმინაციის გამოვლინებაა, რადგან მართლმადიდებელ ეკლესიას გარკვეულ პრივილეგიას ანიჭებს. კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რატომ არ უნდა დაიხუროს მართლმადიდებლური ტაძრები შეზღუდვების მიუხედავად და, განსხვავებით ქვეყანაში მოქმედი სექტებისგან, რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მართლმადიდებლობას, როგორც კულტურული, იდეოლოგიური, მენტალური და სხვა სახის იდენტობის საფუძველს.**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყველანაირად ცდილობს, დაიცვას უსაფრთხოების წესები, გაითვალისწინოს ექიმების რჩევები და მოუწოდებს მრევლს, გაუფრთხილდნენ, როგორც თავიანთ, ისე სხვების ჯანმრთელობას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ, მოგეხსენებათ, იყო და დღესაც არის საკმაოდ ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც მას, ფაქტობრივად ვირუსის გავრცელების პოტენციურ წყაროდ აცხადებდა. ასეთი ტერმინიც კი მოიგონეს — „ეკლესიის კლასტერი“, თუმცა არანაირი კლასტერი არ გაჩენილა და ამით ე.წ. ლიბერალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ... რაც შეეხება მართლმადიდებლობის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას საქართველოსთვის, უწინარესად, **ილია ჭავჭავაძის** სიტყვებს მოვიშველიებ: **„საქართველოს ისტორიიდან, ეკლესიის როლი რომ ამოვიღოთ, არაფერი დარჩება“...** ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცის ქალბატონმა **ლომჯარიამ,** რომელსაც გამონაკლისის სახით შობის აღნიშვნის დაშვება ისევე აღიზიანებს, როგორც სექტებს. ისე, საინტერესოა, **ასე ძალიან თუ აშფოთებთ ვინმესთვის რამე „პრივილეგიის“ მინიჭება, სად იყვნენ მაშინ, როცა ხელისუფლებამ პრაქტიკულად ექსკლუზიური უფლება მისცა ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, დემონსტრაციულად დაერღვია მთავრობის მიერ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვები?**

**— არჩევნების შემდეგ რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო გამოსვლებს გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა. ის კი არა, მახსოვს, 10 საათი რომ შესრულდა, **გიგი უგულავამ** დემონსტრაციულად, ჟურნალისტების თანხლებით შემოიარა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია და პროვოკაციულად მიმართავდა სამართალდამცველებს: აბა, მოდით, დამიჭირეთო. **ვეკითხები სახალხო დამცველსა და ყველა იმ ე.წ. არასამთავრობოს, რომლებიც დღეს ძალიან შეშფოთებულები არიან შობის აღსანიშნავად დაშვებული გამონაკლისის გამო: რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როცა უბრალო ადამიანებს ჯარიმებს უწერდნენ კომენდანტის საათის დარღვევისთვის, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის განაყოფებს რუსთაველზე ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული?** რა, ეს არ იყო უპირატესობის მინიჭება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის?

რაც შეეხება პრივილეგიას, დიახ, მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ქართული იდენტობის უმთავრეს საყრდენს, ბუნებრივია, აქვს პრივილეგია ამ ქვეყანაში. **მართლმადიდებლობა ჩვენი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ეროვნული, მენტალური და ეთნო-კულტურული თვითმყოფადობის ძირითადი საფუძველია,** ამიტომ სახელმწიფო ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობისთვის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე იქნას გათვალისწინებული. ეს არ ნიშნავს ვინმეს დაკნინებასა და დაჩაგვრას, მაგრამ ის, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნისა და ერის თვითმყოფადობისთვის, გამორჩეული უნდა იყოს. რადგან როლსა და მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, ერთ საინტერესო ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ: საუკუნეების წინათ, როცა მსოფლიოში ეპიდემიები მძვინვარებდა, მაგალითად, კონსტანტინოპოლში შავი ჭირი იყო, შემდეგ — მუცლის ტიფი და ა.შ., სამღვდელოება დადიოდა ქალაქის ქუჩებში და აკურთხებდა. დღეს ზოგიერთი მსგავს რაღაცებზე ქირქილებს, მაგრამ ამ ყველაფერმა იმხანად დიდი შედეგი გამოიღო, შედეგი თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობა ერთ მუშტად შეიკრა და, უფლის რწმენით, ერთად ებრძოდა დაავადების გავრცელებას. ზუსტად ასე იყო საქართველოს შემთხვევაშიც, **თუ ეპიდემია ვრცელდებოდა ან მტერი მოდიოდა, მოსახლეობის გამაერთიანებელი ყოველთვის იყო ეკლესია. თუმცა ეკლესიას მტრებიც ყოველთვის ჰყავდა და ეს ძალები ყველა ეპოქაში ერთი ერთზე ჰგავდნენ ერთმანეთს...**

**— დღევანდელ ანტიეკლესიურ ძალებზეც შეიძლება ამის თქმა?**

— რასაკვირველია. როგორც საუკუნეების წინათ მუშაობდა სპარსეთის თუ ოსმალეთის პროპაგანდა ფულით ნაყიდი ქართველების მეშვეობით, ისეა დღესაც. სოროსის ფონდიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ფაქტობრივად, ზუსტად იმეორებენ იმჟამინდელი ვეცხლისმოყვარე ქართველების ქმედებებს და ყველანაირად ცდილობენ ეკლესიის მარგინალიზაციას. **საქართველო ნორმალური სახელმწიფო რომ იყოს და ნორმალური ხელისუფლება გვყავდეს, ნებისმიერი გამოვლინება, იქნება ეს ცალკეული ინდივიდების თუ ჯგუფების მხრიდან, რომლებიც რამე ფორმით მიმართული იქნება ტრადიციული კულტურის მარგინალიზაციისკენ, დაისჯებოდა კანონით...**

**— ამის ნაცვლად მათ მმართველი გუნდი სრულ თავისუფლებას აძლევს. „ოცნება“ უკვე ერთგვარ თავის მართლების რეჟიმშია შობისთვის დაშვებული გამონაკლისის გამოც. სხვათა შორის, ამ გამონაკლისით შეშფოთებული ე.წ. ლიბერალების ერთი ნაწილი იმასაც წერდა, ხელისუფლება საპატრიარქოსგან გარკვეულ წნეხს განიცდის და ეს გადაწყვეტილებაც ამით არის განპირობებულიო.**

— ხელისუფლება, დღევანდელიც და წინაც, ვისგან რა წნეხს განიცდის, ყველამ ვიცით. ისინი იმართებოდნენ და დღესაც იმართებიან უცხოეთიდან დაფინანსებული მეხუთე კოლონისგან. აი, დააკვირდით, ვინ უზით გვერდით და ვისთან გადიან კონსულტაციებს, როცა რამე კანონს იღებენ ან „რეფორმებზე“ მსჯელობენ. რა თქმა უნდა, ეს არის ე.წ. მესამე სექტორი, რომელიც რეალურად პირველია ქვეყნის მართვაში. რაც შეეხება საპატრიარქოს, დამისახელონ თუნდაც ერთი კანონი, ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ხელისუფლებამ განახორციელა და იქ გადამწყვეტი სამღვდელოების პოზიცია იყო. ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: ევროპაში პანდემიის მეორე ტალღა რომ დაიწყო და ლოკდაუნი გამოცხადდა, ყველა ტაძარი დაიხურა. ამ დროს ათენში უზარმაზარი მეჩეთი გახსნეს, დაახლოებით 3 ათას კაცზე გათვლილი და ეს მოხდა საზეიმოდ. წარმოიდგინეთ, რამდენი მუსლიმანი ცხოვრობს ათენში და ეს ხალხი ერთ მეჩეთში გუგუნებდა, ქრისტიანები კი სახლებში იყვნენ შეყუჟულნი. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვყვები: **საქართველოშიც, ისევე, როგორც საბერძნეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში, გარკვეული ძალები ყველანაირად ცდილობენ, ეს პანდემია გამოიყენონ ეკლესიებში ღვთისმსახურების შესაჩერებლად.** ამას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხედავს, ამიტომ ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ეს ადამიანები არიან ეკლესიის მტრები, რომლებიც ფულს იღებენ ყოველთვიური ხელფასის სახით, რათა ხალხი როგორმე დაუპირისპირონ ეკლესიას.

**— ეს პროპაგანდა რეალურად ახდენს რამე გავლენას საზოგადოებაზე?**

— რაც უფრო მძლავრობს და აქტიურდება მავნე პროპაგანდა, რომლის რეალური მიზანი ყველასთვის ნათელია, მით იზრდება და მტკიცდება საზოგადოების ჯანსაღი პროტესტი. ეს ბუნებრივი პროცესია და ამ შეუქცევად პროცესს ვერც ერთი ე.წ. ლიბერალური ტელევიზია ვერ შეატრიალებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს რაც შეეხება, მინდა, მათაც მივმართო და შევახსენო, რომ საბერძნეთში ერთ-ერთ ძველ მონასტერში არის ასეთი შინაარსის ფრესკა: **ალექსანდრე მაკედონელს,** რომლის სიდიადესაც ვერავინ შეედრება, წმინდა მამა **სისოი დიდი** დასტირის და წერია სიტყვები: „ალექსანდრე, მთელი მსოფლიო ვერ გიტევდა და ერთმა მტკაველმა მიწამ დაგიტია“. **ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ჭეშმარიტებას როცა ებრძვი, ჭეშმარიტება ძლიერდება და ერთ დღესაც, როცა ღვთის წინაშე წარდგებიან, ყველაფერი გვიან იქნება. ვისაც გონება ჰყოფნის, გაიგებს, ამით რის თქმა მინდა, დანარჩენებთან სალაპარაკოც არაფერია.** დასასრულ, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით სრულიად საქართველოს მივულოცო დამდეგი შობის მარხვის დაწყება. ჯანმრთელობას ვუსურვებ ჩვენს პატრიარქსა და თითოეულ მოქალაქეს! ნუ ავყვებით გონებაგამრუდებული ადამიანების პროპაგანდას, ღმერთი აუცილებლად დაგვეხმარება!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ვეკითხები სახალხო დამცველსა და ყველა იმ ე.წ. არასამთავრობოს, რომლებიც დღეს ძალიან შეშფოთებულები არიან შობის აღსანიშნავად დაშვებული გამონაკლისის გამო: რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როცა უბრალო ადამიანებს ჯარიმებს უწერდნენ კომენდანტის საათის დარღვევისთვის, ხოლო «ნაციონალურ მოძრაობასა» და მის განაყოფებს რუსთაველზე ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული? რა, ეს არ იყო უპირატესობის მინიჭება ერთი კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისთვის?»**

**„განათლებულ“ აშშ-ევროკავშირის ქვეყნებში, კარგა ხანია, ლგბტ თემის კრიტიკა დანაშაულად ითვლება, ამის გამო „ენაგრძელებმა“ შეიძლება სამსახური დაკარგონ, ამიტომ ნორმალური ადამიანები, რომლებიც გაცილებით მეტნი არიან გარყვნილების მიმდევრებზე, ზედმეტ ლაი-ლაის დუმილს ამჯობინებენ.**



ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩემს ერთ-ერთ წერილში („ქათამი ხარ — ფულს მიიღებ თუ არადა — სამი თითის კომბინაციას“) ევროკავშირის მიერ მიღებულ კანონზე (რომლის მიხედვით ევროკავშირის ის ქვეყნები, რომლებიც უარს იტყვიან ლგბტ დიქტატის შესრულებაზე, დაისჯებიან) დაყრდნობით, ეს მერამდენედ შევეცადე, ქართველი საზოგადოებისთვის დამენახვებინა, რომ დასავლეთიდან საქართველოში, ძირითადად, მხოლოდ გარყვნილება-გათახსირების „ინვესტიციები“ შემოედინება, მაგრამ, როგორც იტყვიან, თურმე ჯერ სად ხარ?..**

# ჯო ბაიდენი: რაც შეიძლება ბევრი ლგბტ მთავრობაში!

## ჯერ ამერიკაში, მერე — საქართველოში

ამას წინათ ერთ-ერთ ქართულ ტელეარხზე რუსი დოკუმენტალისტის, **არკადი მამონტოვის,** მიერ გადაღებულ შემაძრწუნებელი შინაარსის ფილმს („სოდომი“) ვუყურე და, თმები რომ მქონოდა, ყალყზე დამიდგებოდა, მაგრამ აღვირახსნილი რუსოფობიით მოცულ საქართველოში ხომ რაკი „რუსმა თქვა“, ე.ი., აპრიორი სიცრუეა, „რუსეთმა გააკეთა?“ — ე.ი., აპრიორი ცუდია.

ეს რომ ასეა, ამას მოწმობს რუსი სამშვიდობოების მიერ ყარაბაღში სისხლისღვრის შეწყვეტის დაწუნება დასავლეთის მიერ და იმავე დასავლეთის მიერ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო რუსული წარმოების ვაქცინის საწამლავად მონათვლა. არადა, ამ „საწამლავით“ რუსეთში უკვე დაიწყო ყველაზე მაღალი რისკჯგუფის წარმომადგენლებისა და სამედიცინო პერსონალის ვაქცინაცია, 14 დეკემბრიდან კი — მოსახლეობის ნებაყოფლობითი (!) საყოველთაო უფასო ვაქცინაცია.

ერთი შეხედვით, რომ იტყვიან, თითქოს „კალამი გამექცა“, მაგრამ არა, რადგან ის, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, კორონავირუსზე არანაკლებ კი არა, შეიძლება მეტად საშიშიც იყოს კაცობრიობისთვის — კოვიდ-19-ის პანდემიას, ადრე თუ გვიან, დაამარცხებს (რუსული ვაქცინით იქნება ეს თუ ბანანის ქვეყნის მიერ წარმოებულით) კაცობრიობა, მაგრამ, **თუ მსოფლიოში ტოტალური ლგბტზაცია განხორციელდება, კულტურული საზოგადოება, როგორც ასეთი, პირისაგან მიწისა აღიგვება, რადგან ამ „დაავადების“ საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს, გარდა ერთისა — ეს არის საყოველთაო სოდომ-გომორის გამო ღვთის მიერ ადამის მოდგმის განადგურება.**

ზემოხსენებული დოკუმენტური ფილმიც სწორედ სოდომისა და გომორას შეხსენებით იწყება — ე.წ. მკვდარი ზღვის კადრებით, რომლის ადგილზეც, ბიბლიური გადმოცემით, დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ მდებარეობდა ეს ორი უმდიდრესი და, ამასთანავე, უგარყვნილესი ქალაქი. იქ ცოდვილებთან ერთად ბიბლიური მართალი **ლოტიც** ცხოვრობდა თავის ოჯახთან ერთად, მათ მამა ღმერთმა ქალაქის დატოვება უბრძანა. რის შემდეგაც ცეცხლის გეენა დაატეხა თავს სოდომ-გომორელ მამათმავლებსა და ლესბოსელებს. ამ ქალაქების ადგილას უფალმა მკვდარი ზღვა გააჩინა. მკვდარი იმიტომ, რომ იმ ზღვაში, თევზი კი არა, უმარტივესი სიცოცხლეც არ არსებობს. ევროპაში ბიწიერების კულტივაცია ცნებების აღრევამ გამოიწვია და ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დაიწყო. პროცესი, რომელშიც **როკფელერების** გვარი ფიგურირებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ლგბტ-ის სიმძიმის ცენტრმა (თუ ასე თქმა უპრიანია) ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლა. **ლგბტ თემმა თავის დასამკვიდრებლად ყველაზე ნოყიერი ნიადაგი აშშ-ის აღმოსავლეთში — ნიუ-იორკში და განსაკუთრებით დასავლეთში — წყნარი ოკეანის სანაპიროზე იპოვა. სწორედ კალიფორნიაა (ჰოლივუდი და ლოს-ანჯელესი) ლგბტ თემის „დედაქალაქი“ და აშშ-ისა და ე.წ. ლიბერალური მსოფლიოს გარყვნილება-გათახსირების სამოთხე.**

ზემოხსენებულ ფილმში მაყურებელს მეგზურობას, გნებავთ, გიდობას აშშ-ის მოქალაქე და ლგბტ-თა დაუძინებელი მტერი უწევს... აშშ-ის ლგბტ თემს თურმე გარეკანზე ლგბტ ფერების ჯვრით დამშვენებული საკუთარი ანტიბიბლიაც გამოუციათ, რომელშიც, მაგალითად, ძველი აღთქმის ერთ-ერთი მთავარი შეგონება: **„ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი“** *(ლევ. 19)* თავდაყირაა განმარტებული და ასეა მთელი ბიბლია.

ფილმში ლგბტ-ის მეშვეობით კულტურის დაცემა-გათახსირებისკენ მიმავალი გზა ხუთ ეტაპადაა ჩამოყალიბებული:

**1. ტოლერანტობა, ანუ უფლება, ყველამ თავი დაგანებოს;**

**2. ლგბტ-ის მიღება-თანასწორუფლებიანობა;**

**3. აღიარება, ანუ არამხოლოდ მიღება, არამედ მამათმავალთა ღირებულებების წინ წამოწევა;**

**4. ძალდატანებითი თანამონაწილეობა, ანუ ყველას მონაწილეობა ე.წ. გეი-კულტურაში.**

**5. ამ გათახსირება-გარყვნილების მოწინააღმდეგეთა დასჯა. მათ, ვინც გარყვნილებას აპროტესტებს, ლგბტ-ებმა შეიძლება, სახლებშიც მიაკითხონ და...**

ერთ ამერიკელ ქალბატონს ყვავილებით ვაჭრობის ბიზნესი მხოლოდ იმისთვის წაართვეს, რომ ამ ქალბატონმა უარი უთხრა ჰომოსექსუალ წყვილებს საქორწინო ცერემონიის ყვავილებით შემკობაზე. და, საერთოდაც, **„განათლებულ“ აშშ-ევროკავშირის ქვეყნებში, კარგა ხანია, ლგბტ თემის კრიტიკა დანაშაულად ითვლება, ამის გამო „ენაგრძელებმა“ შეიძლება სამსახური დაკარგონ, ამიტომ ნორმალური ადამიანები, რომლებიც გაცილებით მეტნი არიან გარყვნილების მიმდევრებზე, ზედმეტ ლაი-ლაის დუმილს ამჯობინებენ.**

ფილმში ნათქვამია, რომ რუსეთი და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე მის მიერ ზემოთ ხსენებულ 5 საფეხურზე ჯერჯერობით უმდაბლეს პირველ საფეხურს იკავებს და ამიტომ ეს ქვეყნები ტოლერანტობას პრობლემად არ თვლიან, მაგრამ პრობლემა არსებობს და, თუ ძირშივე არ ამოიძირკვა (როგორც ეს რუსეთმა გააკეთა საკანონმდებლო დონეზე — რუსეთის სათათბირომ არასრულწლოვანთა შორის გეიპროპაგანდა აკრძალა), რომ ვერც კი ვიგრძნობთ, ისე გადავინაცვლებთ პირველიდან მეხუთე (უკვე უსაშველო) საფეხურზე, რომელზეც იმყოფება დასავლეთის ე.წ. ლიბერასტული ქვეყნები. **ამიტომაც სძულთ რუსეთი დასავლელ ნეოლიბერალებს — ხუმრობა საქმეა, მიუხედავად აურაცხელი დოლარის დახარჯვისა, სანამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და ბირთვულ „დუბინკიანი“ რუსეთი არსებობს, დედამიწის 1/6-ზე ლგბტ თემი ვერ გაიჯეჯილებს.**

ფილმში ნაჩვენებია რამდენიმე ოფისი, რომლებსაც უწყინარი წარწერა აქვს „ადამიანის უფლებების დაცვა“, თუმცა სინამდვილეში „უფლებებში“ მხოლოდ გეების უფლებებს გულისხმობენ და ასეთი ოფისები მსოფლიოში ათასობითაა. სწორედ ამ ორგანიზაციების დამსახურებით **დონალდ ტრამპს** არჩევნები ისე გაუყალბეს, რომ ჩვენში ამ საქმის დიდოსტატ ნაცებსაც შეშურდებოდათ. **ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ევროპის მოსახლეობის დაახლოებით 10 % ლგბტ თემის წარმომადგენელია ან მათი მხარდამჭერი. დღეს მსოფლიოში 2 მილიონი ბავშვი იზრდება ერთნაირსქესიანი „მშობლების“ ოჯახებში და, როგორც წესი, გეიწყვილებს ბიჭები ჰყავთ ნაშვილები, ხოლო ლესბოსელებს — გოგონები. რატომ?** ახალ ზელანდიაში რუსეთიდან გეების მიერ ნაშვილებ ბიჭუნას „მამა 1“ და „მამა 2“ რეგულარულად აუპატიურებდნენ და შემდეგ ამავე მიზნით 8 სხვა მამაკაცს მიაქირავეს. ერთი და იმავე სქესის წყვილები ხშირად, როგორც წესი, პედოფილები არიან. რუსი ბიჭუნას საქმე როგორღაც გასკდა და სასამართლომ მის „მშობლებს“ ერთს — 30 წლით, ხოლო მეორეს 40 წლით აღუკვეთა თავისუფლება, მაგრამ ვინმემ მოიკითხა ზემოხსენებული 2 მილიონი ბავშვი რა დღეში ჰყავთ მათ „მოსიყვარულე“ დანომრილ „დედ-მამებს“? კი, როგორ არა, კითხულობენ...




წარწერა მაისურზე: უმალ რუსი გავხდები, ვიდრე დემოკრატი

**ლგბტ თემმა თავის დასამკვიდრებლად ყველაზე ნოყიერი ნიადაგი აშშ-ის აღმოსავლეთში — ნიუ-იორკში და განსაკუთრებით დასავლეთში — წყნარი ოკეანის სანაპიროზე იპოვა. სწორედ კალიფორნიაა (ჰოლივუდი და ლოს-ანჯელესი) ლგბტ თემის «დედაქალაქი» და აშშ-ისა და ე.წ. ლიბერალური მსოფლიოს გარყვნილება-გათახსირების სამოთხე**



აი, პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** სატელეფონო მილოცვა ერთი და იმავე სქესის ერთ-ერთი წყვილისთვის: „ჩვენ ვამაყობთ თქვენით, ბიჭებო, თქვენი თავგანწირვა დაეხმარა უამრავ ადამიანს მსოფლიოში. კარგი დრო გაგეტარებინოთ“.

და კიდევ — 2011 წელს ადამიანის უფლებათა დღეს **ჰილარი კლინტონმა** განაცხადა: „ეს შესანიშნავია, რომ ლგბტ პირთა უფლებები წინ უნდა იყოს წამოწეული. დღეს მსოფლიოში მოდური ლოზუნგია ლგბტ უფლებების დაცვა. სწორედ ეს არის ადამიანის ნამდვილი უფლებები“. კი მაგრამ, **რატომ იბღალება ნორმალური ადამიანების უფლებები სექსუმცირესობების უფლებების დაცვის ხარჯზე?**

აი, კიდევ ერთი ნიშანდობლივი დოკუმენტი:

„თეთრი სახლის პრესმდივნის ოფისი გადაუდებლად განსახილველად მიიჩნევს 2011 წლის 6 დეკემბერს ლგბტ უფლებების დაცვის დღედ გამოცხადებას და მსოფლიოში მათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას“.

თუმცა აქ არ არის ლაპარაკი აშშ-ის მარიონეტის, **მიხეილ სააკაშვილის** მიერ მამაკაცთა გაუპატიურებისა და 330 ათასი ადამიანის პატიმრობის შესახებ მისი სისხლიანი მმართველობის 9 წლის განმავლობაში...

**დავით მხეიძე**

**P.S. ჯო ბაიდენმა უკვე დაიწყო თავისი გუნდის ფორმირება ლოზუნგით: რაც შეიძლება ბევრი ლგბტ მთავრობაში! მოკლედ, აშშ-ის ლესბოსელებს, გეებს, ბისექსუალებსა და ტრანსგენდერებს ჯო ბაიდენის სახით თავიანთი პრეზიდენტი ჰყავთ, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ, მიუხედავად არჩევნების ტოტალური გაყალბებისა, დონალდ ტრამპს 70 მილიონზე მეტმა, ამომრჩეველთა თითქმის ნახევარმა მისცა ხმა! ამომრჩეველმა, რომელიც ე.წ. ტრადიციულ ამერიკაში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, კითხვა მიჩნდება — რას იზამს ტრადიციული ამერიკა: ძველებურად გააგრძელებს ბილიარდის ბურთების გორებას და პატარა ქალაქებში არხეინად ლუდის ყლურწვას თუ კოვბოების ამერიკას გაიხსენებს და არ შეეგუება ლგბტ ჰომოსექსუალების გაჯეჯილებას?**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ, ხალხს, არ გვჭირდება დახმარება უმნიშვნელო „პადაჩკების“ სახით, ჩვენ გვჭირდება სამუშაო ადგილები სამშობლოში და არა საზღვარგარეთ, მყარი და საკმარისი ხელფასები, სიბერეში კი — მყარი და საკმარისი პენსიები. ჩვენს ქვეყანას ამის წინაპირობად აქვს, როგორც ბუნებრივი რესურსი, ასევე ინტელექტუალური და მეცნიერული შესაძლებლობები. მადლობა ღმერთს!**

# რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!

# რატომ ართმევთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ღირსეულად ცხოვრების საშუალებას

**პატივცემულო მკითხველო, კითხვა დავსვი და, ჩემი უნარიდან გამომდინარე, ვეცდები ამ კითხვის გარშემო ვიტრიალო და შეძლებისდაგვარად პასუხიც გავცე. თქვენი ნებართვით, არჩევნებსა და საარჩევნო კანონმდებლობას შევეხები. რამდენი დრო და სახსრები დახარჯეს იმისათვის, რომ გადაეწყვიტათ, რომელი სისტემით ჩაგვეტარებინა არჩევნები.**

გაზეთებში სტატია სტატიაზე რომ იბეჭდებოდა, მაჟორიტარი დეპუტატი კორუფციაშია ჩაფლული, ხალხისთვის არაფერს აკეთებს და ქვეყანას არ არგიაო, ჩემი აზრით, პრობლემა ეს არ არის. დავიწყოთ იქიდან, საერთოდ, **ვინ არის დეპუტატი, რას წარმოადგენს და რისთვის ინიშნება იგი. კანონის თანახმად, ის უნდა იყოს ხალხის მიერ თავის წიაღში გამოვლენილი და არჩეული პირი, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს ამომრჩევლის ჭირ-ვარამი და მოთხოვნები, რომელთა გადასაწყვეტადაც მივავლენთ მას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სამუშაოდ.** ე.ი., ჩვენ ვაძლევთ მას დავალებას და ვუხდით ხელფასს. მაშასადამე, ანგარიშვალდებული უნდა იყოს თავისი ამომრჩევლის, დამსაქმებლის წინაშე. სინამდვილეში ხდება სულ სხვაგვარად. **როცა ჩვენ მივდივართ საარჩევნო უბანზე, ვის ვაძლევთ ხმას, ვის ვირჩევთ?** ხალხში გამოვლენილი პიროვნება, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველია? **პარტია, რომელიც გვთავაზობს დეპუტატის კანდიდატურას, თვითონ უნდა იყოს ხალხსა და ქვეყანაზე მზრუნველი და არა უცხოელთა დირექტივების შემსრულებელი. გამოდის, პარტია გვთავაზობს, ჩვენ ვირჩევთ, ჩვენ მიერ არჩეულს პარტია აძლევს დავალებას, ვიწრო პირადული ინტერესების გადასაწყვეტად იყენებს, ჩვენ კი მას და ამ პარტიას ხელფასს ვუხდით. ხალხის ინტერესები კი მივიწყებას ეძლევა მომავალ არჩევნებამდე.**

**ვახტანგ ხმალაძე** რომ გვიმტკიცებს, კონსტიტუციაში ეს წერია და ის არაო, თუ მასში არაა ჩაწერილი ხალხის უფლებები, ასეთი კონსტიტუცია ხალხს რისთვის სჭირდება?! ე.ი., ეს კონსტიტუცია უნდა გადაიწეროს ხალხის სასარგებლოდ და მერე იქნება მართებული კონსტიტუციაზე დაყრდნობილი ხმალაძის არგუმენტები. მისი სწავლულობაც მაშინ გამოგვადგება, ახლა კი არაფერში გვარგია.

აფორიზმი სპარსი პოეტის, **საადი შირაზელის,** იგავიდან:

**„ცოდნა ვერაფერს
ვერ შესძენს
ვინმე ქედმაღალ
აწინედელს,
ქვაზე ტიტა არ ამოვა,
თუნდაც დღე და
ღამ აწვიმდეს“.**

მაჟორიტარული სისტემა კი არ არის ცუდი, მიდგომაა უკუღმართი. ჩემი აზრით, უნდა იყოს ასე: **მთავრობამ არჩევნების წინ უნდა დანიშნოს ვადა, ამ ვადაში ჩატარდეს თვითმმართველობის კრებები მუნიციპალიტეტებში (ოღონდ ნამდვილი თვითმართველობა უნდა არსებობდეს), რომლებზეც უნდა გამოვლინდეს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატი; რომელი პარტიის წევრი იქნება, მნიშვნელობა არ აქვს (გარდა „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი პარტიებისა), მთავარია, ხალხზე და ქვეყანაზე მზრუნველი იყოს. შემდეგ თუ ეს არჩეული დეპუტატი ხალხის დავალებას სათანადოდ არ ან ვერ შეასრულებს, იმავე ამომრჩეველმა უნდა გაიწვიოს უკან.**

და კიდევ: დეპუტატს უნდა დაენიშნოს, ვიმეორებ, დაენიშნოს ღირსეული ხელფასი, რომელსაც ამომრჩეველი თავისი გადასახადებიდან გადაუხდის და არანაირი **დანამატები.** რაც შეეხება **პრემიას,** ესეც ამომრჩევლის პრეროგატივა უნდა იყოს. თუ დეპუტატმა კარგად იმუშავა და ამომრჩეველი კმაყოფილია, წლის ბოლოს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს პრემიის საჭიროება და რაოდენობა, წელიწადში ერთხელ. **პროპორციული სისტემით** იქნება, ისე, როგორც დავწერე: პარტია შემოგვთავაზებს, ჩვენ ავირჩევთ; პარტია დავალებას მისცემს და გამოიყენებს მას თავის მხარდამჭერად და ჩვენ უნდა შევინახოთ. სხვათა შორის, ის პარტიაც ხომ იმავე ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც ჩვენ გადასახადებით ვავსებთ. ეს — მოკლედ საარჩევნო სისტემაზე.

ახლა ორიოდე სიტყვა პარტიებსა და მათ პროგრამებზე. **როგორ, რომელი პარამეტრებით უნდა ფასდებოდეს პარტია? მისი პროგრამით და შემდეგში მისი აღსრულებით, ხომ?** ბოლო პერიოდში ყველაფერი პირადულზე გადავიდა. უმრავლესობა იმას კი არ უყურებს, რა პროგრამა წარმოადგინა პარტიამ, არამედ ვის ვინ მოსწონს. **იმ პროგრამებს, რომლებიც გაზეთებში გამოქვეყნდა ან ტელევიზიით მოვისმინე, ყველას ერთი დაავადება სჭირს. ეს არის ეკონომიკური ბაზის უქონლობა ან არ გათვალისწინება.** ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე ან პირიქით არ არსებობს. **განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა დარგების რეფორმა და აღორძინება ხომ მოითხოვს ფულად სახსრებს, თანაც დღევანდელი ბიუჯეტი ნორმალური პენსიისა და ხელფასების სამყოფი არ არის და მისი იმედით შეიძლება განვითარებაზე ფიქრი?** ასეთი ბიუჯეტის იმედზე ვერ ვიქნებით. ე.ი., ჯერ ბიუჯეტი უნდა გავზარდოთ და მერე დავსახოთ აღორძინების გზები. ბიუჯეტი რომ გავზარდოთ და გავამყაროთ, ამისთვის ეკონომიკა უნდა ავამუშაოთ და გავაძლიეროთ.




**სახელმწიფოს საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მხოლოდ 0,75 %-ის, ანუ 2,5 მ$^3$/წმ-ში გამოყენებით და არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარიანობის გათვალისწინებით შეუძლია, ყოველწლიურად აწარმოოს და გაიტანოს საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ 50 მლრდ ლიტრი წყალი, რომელიც მსოფლიოს მოთხოვნას 4 დღით დააკმაყოფილებს. ამ რაოდენობის წყლის რეალიზაციით მინიმალურ მსოფლიო საბითუმო ფასებში, 24-30 ცენტად, ჩვენი ქვეყანა მიიღებს 12-15 მლრდ აშშ დოლარს**

სახელოვან, დამსახურებულ ეკონომისტებს ბოდიში უნდა მოვუხადო, რომ მე ერთი სოფლელი გლეხი კაცი ამ პოსტულატებს შევეხე და მათი სათქმელი ვთქვი, მაგრამ ეს ისე აშკარაა, რომ მაპატიებენ. ჩემი ცხოვრებიდან ერთი მაგალითი უნდა მოგიყვანოთ. გასულ ზაფხულს თბილისში ვიმყოფებოდი ძველი თაობის ღირსეული ქალბატონის დაკრძალვაზე. ეკლესიის ეზოში ერთ-ერთ ჯგუფთან შეხვედრისას ერთი პიროვნება გავიცანი, რომელიც აღმოჩნდა ეკონომისტების ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვასახელებ). წინა დღეებში მისი ერთი სტატია წავიკითხე, რომელმაც ძალიან აღმაშფოთა. ეს გამახსენდა და ამ პიროვნებას დავუსვი კითხვა: **— ცნობილი ეკონომისტი, ექსპერტი (გვარი დავუსახელე) თავის სტატიაში წერს, რომ რამდენიმე ღონისძიებით სახელმწიფოს ბიუჯეტი 1 მილიარდი დოლარით გაიზრდება და კონცეფცია-პროგრამა ერთი ოპერაციით 12 მილიარდ აშშ დოლარს მოუტანს სახელმწიფოს, საბოლოო ჯამში კი, ტრილიონი აშშ დოლარის მოზიდვას შეძლებს და ამაზე რატომ არ მსჯელობთმეთქი?** ამ კაცმა პასუხის ღირსიც არ გამხადა, ისე გაეცალა იმ ჯგუფს. აი აქ ვხედავ მიკერძოებულობას და ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთიანობის განცდის არქონას, არაობიექტურ ანალიზს. კიდევ ერთი აქსიომა, რომელიც მომისმენია ჩემ მიერ დიდად პატივცემული ადამიანისგან — **პაატა გიორგაძისგან,** არის ის რომ **„მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ გადაულახავს ეკონომიკური კრიზისი და არ მიუღწევია განვითარებისთვის ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენების გარეშე“.**

აი ეს არის ამ თემის დასაწყისი, რომელზეც მინდა, გესაუბროთ და აშკარად დავინახოთ სხვაობა დღევანდელსა და ამ პროექტით შემოთავაზებულ ხვალინდელს შორის.

პატივცემულო მკითხველო! მესმის, რა ძნელია ციფრებით აპელირება და მათი აღქმა, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, მოიკრიბოთ მოთმინება, წერილი წაიკითხოთ ბოლომდე და ამ ყველაფერს გაუკეთეთ სათანადო ანალიზი.

*** საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების (მოძიებული) მთლიანი მარაგი არის 573 მ$^3$/წმ-ში.**

* საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგები — 301 მ$^3$/წმ-ში. 26 მლრდ ლიტრი დღე-ღამეში.

*** მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნა: 2-2,5ლ 1 სულზე = 7,4 მლრდ ადამიანი X 2,5 = 18,5 მლრდ ლიტრს დღე-ღამეში.**

* გამოუყენებელი ჭარბი ბუნებრივი წყლის რესურსი: 301 მ$^3$/წმ-ში უდრის 26 მლრდ ლიტრს დღე-ღამეში — 18,5 უდრის 7,5 მლრდ ლიტრს დღე-ღამეში.

პერსპექტივა: სულ მცირე, 40-50 მლნ ლარის კაპიტალდაბანდების მოცულობის ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარებით შესაძლებელია, გავასამმაგოთ მარაგები, ე.ი.

გვაქვს 573 მ$^3$/წმ-ში და გვექნება 1630 მ$^3$/წმ-ში;

გვაქვს 301 მ$^3$/წმ-ში და გვექნება 580 მ$^3$/წმ-ში.

**თუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 10 მლნ-მდე მოიმატებს, დღე-ღამეში დაგვჭირდება 9,9 მლრდ ლიტრი. დაგვრჩება ჭარბი რაოდენობა: 186 მ$^3$/წმ-ში — 16 მლრდ ლიტრი დღე-ღამეში, რაც მსოფლიოს მოსახლეობის ყოველდღიური ფიზიოლოგიური ნორმის უზრუნველყოფის გარანტიაა.**

სახელმწიფოს, საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მხოლოდ 0,75 %- ▶

**ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ამუშავების შემდეგ საქართველოს თითოეული მოსახლე ეტაპობრივად გახდება ამ ინდუსტრიის აქციონერი და მიიღებს უსასყიდლოდ 1 აქციას, რომლის მატერიალური ღირებულება 455.000 აშშ დოლარი იქნება. აგრეთვე, საქართველოში დაბადებული (ძირძველი ოჯახიდან) თითოეული ბავშვი ეტაპობრივად მიიღებს 1 აქციას, რომლის მატერიალური ღირებულებაც 120.000 აშშ დოლარი იქნება.**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში წლიურად მოიპოვება და იწარმოება 53 ტ ოქრო, არადა, ეროვნულ ბანკს არც ერთი კგ ოქრო არ აქვს საცავებში ეროვნული ვალუტის გასამყარებლად. დოლარზე ოპერაციებით ხომ იმ ქვეყანას ამდიდრებენ, რომელიც ამ დოლარს ჭრის. სად მიდის ეს ოქრო? ან სად მიდის ანტრაციტი?

◀ ის, ანუ 2,5 $მ^3$/წმ-ში გამოყენებით და არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარიანობის გათვალისწინებით, შეუძლია, ყოველწლიურად აწარმოოს და გაიტანოს საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ 50 მლრდ ლიტრი წყალი, რომელიც მსოფლიოს მოთხოვნას 4 დღით დააკმაყოფილებს. ამ რაოდენობის წყლის რეალიზაციით მინიმალურ მსოფლიო საბითუმო ფასებში 24-30 ცენტად ჩვენი ქვეყანა მიიღებს 12-15 მლრდ აშშ დოლარს“.

**„ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებითა და დარგობრივ ეკონომიკურ პროექტებში რეინვესტირებული თანხების უკუგება ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში აისახება მე-6 წლიდან და სახელმწიფოს ბიუჯეტი მე-10 წელს მოიმატებს 51 მლრდ აშშ დოლარით“.** არსებობს ჭარბი სასმელი წყლის კაპიტალიზაციის 3 მოდელი:

**1. პესიმისტური მოდელი:** მარაგის საბაზრო ღირებულების 25%-ის კაპიტალიზაცია 569 მლრდ 400 მლნ აშშ დოლარის მოზიდვის საშუალებას იძლევა;

**2. რეალისტური მოდელი:** მარაგის 50%-ის კაპიტალიზაცია 1 ტრლნ 139 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვის საშუალებას იძლევა;

**3. ოპტიმისტური მოდელი:** მარაგის 75%-ის კაპიტალიზაცია — 1 ტრლნ 708 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვის საშუალებას. კაპიტალიზაციის 99%-მდე მიყვანის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 330 ტრლნ 600 მლრდ აშშ დოლარის მოზიდვა.

**მეცნიერებმა გამოკვლევებით დაადგინეს, რომ ამ წყლის რაოდენობა უშრეტ, მუდმივად განახლებად მდგომარეობაშია, თანაც გაეროს სპეციალისტების დასკვნითაც აშკარაა, რომ ამ რაოდენობის მიწისქვეშა მტკნარი (დაბალმინერალიზებული) წყალი ასეთი ხარისხით მსოფლიოში არც ერთ სხვა ქვეყანას არ აქვს.**

„საქართველოს მიწისქვეშა დაბალმინერალიზებული სასმელი წყლის, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის, პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

**ბუნებრივობა, სტაბილურობა, განახლებადობა, სიიაფე, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ასევე ყოველდღიური მზარდი მოთხოვნა მსოფლიოს ბაზარზე და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი“.**

ამ ეტაპზე შეგვიძლია, აღნიშნულ არგუმენტებზე დაყრდნობით გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

**საქართველო გახდება ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა მსოფლიოში. საქართველოს მასშტაბით დაიბურღება და აშენდება სასმელი წყლის მწარმოებელ-დამფასოებელი 190 ქარხანა, დასაქმდება ჩვენი ქვეყნის დაახლოებით 400 ათასი მოქალაქე და მათი საშუალო ხელფასი იქნება 4500 დოლარი.**

ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ამუშავების შემდეგ საქართველოს თითოეული მოსახლე ეტაპობრივად გახდება ამ ინდუსტრიის აქციონერი და მიიღებს უსასყიდლოდ 1 აქციას, რომლის მატერიალური ღირებულება 455.000 აშშ დოლარი იქნება. აგრეთვე, საქართველოში დაბადებული (ძირძველი ოჯახიდან) თითოეული ბავშვი ეტაპობრივად მიიღებს 1 აქციას, რომლის მატერიალური ღირებულებაც 120.000 აშშ დოლარი იქნება.

„შეიქმნება ნავთობისა და გაზის მფლობელი ქვეყნების მსგავსი სისტემა, მხოლოდ ერთი განსხვავებით, მათი რესურსი ილევა, ჩვენი კი უშრეტია და მუდმივად განახლდება.

მშენებლობის დასრულებიდან (18 თვე) მე-9 წელს საქართველოს თითოეული ძირძველი მოქალაქე, აქციის მფლობელი, მიიღებს ყოველწლიურ შემოსავალს დივიდენდების სახით, რომლის მოცულობა მომდევნო X-XI წელს მიაღწევს, სულ ცოტა, 4550-დან 6825 დოლარამდე, 1 აქციის ღირებულებიდან 1-1,5%-ის გაანგარიშებით.

11 წლის შემდეგ მეორე 10-წლიან პერიოდში დივიდენდების ყოველწლიურად 1-1,5%-ით ზრდის პირობებში, ანუ 10-15%-ის გაანგარიშებით შემოსავლების სახით თითოეული აქციონერი მიიღებს, სულ ცოტა, 45 000 დოლარიდან 68 250 აშშ დოლარამდე ყოველწლიურად.

დივიდენდები შემდეგში მზარდია“.

**„საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია: „წყალი ეროვნული სიმდიდრე“ და პროგრამა: „რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული“.**

ეს არის სათაურები იმ ნაშრომებისა, რომლებიდანაც ზემოთ მოყვანილი მონაცემები წარმოვადგინე და რომელიც შექმნეს ქართველმა მეცნიერებმა პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით.

**„დადგა დრო, მეცნიერულად შეჯერებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების საფუძველზე ეკონომიკურ პროცესში ჩავრთოთ კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების, მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების ინოვაციები, რომელიც ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობაა“.**

განსხვავდება თუ არა ეს განცხადება იმისგან, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გამოაცხადა ტელევიზიით იმის თაობაზე, რომ სხვა ქვეყნის ხელმძღვანელებს მოელაპარაკებიან ჩვენი მოქალაქეების მათ ტერიტორიაზე ლეგალურად დასაქმების მიზნით? ეს ორი განცხადება ხომ აბსოლუტურად საპირისპიროა და რომელი სჯობია ჩვენთვის, თქვენ განსაჯეთ.



**190 ჭაბურღილი, რომლებიც გათვალისწინებულია შემოთავაზებულ კონცეფცია-პროგრამაში, ყველა რომ გაყიდოთ, სახელმწიფო მიიღებს 300.000x190 = 57 მლნ ლარს, დოლარსაც კი არა. არადა, კონცეფცია-პროგრამის თანახმად, მხოლოდ ერთი ოპერაციით, საექსპლოატაციოდ დასაშვები მარაგების 0,75%-ის გაყიდვით ჩვენი ქვეყანა მიიღებს 12 მლრდ დოლარს**

*** მყიდველობითი უუნარობა. მისი ამაღლება.**

*** საშუალო ფენის არარსებობა. მისი შექმნა.**

*** ტყეების მოვლა-პატრონობისთვის განსაკუთრებული კანონებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბება.**

*** შიდა ვალების ეტაპობრივი გადახდა, სესხების აღების (დავალიანების) გარეშე.**

*** ხალხის მიერ დაკარგული ანაბრების ეტაპობრივი დაბრუნება.**

*** ერთიანობის განცდის აღდგენა.**

*** დარგობრივი განვითარება (სულ 17 დარგი).**

*** გადამამუშავებელი საწარმოების გახსნა, რაც ნიშნავს სამუშაო ადგილების შექმნასა და შიდა ბაზრის საკუთარი პროდუქციით დაკმაყოფილებას.**

*** კატასტროფული მიგრაციული და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება.**

*** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ყველა მეზობელთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობით.**

ეს იმ ძირითადი პრობლემების ჩამონათვალია, რომელთა გადაჭრა ეკონომიკური ბაზის შექმნით არის გათვალისწინებული წინარე მოყვანილ კონცეფცია-პროგრამაში.

პატივცემულო მკითხველო, **ასეთი ჩამონათვალი საქართველოს პრობლემებისა და მათი სრული გადაჭრის გზები არც ერთი პარტიის პროგრამაში არ მინახავს და არც ერთ მთავრობას არ შემოუთავაზებია ჩვენთვის.** მაგალითად, რატომ არ შემოგვთავაზეს ბორჯომის, როგორც წიაღისეული რესურსის, ასათვისებლად სააქციო საზოგადოების შექმნა და ამით ეს სიმდიდრე არ აქციეს სახალხო საკუთრებად, როგორც მოყვანილ კონცეფცია-პროგრამაშია? ახლა ბორჯომის რესურსით ვინ მდიდრდება?

და კიდევ — გამოქვეყნებული **სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში წლიურად მოიპოვება და იწარმოება 53 ტ ოქრო, არადა, ეროვნულ ბანკს არც ერთი კგ ოქრო არ აქვს საცავებში ეროვნული ვალუტის გასამყარებლად. დოლარზე ოპერაციებით ხომ იმ ქვეყანას ამდიდრებენ, რომელიც ამ დოლარს ჭრის. სად მიდის ეს ოქრო? ან სად მიდის ანტრაციტი?**

წელს კიდევ ერთი, უფრო ზუსტად, მორიგი უგუნურება ჩაიდინა ეკონომიკის სამინისტრომ, როცა წყლის ჭაბურღილების გაყიდვის თაობაზე გამოაცხადა. **ქალბატონო ეკონომიკის მინისტრო (ამ პანდემიის პერიოდში ტურიზმის მინისტრი უფრო ხართ), ნუთუ ვერ ხედავთ სხვაობას გაყიდული ჭაბურღილების წლიურ გადასახადსა და შემოთავაზებული კონცეფცია-პროგრამის წლიურ შესაძლო შემოსავლებს შორის?** თქვენი ნებართვით, ერთ მარტივ ანგარიშს წარმოგიდგენთ. თქვენ ერთი ჭაბურღილის ლიცენზია მიჰყიდეთ „კოკა-კოლას“ მეპატრონეს 300 ათას ლარად. სახელმწიფო ბიუჯეტში 300 ათას ლარზე მეტს რომ არ შეიტანს ის ვაჟბატონი წელიწადში, ხომ ცხადია (თუ საპირისპიროს დამიმტკიცებთ, შემდეგში გავითვალისწინებ)? ე.ი., **ის 190 ჭაბურღილი, რომლებიც გათვალისწინებულია შემოთავაზებულ კონცეფცია-პროგრამაში ყველა რომ გაყიდოთ, სახელმწიფო მიიღებს 300.000X190 = 57 მლნ ლარს, დოლარსაც კი არა. არადა, კონცეფცია-პროგრამის თანახმად, მხოლოდ ერთი ოპერაციით, საექსპლოატაციოდ დასაშვები მარაგების 0,75%-ის გაყიდვით ჩვენი ქვეყანა მიიღებს 12 მლრდ დოლარს.** ამის მიზეზად მიმაჩნია სამი შესაძლო რამ: უცოდინარობა, უგუნურება ან ვიღაცის დიქტატი. პირველს თვითონვე გამოვრიცხავ, რადგან მიმაჩნია, რომ მინისტრმა ამდენი მაინც უნდა იცოდეს. დანარჩენი თქვენ ახსენით, **რატომ ართმევთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ღირსეულად ცხოვრების საშუალებას, მაშინ, როცა ეს რესურსი, კონსტიტუციის თანახმად, ხალხის საკუთრებაა.**

ჩვენ, ხალხს, არ გვჭირდება დახმარება უმნიშვნელო „პადაჩკების“ სახით, ჩვენ გვჭირდება სამუშაო ადგილები სამშობლოში და არა საზღვარგარეთ, მყარი და საკმარისი ხელფასები, სიბერეში კი — მყარი და საკმარისი პენსიები. ჩვენს ქვეყანას ამის წინაპირობად აქვს, როგორც ბუნებრივი რესურსი, ასევე ინტელექტუალური და მეცნიერული შესაძლებლობები. მადლობა ღმერთს!

ახლა დადგა დრო, დავსვათ საკრალური კითხვა:

მაღალჩინოსანმა, როგორც მოისურვებს, ისე გაყიდოს ხალხის სიმდიდრე კერძო პირებზე თუ დავეპატრონოთ იმას, რაც გვეკუთვნის, და ვიცხოვროთ ღირსეულად, წელში გამართულად?

**არდალიონ ხააძე,**
„საქართველო და მსოფლიოს“ მუდმივი მკითხველი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბავშვებსა და დედებზე, საერთოდ, ოჯახზე ზრუნვა მუდამ იყო საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვით სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა დედებს შვილების აღზრდაში. ომის პერიოდში და მის შემდეგ, როცა ბევრ ოჯახს მატერიალური სიძნელეები ჰქონდა, საჭირო შეიქნა სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა გაფართოება.**

**ამ სტატიის დაწერა გადამაწყვეტინა იმ 25-ლარიანმა ვაუჩერმა, რომლითაც ხელისუფლებამ მოახლოებული 2021 ახალი წლის დილით ახალშობილთა მშობლები უნდა გაახაროს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 100 წლისა და სტალინის მიერ დადგენილების მიღებიდან 87 წლის თავზე (1944 წელი).**

# სტალინი და დემოგრაფია

## როგორ ზრუნავდნენ საბჭოთა კავშირში ბავშვებსა და დედებზე

„ბოროტ კაცს, თუ არ უნდა, რიყეში ქვას ვერ დაინახავს“, სხვაგვარად რომ იყოს, გვერდი როგორ უნდა აუარო იმ გაუგონარ ზრუნვას მომავალ თაობაზე, რომელსაც სტალინი ახორციელებდა იმ სისხლისმღვრელ ომში, რომელიც კაციჭამია ჰიტლერელებმა გააჩაღეს ევროპაში, რათა შემდგომ მსოფლიო გადაეყლაპათ.

პოლიტბიუროს სხდომის მიმდინარეობისას, 1951 წლის ოქტომბერში, სტალინი, რომელიც მუხლების ტკივილის გამო დროდადრო გაივლიდა ხოლმე ოთახში, ფანჯარასთან მივიდა და წითელ მოედანს გადახედა. ცოტა ხნით შეჩერდა და, მაგიდასთან დაბრუნებულმა, განაცხადა:

— თანდათან უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ ჩვენს მშრომელებს პური უფასოდ მივაწოდოთ.

იქ მსხდომებმა მორიდებით შეხედეს ბელადს. სიტყვას ვერავინ ძრავდა. ბოლოს **ლაზარე კაგანოვიჩმა,** რომელიც თამამად ეკამათებოდა ხოლმე სტალინს, განაცხადა:

— ეს როგორ, ამხანაგო სტალინ, ადამიანები ხომ დახოცავენ ერთმანეთს პურის აღებისას?!

სტალინმა კაგანოვიჩი ფანჯრასთან მიიყვანა, სადაც თვითონ იდგა ცოტა ხნის წინათ და ერთ ადგილზე მიანიშნა:

— მე კარგად ვერ ვარჩევ, აი, იქ შავი საგანი რა მოჩანს, ქუჩაში?

— სასმელი წყლის შადრევანია თუჯისგან ჩამოსხმული.

— ასეთი შადრევნები წითელ მოედანზე ერთია თუ რამდენიმე? — ჰკითხა სტალინმა.

— ათამდე იქნება, ამხანაგო სტალინ.

— როგორც ვხედავ, ამჟამად შადრევანთან არავინაა, არა? — იკითხა სტალინმა.

— არავინ, — დაუდასტურა კაგანოვიჩმა.

— აი, ამხანაგო კაგანოვიჩ, — და მაგიდისკენ შემობრუნდნენ, — როდესაც პური იმდენი გვექნება, რომ მისი აღებისას რიგი არ დადგება, პურის რიგებიც ისევე დაცარიელდება, როგორც შადრევნის გარშემოა ხალხისაგან ცარიელი ადგილი. კაგანოვიჩი თავის ადგილს დაუბრუნდა, ხოლო **არსენი ზვერევმა,** რომელმაც კარგად იცოდა ეკონომიკა, სტალინს მორიდებით ჰკითხა:

— როდის შეიძლება იყოს პური სსრ კავშირში უფასო?

**— თუ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა გვაცალეს, ისევ თავს არ დაგვესხნენ და მშვიდობა გვექნა, პურს უფასოდ 1960 წლისთვის მივაწვდით მოსახლეობას.**

ეს უპრეცენდენტო განცხადება ელვის სისწრაფით მოედო მსოფლიოს — საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სასწაულებს კიდევ ერთი ემატებოდა, — იგონებს კაგანოვიჩი.

**ატლანტიკელი მგლების ხელშეწყობით საბჭოელმა ტურებმა მძინარე ვეფხვს 1953 წელს უღალატეს... სტალინის დაპირებიდან, რომ 1960 წლიდან მოსახლეობას პური უფასოდ ექნებოდა, 60 წელი გავიდა და 2021 წლის დამდეგს ბავშვი და დედა „დიდ საჩუქარს“ ელოდებიან — 25-ლარიან ვაუჩერს, რომლითაც დედა 4 ლ რძეს უყიდის თავის მშიერ ბავშვს. ამ დროს ლიბერალები აგინებენ სტალინს, ხოლო მსოფლიოში ომების გამჩაღებელი ბუშის ქუჩასა და არცთუ კარგი განათლების მქონე რეიგანის ძეგლს რუდუნებით უვლიან...**

ბავშვებსა და დედებზე, საერთოდ, ოჯახზე ზრუნვა მუდამ იყო საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვით სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა დედებს შვილების აღზრდაში. ომის პერიოდში და მის შემდეგ, როცა ბევრ ოჯახს მატერიალური სიძნელეები ჰქონდა, საჭირო შეიქნა სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა გაფართოება.

**ორსული ქალებისთვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისთვის მატერიალური დახმარების გასადიდებლად, მრავალშვილიანობის წასახალისებლად და დედისა და ბავშვის დაცვის გასაძლიერებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:**

**1.** მრავალშვილიან დედებს (ქმრიანსა და ქვრივს), რომლებსაც ჰყავთ ორი შვილი, სახელმწიფო დახმარება მიეცეთ მესამე და თითოეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას, ნაცვლად ამჟამად არსებული წესისა, რის თანახმადაც, სახელმწიფო დახმარება ეძლევათ ექვსშვილიან დედებს, მეშვიდე და თითოეული ბავშვის დაბადებისას.

**2.** მრავალშვილიანი ბავშვის დედებისთვის სახელმწიფო დახმარების გაცემა წარმოებდეს შემდეგი წესითა და ოდენობით: *(იხ. ცხრილი)*

ყოველთვიური დახმარება მრავალშვილიან დედებს მიეცეთ ბავშვის დაბადების მეორე წლიდან, სანამ ბავშვი 5 წელს არ მიაღწევს.

იმ დედებს, რომლებსაც ამ ბრძანებულების გამოცემის დღისთვის სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი შვილი ჰყავთ, ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება ეძლევათ თითოეულ ბავშვზე, რომელიც დაიბადება ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ. დედები, რომლებსაც ამ ბრძანებულების გამოცემის დღისთვის 7 ან მეტი შვილი ჰყავთ, ინარჩუნებენ მრავალშვილიანობის დახმარების მიღების უფლებას იმ წესითა და ოდენობით, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის ცკ-ისა და სახკომ საბჭოს 1936 წლის 27 ივნისის დადგენილებით, სახელდობრ: **მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ბავშვზე იღებენ ორ-ორ ათას მანეთს ყოველწლიურად ხუთი წლის**



**სტალინის დაპირებიდან, რომ 1960 წლიდან მოსახლეობას პური უფასოდ ექნებოდა, 60 წელი გავიდა და 2021 წლის დამდეგს ბავშვი და დედა «დიდ საჩუქარს» ელოდებიან — 25-ლარიან ვაუჩერს, რომლითაც დედა 4 ლ რძეს უყიდის თავის მშიერ ბავშვს. ამ დროს ლიბერალები აგინებენ სტალინს, ხოლო მსოფლიოში ომების გამჩაღებელი ბუშის ქუჩასა და არცთუ კარგი განათლების მქონე რეიგანის ძეგლს რუდუნებით უვლიან...**

| ცხრილი | ერთდროულად / | ყოველთვიურად |
|---|---|---|
| ორშვილიან დედებს მესამე ბავშვის დაბადებისას .................................... | 400 მან | |
| სამშვილიან დედებს მეოთხე ბავშვის დაბადებისას .................................... | 1 300 მან | 80 მან |
| ოთხშვილიან დედებს მეხუთე ბავშვის დაბადებისას .................................... | 1 700 მან | 120 მან |
| ხუთშვილიან დედებს მეექვსე ბავშვის დაბადებისას .................................... | 2 000 მან | 140 მან |
| ექვსშვილიან დედებს მეშვიდე ბავშვის დაბადებისას .................................... | 2 500 მან | 200 მან |
| შვიდშვილიან დედებს მერვე ბავშვის დაბადებისას .................................... | 2 500 მან | 200 მან |
| რვაშვილიან დედებს მეცხრე ბავშვის დაბადებისას .................................... | 3 500 მან | 250 მან |
| ცხრაშვილიან დედებს მეათე ბავშვის დაბადებისას .................................... | 3 500 მან | 250 მან |
| ათშვილიან დედებს თითოეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას .................................... | 5 000 მან | 300 მან |

**განმავლობაში ბავშვის დაბადების დღიდან. მე-11 და თითოეულ შემდეგ ბავშვზე ერთდროულად 5 000 მანეთს და ყოველწლიურად 3 000 მანეთს ოთხი წლის განმავლობაში ბავშვის დაბადების მეორე წლიდან. ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ თითოეული შემდეგი ბავშვის დაბადებისას დახმარება** გაიცემა ბრძანებულების **ამ მუხლით დადგენილი წესითა და ოდენობით.**

მრავალშვილიანობის სახელმწიფო დახმარების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებიან სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული ან უკვალოდ დაკარგული შვილები.

**3.** დაწესდეს სახელმწიფო დახმარება მარტოხელა დედებისთვის, რომლებიც დაქორწინებულნი არ არიან. ამ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ დაბადებული შვილების შესანახად და აღსაზრდელად შემდეგი ოდენობით:

**100 მანეთი თვეში თითო ბავშვზე; 150 მანეთი 2 ბავშვზე და 200 მანეთი სამსა და მეტ ბავშვზე. მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარება ეძლევათ, სანამ შვილები 12 წლის ასაკს არ მიაღწევენ. მარტოხელა დედებს, რომლებსაც 3 და მეტი შვილი ჰყავთ, ამ მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება ეძლევათ დამატებით მრავალშვილიანობის დახმარებისა, რომელსაც ამ ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად იღებენ.**

მარტოხელა დედას დაქორწინებისას ენახება ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების უფლება. დედები, რომლებიც ალიმენტებს იღებენ ამ ბრძანებულების გამოცემამდე დაბადებული ბავშვებისათვის, ალიმენტების მიღების თავიანთ უფლებას ინარჩუნებენ ბავშვის სრულწლოვანებამდე და ამ მუხლით გათვალისწინებულ დახმარებას არ იღებენ. 1944 წელს, ამ ბრძანებულების გამოცემამდე დაბადებული შვილების დედებს, რომლებიც მათთვის ალიმენტებს არ იღებენ, აქვთ ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარების უფლება.

**4.** თუ მარტოხელა დედა მოისურვებს, მის მიერ დაბადებული ბავშვი მიაბაროს აღსაზრდელად საბავშვო დაწესებულებას, საბავშვო დაწესებულება ვალდებულია, ბავშვი აღსაზრდელად მიიღოს მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე.

ბავშვის დედას უფლება აქვს, გაიყვანოს ბავშვი საბავშვო დაწესებულებიდან და თვითონ აღზარდოს. საბავშვო დაწესებულებაში ბავშვის ყოფნის განმავლობაში სახელმწიფო დახმარება ბავშვისთვის არ გაიცემა.

**5. გადიდდეს ოდენობა ერთდროული დახმარებისა, რომლის გაცემაც წარმოებს სოციალური დაზღვევისა და კოოპერატიული არტელების ურთიერთდახმარების სალაროთა სახსრებიდან ახალდაბადებული ბავშვებისათვის 45 მანეთიდან 120 მანეთამდე. დაწესდეს, რომ დედები უნდა უზრუნველყოფილნი იქნან, რომ აღნიშნული თანხით იყიდონ ახალდაბადებულისთვის თეთრეულის კომპლექტი.**

**6.** გაუდიდდეს ორსულობისა და მშობიარობის გამო **შვებულება მუშა და მოსამსახურე ქალებს 63 კალენდარული დღიდან 77 კალენდარულ დღემდე, ამასთანავე, შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 35 კალენდარული დღე მშობიარობამდე და 42 კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ და ამ პერიოდისთვის გაიცეს დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე წინათ დაწესებული ოდენობით.** არანორმალური მშობიარობის ან ტყუპის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ შვებუ- ▶

# „გაუდიდდეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება მუშა და მოსამსახურე ქალებს 63 კალენდარული დღიდან 77 კალენდარულ დღემდე, ამასთანავე, შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 35 კალენდარული დღე მშობიარობამდე და 42 კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ. ამ პერიოდისთვის გაიცეს დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე წინათ დაწესებული ოდენობით“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლება წესდება 56 კალენდარული დღის ხანგრძლივობით. დაევალოს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ორსულ ქალებს მორიგი შვებულება მისცენ მშობიარობისა და ორსულობის გამო შვებულების შეფარდებით.

**7. ორსულ ქალებს 4 თვის ორსულობიდან დაწყებული არ დაეკისროთ საზეგანაკვეთო მუშაობა საწარმოებსა და დაწესებულებებში, ხოლო ქალებს, რომელთაც ძუძუთა ბავშვები ჰყავთ — ღამით მუშაობა ბავშვის კვების პერიოდში.**

**8.** ერთდროულად გაუდიდდეს დამატებითი სასურსათო ულუფა ორსულ ქალებს ორსულობის მე-6 თვიდან დაწყებული და დედებს, რომლებიც ძუძუს აწოვებენ, ძუძუს წოვების 4 თვის განმავლობაში.

**9. დაევალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, დახმარება აღმოუჩინონ ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს დამხმარე მეურნეობებიდან პროდუქტების დამატებით მიცემის გზით.**

**10.** გათავისუფლებული იქნას საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ბავშვების მოთავსების ფასის 50%-ით მშობლები:

* რომლებსაც ჰყავთ 3 შვილი, ხოლო ხელფასი შეადგეს 400-მდე მანეთს თვეში;

* რომლებსაც ჰყავთ 4 შვილი, ხოლო ხელფასი შეადგენს 600-მდე მანეთს თვეში;

* რომლებსაც ჰყავთ 5 და მეტი შვილი, რა ხელფასიც უნდა ჰქონდეთ.

**11. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს:**

ა) დაამტკიცოს რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით დედისა და ბავშვის სახლების, აგრეთვე, ხელმოკლე ორსული მარტოხელა ქალებისა და დასუსტებული მეძუძევე დედებისათვის სპეციალური დასასვენებელი სახლების დამატებით მწყობის გეგმა ისე, რომ ამ დაწესებულებებში გამოყენებული იქნას დამსვენებელთა შრომა შესაფერის სამუშაოზე;

**ბ)** დამტკიცდეს სახალხო კომისარიატებისა და უწყებების მიხედვით საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების გეგმა იმ ვარაუდით, რომ მომსახურეობა გაეწიოს ყველა ბავშვს, რომლებსაც ეს ესაჭიროება. ამასთანავე, გაითვალისწინონ საბავშვო კონსულტაციათა და სარძეო სამზარეულოთა ქსელის გაფართოება, ძუძუთა ბავშვებისთვის ბაგების, საბავშვო ბაღებსა და მშობიარობის დამხმარე დაწესებულებებში საღამოს ჯგუფების მოწყობა გერმანელ დამპყრობთაგან გათავისუფლებულ რაიონებში;

**გ) გაითვალისწინოს სავალდებულო მოწყობა საწარმოებსა და დაწესებულებებში საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების, ძუძუთა ბავშვების საკვები ოთახებისა და ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახებისა, სადაც მასობრივად იქნება გამოყენებული ქალის შრომა;**

**დ)** დაავალოს სახალხო კომისარიატებს, სამრეწველო მშენებლობის პროექტებში გაითვალისწინონ საბავშვო დაწესებულებათა (ბაგა-ბაღები, საბავშვო ბაღები, დედისა და




ბავშვის ოთახები) აგება, რომლებიც გასწვდებიან ამა თუ იმ საწარმოს მუშა და მოსამსახურე ქალთა იმ ბავშვების მომსახურებას, რომლებსაც ეს მომსახურება ესაჭიროებათ;

**ე) დამტკიცდეს ღონისძიებანი ბავშვის ტანსაცმლის, ფეხსაცმელის, ბავშვის ჰიგიენისა და სანიტარიის და ბავშვთა სახმარი სხვა საგნებით წარმოების მნიშვნელოვნად გასაფართოებლად, როგორც საბავშვო დაწესებულებათათვის, ისე მოსახლეობის მისაყიდად, აგრეთვე, ბავშვის ტანსაცმლის საკერავი სახელოსნოებისა და დედისა და ბავშვის მაღაზიების ქსელის გასაფართოებლად.**

**12.** დაწესდეს „დედობის მედალი“ I და II ხარისხისა იმ დედების დასაჯილდოებლად, რომლებმაც შობეს და აღზარდეს:

* 5 შვილი — II ხარისხის მედალი;

* 6 შვილი — I ხარისხის მედალი.

**13. დაწესდეს „სახელოვანი დედის ორდენი“ I, II და III ხარისხისა იმ დედების დასაჯილდოებლად, რომლებმაც შობეს და აღზარდეს:**

* 7 შვილი — III ხარისხის ორდენი;

* 8 შვილი — II ხარისხისნ ორდენი;

* 9 შვილი — I ხარისხის ორდენი.

**14.** დედას, რომელმაც შობა და აღზარდა 10 შვილი, მიენიჭოს „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეს „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

**15. „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოება და „გმირი დედის“ წოდების მინიჭება მოხდება მაშინ, როცა ბოლო შვილი მიაღწევს 1 წელს და ამ დედის დანარჩენი შვილები ცოცხლები არიან. დედის დაჯილდოებისას მხედველობაში მიიღებიან ის შვილებიც, რომლებიც სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპნენ ან დაიკარგნენ.**

**16.** შესაცვლელად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და უშვილო მოქალაქეთა გადასახადის შესახებ“ დაწესდეს, რომ გადასახადს იხდის მოქალაქენი, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ, და მოქალაქენი, რომლებსაც ჰყავთ 1 და 2 შვილი: მამაკაცები 20 წელზე ზევით ასაკიდან 50 წლამდე და ქალები 20 წელზე მეტი და 45 წლამდე.

**17. გადასახადები უნდა გადაიხადონ შემდეგი ოდენობით:**

**ა)** მოქალაქეებმა, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან, თუ შვილი არ ჰყავთ, შემოსავლის 6%, თუ ერთი შვილი ჰყავთ — 1% და, თუ 2 შვილი ჰყავთ — შემოსავლის ნახევარი %;

**ბ)** კოლმეურნეებს, ერთპიროვნულ მეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავი მეურნეობების შემადგენლობაში შედიან, თუ შვილი არ ჰყავთ — 150 მანეთი წელიწადში; თუ 1 შვილი ჰყავთ — 50 მანეთი და თუ 2 შვილი ჰყავთ 25 მანეთი წელიწადში.

გ) დანარჩენ მოქალაქეებს, თუ შვილები არ ჰყავთ — 90 მანეთი წელიწადში; თუ 1 შვილი ჰყავთ — 30 მანეთი; თუ 2 შვილი ჰყავთ — 15 მანეთი წელიწადში.

**18. გათავისუფლდეს გადასახადით დაბეგვრისგან:**

**ა)** რიგითები, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები;

**ბ)** მოქმედი არმიისა და ფლოტის შემადგენლობაში შემავალი საჯარისო ნაწილებისა და დაწესებულებების ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურენი.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეთა ცოლები;

**გ)** ქალები, რომელნიც სახელმწიფოსგან დახმარებას ან პენსიას იღებენ შვილების შესანახად;

**ე)** მოქალაქენი, რომელთაც შვილები დაეღუპათ ან უკვალოდ დაეკარგათ სამამულო ომის ფრონტებზე;

**ვ)** საშუალო და უმაღლესი სასწავლებელთა მოსწავლენი — ვაჟები და ქალები 25 წლამდე.

**ზ)** I და II ჯგუფის ინვალიდები.




## გმირი დედა

**შვიდი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცი და ხუთი ქალიშვილი აღუზარდა მან სამშობლოს. და აი, მძიმე განსაცდელის დღეებში, როცა ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტთა ურდოები ავაზაკურად დაესხნენ თავს, ქართველმა დედამ, ბარბარე ბახტაძემ, ფრონტზე შვიდივე ვაჟკაცი გაისტუმრა და გზა დაულოცა მათ.**

— გული მიდუღდა, ცრემლს ძლივს ვიკავებდი, როცა შინ ჩემი ქალიშვილების ამარა დავრჩი, — ამბობს ბარბარე, — მაგრამ ფიქრი, რომ ჩემი შვიდი ვაჟი სამშობლოს გამოადგებოდა სიამაყეს მგვრიდა. თვალწინ მედგა ქართველი დედების სახე, იმ დედებისა, რომელნიც გმირ შვილებს უზრდიდნენ საქართველოს. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ვაჟები დღეს სამშობლოს დასაცავად იბრძვიან ფრონტებზე. ბარბარემ თავის ვაჟების სურათები ამოიღო და მათი ამბის მოყოლა დაიწყო:

— უფროსმა ვაჟმა, **გიორგიმ,** სამშენებლო ინსტიტუტი დაამთავრა თბილისში. მუშაობდა მშენებლობაზე. 1941 წლის სექტემბერში იგი გაიწვიეს წითელ არმიაში. 1942 წელს გიორგი მამაცურად იბრძოდა ქალაქ ნალჩიკთან, იცავდა მშობლიურ კავკასიას. ამჟამად იგი კვლავ ფრონტზეა. მეორე ვაჟი — **ვლადიმერი** 34 წლისაა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ლენინგრადში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. შემდეგ მუშაობდა თბილისში ფეხსაცმელების ფაბრიკაში მთავარ მექანიკოსად. სამამულო ომის დაწყების წინ წითელ არმიაში გაიწვიეს. ვლადიმერი თავდადებით იცავდა კავკასიას გერმანელი დამპყრობლებისგან. სამამულო ომის ფრონტზე ასევე მამაცურად და გულადად იბრძოდა ბარბარეს მესამე ვაჟი **ალექსანდრეც,** საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ — თბილისის ოპერის თეატრში მექანიკოსად. 1941 წლის 23 ივნისს გაიწვიეს წითელ არმიაში. იბრძოდა ყირიმში, სადაც მძიმედ დაიჭრა, ამჟამად მკურნალობს. მეოთხე ვაჟი, **მიხეილი,** ომამდე მუშაობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ტექნიკოსად. 1942 წლის ივლისში გაიწვიეს არმიაში. იბრძოდა ფრონტებზე. ამჟამად იმყოფება ულიანოვსკის სამხედრო სასწავლებელში. მეხუთე ვაჟმა, **ნიკოლოზმა,** დაამთავრა თბილისის საშუალო სასწავლებელი და შემდეგ — შოფერთა კურსები. მუშაობდა თბილისში მშენებლობაზე. 1941 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. მონაწილეობდა როსტოვის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. **ვიქტორი** — ბარბარეს მეექვსე ვაჟი, 1938 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. სამამულო ომის დაწყებიდანვე იგი ვაჟკაცურად იბრძოდა ლენინგრადის ფრონტზე და თავისი წვლილი შეიტანა მტრის ბლოკადისგან ლენინგრადის გათავისუფლების საქმეში. შემდეგი ვაჟი **სევერიანე** — 19 წლის ჭაბუკი, 1942 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. იგი კავკასიის დაცვის მონაწილეა. მამაცურად ებრძოდა გერმანელებს ჩრდილოეთ კავკასიაში, შემდეგ — კრასნოდარში. მონაწილეობდა ნოვოროსიისკის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში, მამაცობის გამოჩენისთვის წარდგენილია ჯილდოებზე“. თავისი ვაჟების მამაცობით აღფრთოვანებული ბარბარე ბახტაძე სიყვარულით იგონებს მათ ბავშვობას, ყოველივე წვრილმანს მათი ცხოვრებიდან.

**შენიშვნა: წერილში გამოყენებულია მასალები ბორის ნანიტაშვილის პირადი არქივიდან**




## ყურადღება!

**„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.**

მულტიკულტურიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპის იმიგრაციულ შტურმამდე ერთი წლით ადრე გერმანიაში ლტოლვილების რაოდენობა მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულების რაოდენობა აღემატებოდა დანარჩენი მოსახლეობის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ლიბიელები შურს იძიებდნენ ჯამაჰირიის გამო, რომელიც ნატოს თვითმფრინავებმა დაბომბეს, ტუნისელები სჯიდნენ „ჟასმინის რევოლუციისთვის“, ალჟირელები — „არაბული გაზაფხულისთვის“.**

# დასავლური ცივილიზაციის თვითმკვლელობა

**50 წლის წინათ ევროპელმა სოციოლოგებმა გამოთვალეს, რომ, როგორც კი საზოგადოებაში უცხოტომელთა რაოდენობა 2 პროცენტს მიაღწევს, მათი გავლენა საცხოვრებელ გარემოზე შეუქცევადი ხდება.**

იმხანად ეს გამოთვლა, უბრალოდ, საინტერესო გახლდათ. მაგალითები იმისა, რომ უცხოტომელები განსაკუთრებით აშფოთებდნენ ევროპელებს, ძალიან ცოტა იყო, **დიდ ქალაქებში შექმნილი „ჩაინათაუნები“ („ჩინური კვარტლები“) კი ქმნიდნენ ილუზიას, რომ იმიგრანტები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ დასავლური კულტურის გავლენას.**

**იმხანად გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, „ცივილიზაციასთან ზიარებიდან“ ორი წლის შემდეგ იმიგრანტები კანონმორჩილები და ინტეგრირებულნი იქნებოდნენ მათთვის ახალ ცხოვრებაში.** დღეს ასეთ თვალსაზრისს ველარ მოისმენთ.

აშშ იმიგრანტების სახელმწიფოს ყველაზე ნათელი მაგალითია. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამოძიების ფედერალური ბიუროს ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ 2019 წელს ასეთი დანაშაულების 53 პროცენტი მოდის თეთრკანიანებზე, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის 61 პროცენტს შეადგენენ (ლათინური ამერიკის წარმომადგენლებთან ერთად — 73%-ს), დანაშაულის დანარჩენი 47% კი ჩაიდინეს შავკანიანებმა და ფერადკანიანებმა (ძირითადად, იმიგრანტებმა). თითქოს ბალანსი არის, მაგრამ, როგორც The Unz Review-ი წერს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დიდმა ნაწილმა ციფრები ისე წარმოაჩინა, „თითქოს ისინი ასახავდა ბოლო ათწლეულებში ყველაზე დიდ ძალადობას სიძულვილის ნიადაგზე“.

პროცენტებიდან ამერიკულ სინამდვილეზე გადავიდეთ: **ციფრებით მტკიცდება, რომ ერთი წლის განმავლობაში შავკანიანების მიერ თეთრკანიანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 547 948 იყო, თეთრკანიანების თავდასხმები შავკანიანებზე კი 9-ჯერ ნაკლები — 59778. ის, რომ დღეს აშშ-ში შავების სიცოცხლე პრიორიტეტულია თეთრების სიცოცხლესთან შედარებით და ეს პოლიტიკურ ფაქტად იქცა, ნიშნავს იმას, რომ ამით დაინტერესებულნი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი.** ამერიკის ეკონომიკას სჭირდება იაფი მუშახელი და ეს მუშახელი არ არის თეთრი ამერიკა. აშშ-ში იმიგრაციასა და მძიმე დანაშაულებს შორის კავშირზე მონაცემების მოძიება სულ უფრო რთულდება. და ასეა არა მხოლოდ აშშ-ში. **იმიგრაციის პრობლემების ანალიზით დაკავებული ევროპული ინსტიტუტები არ ასაჯაროებენ ეთნიკურ და რასობრივ მაჩვენებლებს დანაშაულების სტატისტიკაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია 2015 წლიდან, როცა მხოლოდ გერმანიაში მილიონზე მეტი იმიგრანტი შევიდა მაღრიბისა და წინა აზიის ქვეყნებიდან.**

ევროპის იმიგრაციულ შტურმამდე ერთი წლით ადრე გერმანიაში ლტოლვილების რაოდენობა მოსახლეობის თითქმის 10 პროცენტს შეადგენდა, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულების რაოდენობა აღემატებოდა დანარჩენი მოსახლეობის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. **ლიბიელები** შურს იძიებდნენ ჯამაჰირიის გამო, რომელიც ნატოს თვითმფრინავებმა დაბომბეს, **ტუნისელები** სჯიდნენ „ჟასმინის რევოლუციისთვის“, **ალჟირელები** — „არაბული გაზაფხულისთვის“. **საფრანგეთში ამჟამად პატიმართა 70 პროცენტი მაღრიბის ქვეყნებიდანაა. გერმანიაში, სადაც მილიონამდე „ლტოლვილი“ შევიდა, მკვეთრად მოიმატა სექსუალური ძალადობის შემთხვევებმა. 5 წლის განმავლობაში იმიგრანტების მხოლოდ ნახევარმა დაიწყო მუშაობა, დანარჩენები სოციალური დახმარებებით ცხოვრობენ.** აი 2 წლისწინანდელი სურათი: ქვედა საქსონია, ქალაქი გიფჰორნი. „იმიგრანტები, რომლებიც მაღაზიებში დაძვრებიან, რასაც დაინახავენ, იღებენ, მაგრამ საფასურს არ იხდიან, აქვე ნაცნობ გერმანელს ტანსაცმლის მაღაზია აქვს, შევიდნენ 600-700 ევროს ღირებულების ქურთუკები აიღეს და გარეთ გაცვივდნენ. გამყიდველი ქალი ეძახდათ, გადაიხადეთო, მაგრამ მათ ხელი აუქნიეს ყვირილით: „მერკელ, მერკელ!“ მერკელი გადაიხდისო. პოლიციამ კი უარი განაცხადა საქმის აღძვრაზე, როცა შეიტყო, რომ ისინი ლტოლვილები იყვნენ“, — ამბობს „რუსი გერმანელი“ **ვალდემარ გერინგერი.**

მანამდე კი, 2016 წლის პირველ დღეს, კელნში იმიგრანტებმა გერმანელი ქალები აბუჩად აიგდეს. ეს გერმანიისთვის სამარცხვინო შემთხვევაა. იმ დღეს პოლიციაში 1054 განცხადება შევიდა, მათგან 454 — სექსუალურ ძალადობაზე, 600 — ძარცვაზე, ანალოგიური რამ მოხდა ბერლინში, ჰამბურგში, დიუსელდორფში, შტუტგარტში, შვეიცარიის ციურიხსა და ავსტრიის ზალცბურგში. გერმანიის პოლიციამ აღიარა, რომ მზად არ იყო: მსგავსი რამ გერმანიაში არასოდეს მომხდარა.



**ციფრებით მტკიცდება, რომ ერთი წლის განმავლობაში შავკანიანების მიერ თეთრკანიანთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 547 948 იყო, თეთრკანიანების თავდასხმები შავკანიანებზე კი 9-ჯერ ნაკლები — 59778. ის, რომ დღეს აშშ-ში შავების სიცოცხლე პრიორიტეტულია თეთრების სიცოცხლესთან შედარებით და ეს პოლიტიკურ ფაქტად იქცა, ნიშნავს იმას, რომ ამით დაინტერესებულნი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი**




სამარცხვინო იყო კელნის ხელისუფლების რეაქცია: ქალაქის მერმა გერმანელ ქალებს „ურჩია“, შეცვალონ თავიანთი ქცევები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში: „ევლოთ ჯგუფურად“ და „დაეცვათ დისტანცია“.

მასობრივი იმიგრაციის დამანგრეველი ზემოქმედება იმიგრანტების მიმღებ ხალხზე, რომელიც ომში დამარცხებას ჰგავს, ევროპული ქვეყნების ხელისუფლებაში სათანადო წინააღმდეგობას არ იწვევს. ერთი თვის წინათ შვეიცარიამ მხარი არ დაუჭირა ევროკავშირიდან იმიგრაციის შეზღუდვას და კარი ყველასთვის ღია დატოვა. **შვეიცარიის მთავრობამ მოსახლეობა გააფრთხილა, რომ, თუ ქვეყანა ცალმხრივად გააუქმებდა თავისუფლად გადაადგილების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, მაშინ ევროკავშირის „გილიოტინა“ დაუყოვნებლივ წააჭრიდა თავს ყველა გარიგებას ამ ევროპულ გაერთიანებასთან, რომელიც ოფიციალური ბერლინის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია.**

ამ ფონზე **2020 წლის ივნისში გერმანიის ბუნდესტაგმა მოიწონა მიგრაციული კანონების ახალი პაკეტი, რომელმაც გაამარტივა მიგრანტების დეპორტაცია... და მუშახელის უფრო მასშტაბური იმიგრაცია გფრ-ში. ახლა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია გერმანიაში მუშაობის დაწყება იმავე უფლებებით, რომლებიც აქვთ გერმანელებს.** ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს ჩამოსული, რადგან დასაშვებია, რომ მას ნაკლები გადაუხადო. როგორც Deutsche Welle წერს, ყოველი მეხუთე გერმანელი დღეს იძულებულია, დამატებითი სამუშაო ეძებოს, რათა ოჯახი სრულფასოვნად გამოკვებოს. Mini-job-ი, როგორც მას უწოდებენ, თვეში 450 ევროს შემოსავალს იძლევა, ზოგ შემთხვევაში — უფრო ნაკლებს. **გერმანელთა 20 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (Deutsche Welle-ს შეფასება) და მათი რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს 50 ათასი ადამიანით. ამჟამად გერმანიაში მინიმალური ანაზღაურება საათში 8,84 ევროა.** იმიგრანტების ნაკადის შესვლა შრომის ბაზარზე კიდევ უფრო შეამცირებს მას, თუმცა გაზრდის გერმანული კომპანიების მოგებას.

**და რამდენჯერ უნდა განმეორდეს კელნის საახალწლო მოვლენები ქვეყანაში, მერკელის მთავრობა რომ შეჩერდეს?** ამ გზაზე დასავლურ ცივილიზაციაში ყველაზე შორს წავიდა **კანადა:** 2022 წლის ბოლომდე ამ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 38 მილიონია, 1,2 მლნ იმიგრანტის შეშვებას აპირებენ „მუშახელით კანადის ეკონომიკის მხარდასაჭერად“. ჯო ბაიდენს კი, თუკი ის 20 იანვარს შევა თეთრ სახლში, განზრახული აქვს, უწინარესად მიგრაციული კანონმდებლობა შეცვალოს და 11 მლნ ადამიანს (არალეგალებს) აშშ-ის მოქალაქეობა მისცეს. საკითხავია, რომელი გილიოტინა დაეშვება ამ ორი ქვეყნის თავზე.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა**



**დასავლურ ცივილიზაციაში ყველაზე შორს წავიდა კანადა: 2022 წლის ბოლომდე ამ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 38 მილიონია, 1,2 მლნ იმიგრანტის შეშვებას აპირებენ „მუშახელით კანადის ეკონომიკის მხარდასაჭერად“. ჯო ბაიდენს კი, თუკი ის 20 იანვარს შევა თეთრ სახლში, განზრახული აქვს, უწინარესად მიგრაციული კანონმდებლობა შეცვალოს და 11 მლნ ადამიანს (არალეგალებს) აშშ-ის მოქალაქეობა მისცეს**





კამილა ჰარისი

**ქალმა-ქორმა კამილა ჰარისმა ამ დანიშვნების გამოცხადებამდე კარგა ხნით ადრე დაიბევა ვიცეპრეზიდენტის ადგილი, ამიტომ „ბაიდენის მეგობრების“ ამ სიაში ვერ მოხვდა. ეს პოსტი ქალბატონ კამილას უკონკურსოდ ერგო. კამილა ჰარისი ბაიდენის გუნდის განსაკუთრებული წევრია, რომელიც ვიცეპრეზიდენტად დანიშნეს იმისთვის, რომ „მძინარე ჯოს“ ზურგს ამოფარებულმა სახელმწიფო მოხელეებს უხელმძღვანელოს.**



**დონალდ ტრამპის შტაბმა ბოლო კვირაში რამდენიმე სასამართლო წააგო და უზენაეს სასამართლომდე საქმის მიყვანის პერსპექტივა, თვითონ ტრამპის აღიარებით, კარგი არ არის. ამასთანავე, ტრამპი გეგმავს, 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კვლავ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა და ეს გააკეთოს 2021 წლის 20 იანვარს — ბაიდენის ინაუგურაციის დღეს. ჯო ბაიდენმა კი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საკვანძო პოსტებზე დასანიშნი პირების სია გამოაქვეყნა.**

# ობამასგან ნათხოვარი «ბაიდენის 6 მეგობარი» — რუსოფობები და ქორები



თვალშისაცემია, რომ „ბაიდენის ექვსივე მეგობარი“ მას **ბარაკ ობამასგან** ერგო მემკვიდრეობით. ეს პირები საპასუხისმგებლო პოსტებს იკავებდნენ პირველი BLM-პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

* ბაიდენის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის პოსტს დაიკავებს **ენტონი ბლინკენი,** რომელიც ობამას ადმინისტრაციაში (2015-2017 წლებში) იმჟამინდელი სახელმწიფო მდივნის, **ჯონ კერის,** მოადგილე იყო.

ბლინკენს ძველ ადმინისტრაციაში დიდი წარმატებები არ ჰქონია, უფრო პირიქით: რუსეთისთვის სანქციების დაწესების არქიტექტორმა ვერ მიაღწია ამ ქვეყნის ეკონომიკის „ნაკუწებად დაგლეჯას“; სირიის მიმართ სტრატეგიის შემმუშავებელი **ბაშარ ასადისა** და სირიის გამარჯვებას შორიდან უცქერს; ლიბიაში კი ყველა გამარჯვებულია, ვაშინგტონის გარდა. ბლინკენი კლინიკური რუსოფობია. ფართო რეზონანსი ჰქონდა მის ფრაზას: „ყველა რუსმა პასუხი უნდა აგოს პუტინის გამო“, რომელიც მან 2014 წელს ყირიმის მოვლენებზე თქვა.

ცნობილია, რომ **ბლინკენი, ისევე, როგორც ბაიდენის გუნდის სხვა წევრები, შეფის მაქინაციებსა და ავანტიურებში მონაწილეობდა უკრაინაში.**

* ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის პოსტს დაიკავებს **ჯეიკ სალივანი,** რომელიც ბაიდენთან ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა, როცა ის აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი იყო. **სალივანს პირდაპირი ურთიერთობა აქვს მინესოტას შტატის გავლენიან წრეებთან და BLM-ის აქტივისტების მიერ გაჩაღებული ქუჩის ძალადობის ერთ-ერთ ჩრდილოვან ფიგურად მიიჩნევა.** პოლიციელების მიერ შავკანიანი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობით გამოწვეულმა არეულობებმა ძალიან დააზარალა **დონალდ ტრამპის** რეპუტაცია. სალივანი, რომელიც საიდუმლო დიპლომატიის დიდი სპეციალისტია, ჰილარი კლინტონსა და ობამას ემსახურებოდა, ახლა კი ბაიდენს ერგო მემკვიდრეობით.

* შიდა უსაფრთხოების მინისტრად დასახელებულია **ალეხანდრო მაიორკასი,** კუბელი ემიგრანტი, ობამას ადმინისტრაციაში შიდა უსაფრთხოების მინისტრის ყოფილი მოადგილე. ცნობილია, რომ მაიორკასი კიბერუსაფრთხოების სპეციალისტია. ექსპერტთა აზრით, ესპანურენოვანი იმიგრანტი, კუბელი ამ საპასუხისმგებლო პოსტზე დემოკრატიული პარტიისადმი ნაციონალური უმცირესობის სიმპათიის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად დაინიშნება.

* ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უხელმძღვანელებს **ევრილ ჰეინსი,** რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს ბაიდენთან და დაზვერვაში გამოუცდელი პირი არ არის. იყო ცსს-ის დირექტორის მოადგილე. აქვს აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მუშაობის გამოცდილება. მიმომხილველთა აზრით, მთავარი საკითხი ის კი არ არის, პერსონალურად ვინ უხელმძღვანელებს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, არამედ ის, გაგრძელდება თუ არა ცსს-ის პოლიტიზაცია და დაუბრუნდება თუ არა ეს უწყება ძველ მოვალეობებს — ჯაშუშობასა და ფსიქოლოგიურ დამუშავებას. საიდუმლო არავისთვის არის, რომ სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი შეფის, **მაიკ პომპეოს,** დანიშვნა სახელმწიფო მდივნად ცსს-ზე მის შეფობასაც გულისხმობდა.

* გაეროში აშშ-ის მუდმივ წარმომადგენლად **ლინდა ტომას-გრინფილდის** დანიშვნა ბაიდენის შტაბის საჩუქარია ლიბერალური ამერიკისთვის. ეს არის ქალი „სამი ერთში“: ქალი, შავკანიანი და დიპლომატიური გამოცდილების მქონე. ობამას ადმინისტრაციაში ლინდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო აფრიკის საკითხებში. აფრიკაში მის მოღვაწეობაზე ღია წყაროებში ნათქვამი არაფერია, მაგრამ პორტალი Axios-ი ბაიდენის შტაბზე დაყრდნობით იუწყება, რომ დეიდა ლინდას გაეროში აშშ-ის „მორალური სულისკვეთების მკვეთრად ასამაღლებლად“ მიავლენენ, სულისკვეთების, რომელიც **სამანტა პაუერის** ქმედებებით მკვეთრად დაეცა.

* დასასრულ, თანამდებობა, რომელიც სინეკურად — შემოსავლიან თანამდებობად — ჩანს, ყოველ შემთხვევაში საჭიროა კონკურენტების ეკოლოგიური შანტაჟისა და მათთვის ფულის გამოძალვისთვის ამერიკის სასარგებლოდ — ეს არის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კლიმატის საკითხებში. თუ საჭირო იქნება, მარსის კლიმატის საკითხებშიც. და ამ თანამდებობას უმზადებენ ობამასდროინდელ სახელმწიფო მდივან **ჯონ კერის.**

მთავარი, რაც ყველას უნდა ახსოვდეს ბაიდენის ადმინისტრაციაში „ციკლონების ზედამხედველზე“, ეს არის მისი „გმირობები“ დიპლომატიურ ასპარეზზე და ცრემლნარევი შეძახილები „სირიაში რუსული ბომბებით ბავშვების დახოცვის“ შესახებ. არც უკრაინაში მის მიერ **ვიქტორ იანუკოვიჩის** კაპიტულაციის იძულების დავიწყება შეიძლება. ჯონ კერი პროფესიონალი ქამელეონია. როცა სჭირდება გმირი და ვიეტნამის ომის ვეტერანია, ძველი ჯარისკაცი, ხოლო, როცა ეს სარგებლიანი არ არის — პაციფისტი და მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად გააფთრებით მებრძოლი.

**ჯონ კერი პროფესიონალი ქამელეონია. როცა სჭირდება, გმირი და ვიეტნამის ომის ვეტერანია, ძველი ჯარისკაცი, ხოლო, როცა ეს სარგებლიანი არ არის — პაციფისტი და მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად გააფთრებით მებრძოლი. კერი ერთ-ერთი მთავარი წამქეზებელია, სწორედ მან უბიძგა ობამას მუამარ კადაფის დამხობისა და ლიბიის ქაოსში ჩაძირვისკენ, რის გამოც აშშ-ის ელჩი და კიდევ სამი ამერიკელი დიპლომატი სიცოცხლეს გამოასალმეს**



ენტონი ბლინკენი



ჯეიკ სალივანი



ალეხანდრო მაიორკასი



ევრილ ჰეინსი



ლინდა ტომას-გრინფილდი



ჯონ კერი

კერი ერთ-ერთი მთავარი წამქეზებელია, სწორედ მან უბიძგა ობამას **მუამარ კადაფის** დამხობისა და ლიბიის ქაოსში ჩაძირვისკენ, რომლის გამოც აშშ-ის ელჩი და კიდევ სამი ამერიკელი დოპლომატი სიცოცხლეს გამოასალმეს.

აღსანიშნავია, რომ ქალმა-ქორმა **კამილა ჰარისმა** ამ დანიშვნების გამოცხადებამდე კარგა ხნით ადრე დაიბევა ვიცეპრეზიდენტის ადგილი, ამიტომ „ბაიდენის მეგობრების“ ამ სიაში ვერ მოხვდა. ეს პოსტი ქალბატონ კამილას უკონკურსოდ ერგო. კამილა ჰარისი ბაიდენის გუნდის განსაკუთრებული წევრია, რომელიც ვიცეპრეზიდენტად დანიშნეს იმისთვის, რომ „მძინარე ჯოს“ ზურგს ამოფარებულმა სახელმწიფო მოხელეებს უხელმძღვანელოს.

როგორც ვხედავთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბაიდენის ადმინისტრაციაში საკვანძო თანამდებობებზე ძველი სახეები დაინიშნენ — ქორები და რუსოფობები, რომლებსაც უკან ძველი „დამსახურებების“ შლეიფი მოჰყვებათ.

**BLINKENS ძველ**

**ბლინკენს ძველ ადმინისტრაციაში დიდი წარმატებები არ ჰქონია, უფრო პირიქით: რუსეთისთვის სანქციების დაწესების არქიტექტორმა ვერ მიაღწია ამ ქვეყნის ეკონომიკის «ნაკუწებად დაგლეჯას»; სირიის მიმართ სტრატეგიის შემმუშავებელი ბაშარ ასადისა და სირიის გამარჯვებას შორიდან უცქერს; ლიბიაში კი ყველა გამარჯვებულია, ვაშინგტონის გარდა... ცნობილია, რომ ბლინკენი, ისევე, როგორც ბაიდენის გუნდის სხვა წევრები, შეფის მაქინაციებსა და ავანტიურებში მონაწილეობდა უკრაინაში**

**politnavigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

რკინის ფარდა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მათ, ვისაც არ სჯერა მომავალი გარდაქმნების, დღეს უკვე აიძულებენ მის მიღებას. BIG DIGITAL-ის ზემოქმედებით, იდენტურობასთან, რასასა და სქესთან დაკავშირებული „არქაული“ ფასეულობები სწრაფად გადაიქცა „ერესად“, როგორც ამას დაუსრულებლად იმეორებენ BML-ის აქტივისტები.**

# ოპერაცია «გლობალიზმის იძულება»: მსოფლიოზე ახალი რკინის ფარდის დასაშვებად ემზადებიან

**რა არის ციფრული რკინის ფარდა? ეს ის შემთხვევაა, როცა Big Digital-ი (ასე მოიხსენიებს ამ დასავლურ ტექნოლოგიას ამერიკელი პროფესორი მაიკლ რეკტენვალდი) ხდება „ძალაუფლების რეალური ორგანო“ იმ საშინელებების გამოყენებით, რომელთა დახმარებითაც მართულები (ე.ი., ჩვენ, ხალხი) აითვისებენ მენტალიტეტს, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ ელიტები.**

რა არის ეს მენტალიტეტი? ის, როგორც ირკვევა, ამერიკული და ევროპული იდენტურობის, ადამიანების ცხოვრების მიზნობრივი გარდაქმნის შედეგია. აშშ-ის, სავარაუდოდ, არჩეული პრეზიდენტი, ევროპული ელიტები და, აგრეთვე, მაღალჩინოსნები (Boyk) საჯაროდ უნდა გამოხატავდნენ ერთგულებას Big Digital-ის მიერ დაპროექტებული ასეთი „ტრანსფორმაციის“ მიმართ.

* **„ჩვენ ჯერ ავიღებთ ჯორჯიის შტატს, შემდეგ კი შევცვლით მსოფლიოს“,** — განაცხადა 2020 წლის არჩევნებში **ჯო ბაიდენის** „გამარჯვების“ აღსანიშნავ ზეიმზე დემოკრატების უმცირესობის ლიდერმა სენატში — **ჩაკ შუმერმა.**

* **„ტრამპის დამარცხება შეიძლება გახდეს დასაწყისი უკიდურესად მემარჯვენე პოპულიზმის დასასრულისა არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ევროპაშიც“,** — ეს განცხადება კი ევროპის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარე **დონალდ ტუსკს** ეკუთვნის.

## „ახალი ელიტა“ და „პლანეტური მმართველობა“

რკინის ფარდა მაშინ ეშვება, როცა ვითომ კერძო საწარმოები ( Big Digital-ის) აღწევს სახელმწიფოში და გადაიხლართება მასთან, შემდეგ კი ამის შესახებ საჯაროდ აცხადებენ. **მათ, ვისაც არ სჯერა მომავალი გარდაქმნების, დღეს უკვე აიძულებენ მის მიღებას. Big Digital-ის ზემოქმედებით, იდენტურობასთან, რასასა და სქესთან დაკავშირებული „არქაული“ ფასეულობები სწრაფად გადაიქცა „ერესად“, როგორც ამას დაუსრულებლად იმეორებენ BML-ის (Black Lives Matter — „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ — საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც გამოდის შავკანიანების მიმართ რასიზმის წინააღმდეგ – გ.გ.) აქტივისტები.**

სილიკონის ველის (მაღალტექნოლოგიური კომპანიების ადგილი აშშ-ში) იდეოლოგია სულ უფრო მეტი ადამიანის გონებას იპყრობს. ის კიდევ უფრო გაძლიერდება იმ მანქანური სწავლების წყალობით, რომელიც ასახავს მომავალი „ციფრული რევოლუციის“ ფასეულობებს, აგრეთვე, ხელოვნური ინტელექტის პერმანენტული სრულყოფით.

სახელმწიფოში Big Digital-ის შეღწევა მოხდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დახმარებით. სასწრაფოდ დამყარდა კავშირები და გაფორმდა კონტრაქტები სახელმწიფო ორგანოებთან, განსაკუთრებით — თავდაცვის სფეროში, დახმარება გაუწიეს იმ პროპაგანდისტულ კომპანიებს, რომლებიც აქტიურად ამკვიდრებენ ახალ „მმართველობით“ ნარატივებს.

**აშშ-ის ტექნოლოგიური პლატფორმები რაღაც პერიოდში, ფაქტობრივად, ისე შეერწყნენ Blue State Digital-ს (ციფრული სტრატეგიული და ტექნოლოგიური ფირმა), განსაკუთრებით დაზვერვისა და თავდაცვის სფეროებში, რომ მათი გენერალური დირექტორები თავს არა სახელმწიფო მოიჯარეებად, არამედ რაღაც მაღალი ელიტის წარმომადგენლებად თვლიდნენ, რომლებიც აშშ-ის მომავალს განსაზღვრავენ. ამას გარდა, მათი მიზანია, ამერიკის გარეთ გაიტანონ და ხორცი შეასხან იდეას, რომლის თანახმად ახალი ელიტური ოლიგარქია სამომავლოდ განსაზღვრავს „პლანეტურ მმართველობას“.**

ალმაშფოთებელია პლატფორმების — Big Tech-ისა და MCM-ის — მცდელობები, 2020 წლის არჩევნების სცენარი განეხორციელებინათ „ფეისბუკისა“ და „ტვიტერის“ მეშვეობით. **ამოქმედებული იყო ფართომასშტაბიანი კამპანია წინასწარ იმის მტკიცებით, რომ ყველაფერი, რასაც ტრამპი ამბობდა, ან ტყუილი იყო, ან უაზრობა. ასეთი მიდგომა სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლაა. და ეს კამპანია მხოლოდ პირველი ნაბიჯია მათ მიმართ, „ვინც არ ეთანხმება“ გათანაბრებას უსაფრთხოების მუქარებსა და „პროგრესული საზოგადოების“ მტრებთან.**

განსაზღვრება „ერესი და დეზინფორმაციის“ გამოყენებით მასების ყურადღება გადააქვთ თვითკმაყოფილ ელიტებსა და სკეპტიკურად განწყობილი რიგითი მოქალაქეების ფენების ქონებებს შორის კატასტროფული სხვაობიდან. ყველაფრის მიუხედავად, ხარბი პარტიული ელიტები, რომლებიც ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან, კვლავ შეიძლება იქცნენ საზოგადოებისა და მასმედიის თაყვანისცემის ობიექტებად. ისინი შეიძლება წარმოგვიდგნენ უშიშარ რაინდებად, გმირებად, რომლებსაც შეუძლიათ, მასები აიყოლიონ „დიადი მიზნების მისაღწევად“.

## თუ ომია, ომი იყოს

ამ გლობალური მიმართულებით უკვე ემზადებიან შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად. როგორც მიმომხილველი **უიტნი უები** აღნიშნავს, **„ახალი კიბერშეტევა რამდენიმე დღის წინათ დაიწყო სამთავრობო კავშირების ბრიტანულმა ცენტრმა GCHQ-მ. ამ ცენტრის მიზანია იმ ვებგვერდებთან ბრძოლა, რომლებიც აქვეყნებენ „პროპაგანდისტული“ შინაარსის მასალებს, რომლებშიც შეშფოთებაა გამოხატული სახელმწიფოს დაფინანსებით კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნასა და ამ საქმეში დიდი ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კომპანიების ჩართვის გამო.**

ანალოგიურ ძალისხმევას კონტროლის დასამყარებლად იჩენენ აშშ-შიც. **სამხედროებმა ცოტა ხნის წინათ დააფინანსეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მხარდაჭერილი ფირმა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი იმ ახალი ვებგვერდების გამოსავლენად, რომლებიც ავრცელებენ „საეჭვო“ ინფორმაციას კოვიდ-19-ით გამოწვეულ კრიზისზე. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია, რომელსაც ამერიკელი სამხედროები ხელმძღვანელობენ, ცნობილია, როგორც ოპერაცია Warp Speed-ი...**

The Times-ი იუწყებოდა, რომ GCHD-მ „დაიწყო შეტევითი კიბეროპერაცია მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მხრიდან ვაქცინის საწინააღმდეგო პროპაგანდის წინააღმდეგ და იყენებს იმავე ინსტრუმენტებს, რომლებიც შემუშავებული იყო „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებული დეზინფორმაციისა და გადასაბირებელი შინაარსის მასალების წინააღმდეგ“.

ეს კიბეროპერაცია შეწყვეტს არამხოლოდ „ვაქცინის საწინააღმდეგო პროპაგანდას“, არამედ დაანგრევს კიბერაქტორების გეგმებს.

ვაქცინის მოწინააღმდეგეების ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევად გამოცხადების კამპანიას სათავეში ჩაუდგა **იმრან ახმედი,** ციფრული სიძულვილის საწინააღმდეგო ბრიტანული ცენტრის დირექტორი.

## ვაქცინაცია, როგორც ჩინეთთან ბრძოლის მეთოდი

აშშ საფრთხედ აღიქვამს ჩინეთს, რომელიც მალე გაასწრებს მას ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. საიდუმლო არავისთვის არის, რომ **აშშ, დიდი ბრიტანეთი და სრულიად ევროპა ცუდად გაუმკლავდნენ კოვიდ-19-ით გამოწვეულ პრობლემებს და ამიტომ შეიძლება, რეცესიისა და ფინანსური კრიზისის პირას აღმოჩნდნენ. ჩინეთი კი (მთლიანად აზია) კოვიდ-19-ს გაცილებით კარგად აკონტროლებს, ამიტომ ის შეიძლება იყოს ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც მომავალ წელსაც შეინარჩუნებს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს.** მთავარი პრობლემა არის ის, რომ პანდემია გრძელდება. დასავლეთის ქვეყნების მთავრობები, ძირითადად, ერიდებიან ქვეყნის სრულად ჩაკეტვას (ე.წ. ლოკდაუნს), მაგრამ იმედოვნებენ, რომ ხშირი სოციალური შეზღუდვებით როგორმე გავლენ ფონს და ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესდება, მაგრამ მიზანს ვერ აღწევენ — ვერ ახერხებენ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას. **ამ მძიმე ვითარებიდან ერთადერთ გამოსა-** ▶



**აშშ-ის ტექნოლოგიური პლატფორმები რაღაც პერიოდში, ფაქტობრივად, ისე შეერწყნენ Blue State Digital-ს (ციფრული სტრატეგიული და ტექნოლოგიური ფირმა), განსაკუთრებით დაზვერვისა და თავდაცვის სფეროებში, რომ მათი გენერალური დირექტორები თავს არა სახელმწიფო მოიჯარეებად, არამედ მაღალი ელიტის წარმომადგენლებად თვლიდნენ, რომლებიც აშშ-ის მომავალს განსაზღვრავენ. ამას გარდა, მათი მიზანია, ამერიკის გარეთ გაიტანონ და ხორცი შეასხან იდეას, რომლის თანახმად ახალი ელიტური ოლიგარქია სამომავლოდ განსაზღვრავს «პლანეტურ მმართველობას»**



**განსაზღვრება «ერესი და დეზინფორმაციის» გამოყენებით მასების ყურადღება გადააქვთ თვითკმაყოფილ ელიტებსა და სკეპტიკურად განწყობილი რიგითი მოქალაქეების ფენების ქონებებს შორის კატასტროფული სხვაობიდან. ყველაფრის მიუხედავად, ხარბი პარტიული ელიტები, რომლებიც ხალხის ხარჯზე მდიდრდებიან, კვლავ შეიძლება იქცნენ საზოგადოებისა და მასმედიის თაყვანისცემის ობიექტებად. ისინი შეიძლება წარმოგვიდგნენ უშიშარ რაინდებად, გმირებად, რომლებსაც შეუძლიათ, მასები აიყოლიონ «დიადი მიზნების მისაღწევად»**

შეფასება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამხედროებმა ცოტა ხნის წინათ დააფინანსეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მხარდაჭერილი ფირმა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ხელოვნური ინტელექტის ალგორითმი იმ ახალი ვებგვერდების გამოსავლენად, რომლებიც ავრცელებენ „საეჭვო“ ინფორმაციას კოვიდ-19-ით გამოწვეულ კრიზისზე. კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია, რომელსაც ამერიკელი სამხედროები ხელმძღვანელობენ, ცნობილია, როგორც ოპერაცია WARP SPEED-ი.**

**ჯერჯერობით არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ Moderna-ს ან Pfizer-ის ექსპერიმენტული ვაქცინები ადამიანებს თავიდან აცილებენ დაინფიცირებას, ჰოსპიტალიზაციას ან სიკვდილს. ასეთი შემთხვევა რომც ყოფილიყო, ფართო საზოგადოებას არ აცნობებდნენ. არც იმის შესახებ არსებობს ინფორმაცია, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ადამიანი დაცვით ეფექტს ვაქცინის გაკეთების შემდეგ და, რაც მთავარია, არ არსებობს ინფორმაცია ვაქცინის უსაფრთხოებაზე ორგანიზმისთვის**



**◀ ვალს ელიტები საყოველთაო ვაქცინაციაში ხედავენ და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა განვითარდეს ეკონომიკა და შეაჩერონ ჩინეთი, რომელიც აქტიურად მიიწევს დასავლეთისკენ.**

მაგრამ საქმე ის არის, რომ **ამერიკელთა 45-50% უარს ამბობს ვაქცინაციაზე.** ისინი შეშფოთებულნი არიან ახალი მეთოდის დაბალი უსაფრთხოებით, რომელიც დაფუძნებულია რიბონუკლეინის მჟავაზე. მოქალაქეთა ეს წინააღმდეგობაა ელიტის პრობლემა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას მასმედიაში „მოედნის გასასუფთავებლად“, რათა ინგლისურენოვან ქვეყნებში დაიწყოს აუცილებელი ვაქცინაცია.

ჯერჯერობით არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ Moderna-ს ან Pfizer-ის ექსპერიმენტული ვაქცინები ადამიანებს თავიდან აცილებენ დაინფიცირებას, ჰოსპიტალიზაციას ან სიკვდილს. ასეთი შემთხვევა რომც ყოფილიყო, ფართო საზოგადოებას არ აცნობებდნენ. არც იმის შესახებ არსებობს ინფორმაცია, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ადამიანი დაცვით ეფექტს ვაქცინის გაკეთების შემდეგ, და, რაც მთავარია, არ არსებობს ინფორმაცია ვაქცინის უსაფრთხოებაზე ორგანიზმისთვის, ამიტომ გასაკვირი არ არის ამ საკითხისადმი საზოგადოების ფრთხილი მიდგომა, რომლის გაქარწყლებასაც ცდილობენ GCHQ და Big Digitals-ი.

## გლობალისტები წნეხში აქცევენ ქრისტიანობას

ციფრული რკინის ფარდა პრობლემაა არა მხოლოდ ამერიკისთვის. ამერიკული ალგორითმები და სოციალური ქსელები თავიანთი პროდუქტებით გულუხვად ამარაგებენ ევროპას, მაგრამ ევროპას უკვე ჰყავს თავისი პოპულისტები და ე.წ. მიუღებელი სახელმწიფოები. ამჟამად ასეთი ქვეყნებია **პოლონეთი** და **უნგრეთი,** რომლებსაც (როგორც ბრიუსელს სურს) „ციფრული ფარდა“ უნდა ჩამოაფარონ, რაც ითვალისწინებს მედიის მხრიდან, ასე ვთქვათ, გაშავებასა და პოლიტიკურ ოსტრაკიზმს (დაგმობას, განდევნას — გ.გ.).

პოლონეთმა და უნგრეთმა რამდენიმე დღის წინათ ვეტო დაადეს ევროკავშირის ბიუჯეტის ბლოკს 1,8 მლრდ ევროს ოდენობით და შეიმუშავეს „აღმდგენი ღონისძიებების“ თავიანთი პაკეტი. ეს იყო პასუხი ბრიუსელის გეგმაზე, დაეჯარიმებინა ეს ქვეყნები ევროკავშირის „კანონის უზენაესობის“ პრინციპების დარღვევის გამო.

რას ნიშნავს ეს? **უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც ამწვავებს პოლემიკას ევროკავშირის „კანონის უზენაესობაზე“. ყველაზე საკამათო შესწორება ლგბტ-ის საწინააღმდეგო შესწორებაა, რომლის მიხედვით დედა არის მხოლოდ ქალი, მამა კი — მხოლოდ მამაკაცი. ეს დამატებით ზღუდავს ტრანსგენდერებსა და ერთი და იმავე სქესის წყვილებს ბავშვის შვილად აყვანის თვალსაზრისით, აგრეთვე, ზღუდავს გენდერულ არჩევანს.**

ორბანის ვეტო კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ რკინის ფარდა ამჯერად ევროპაში ეშვება. ერთი შეხედვით ის კულტურული ფარდაა და საერთო არაფერი აქვს „კანონთან“. ბრიუსელი უკმაყოფილებას ვერ მალავს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან მზად არ აღმოჩნდნენ „პროგრესული“ ფასეულობების გაზიარებისთვის. დაპირისპირებას საფუძვლად, სხვა მიზეზებთან ერთად, უდევს ისიც, რომ სანამ დასავლეთი ევროპა დექრისტიანიზაციას განიცდის, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში რექრისტიანიზაცია დაიწყო.

წარსულში რწმენა გამაერთიანებელი ფაქტორი იყო კომუნიზმის წინააღმდეგ, ახლა კი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისთვის საყრდენია რელიგიური იდენტობის ხელახლა (ცივი ომის დასრულების შემდეგ) ჩამოსაყალიბებლად. ეს არც ისე განსხვავდება ამერიკაში მიმდინარე მოვლენებისგან: ზოგიერთი ამერიკული ნეოკონსერვატიული ჯგუფიც უბრუნდება ქრისტიანულ ფესვებს და ამერიკის პოლიტიკური პოლარიზაციის მიმდინარეობისას თავს წარმოაჩენდა.

ყველა ეს მოვლენა მიუთითებს დასავლურ პოლიტიკაში გარდატეხის წერტილის გაჩენაზე: **სახელმწიფოების „თანამეგობრობამ“ ომი გამოუცხადა სხვაგვარად აზროვნებას („ტყუილს“) და უცხოურ „დეზინფორმაციას“.**

## სხვაგვარად მოაზროვნეთა იძულება „პროგრესისკენ“

ხელახალი დაყოფა და დაპირისპირება თანამეგობრობის შიგნით კონკრეტულ ფორმას იძენს ფარული სანქციებისა და კონტროლის სახით Big Digital-ის მხრიდან ონლაინ-პლატფორმებზე ბოროტგანზრახულობის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. ეს ხდება ანტირასისტული თემატიკის პროგრამებით საერთო ეროვნული სავალდებულო სისტემების გადამზადების საშუალებით სკოლებში და სამუშაო ადგილებზე. **მოსახლეობის მორჩილების იძულებით ელიტა „ანტივაქცინისტებს“ წარმოაჩენს, როგორც ექსტრემისტებს ან როგორც მუქარას უსაფრთხოებისთვის. დასასრულ, ის აწყობს საჭირო აქციებსა და დადგმული სცენარების სერიებს, რომლებშიც დაგმობილნი არიან სუვერენიტეტის მომხრეები და „კულტურის კონსერვატორები“, რომლებიც უნდა განიდევნონ საზოგადოებიდან...**

რა მოხდება, თუ ნახევარი ამერიკა არ მიიღებს მომავალ პრეზიდენტს? თუ ბრიუსელი დაჟინებით მოითხოვს თავისი პროგრესული კანონის მიღებას? მაშინ, როგორც იტყვიან, მოვა სეტყვა და დახვდება ქვა.

რატომ? იმიტომ რომ ის, ვინც ჩაჭიდებულია მსოფლიოს გარდაქმნის მისიას, დამრღვევთა გამოწვევას განიხილავს, როგორც ხელისუფლების ხელში ჩაგდებისა და ისეთი სახელმწიფოს შექმნის საბაბს, რომელშიც სხვაგვარად აზროვნებასა და კულტურულ ერესს შეხვდებიან კანონიერი იძულებით (ევფემისტური სახელწოდებით „კანონის უზენაესობა“ ბრიუსელში). მისი მიზანი იქნება ის, რომ სხვაგვარად მოაზროვნენი მუდმივად ჰყავდეთ პასიურ მდგომარეობაში, აიძულონ ისინი, გადავიდნენ თავდაცვაზე და ეშინოდეთ, რომ დაუძახებენ „ექსტრემისტებს“.

**ასეთ პირობებში ერთიანი დასავლური სახელმწიფოს შენარჩუნება შეუძლებელი იქნება. თუ ამ ბრძოლაში წაგებულებს (ვინც უნდა იყოს ის) შეაძრწუნებთ თავიანთი კულტურული იდენტურობის დათრგუნვა იმ ძალების მხრიდან, რომლებსაც მათი ფასეულობები ერესად მიაჩნიათ და სურთ მათი ამოძირკვა, კვანძი სწრაფად გაიხსნება — მსოფლიო დასავლეთში ორი ძალის შეჯახებისა და მწვავე კამათის მომსწრე შეიქნება.**

როცა პოლიტიკური უთანხმოება მოუგვარებელი ხდება, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთადერთი ალტერნატივა (არაძალადობრივი) პოლიტიკური კავშირის დაშლა იყოს.

**tsargrad.TV-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**





სედრიკ პერენი

# Le Figaro: ფრანგმა სენატორმა შეაფასა რუსული არმია და დაასკვნა — მოსკოვთან დიალოგია საჭირო

**ფრანგმა სენატორმა სედრიკ პერენმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც აღწერა რუსეთის არსენალი და მისი მოდერნიზაციის პროცესი, — წერს გამოცემა Le Figaro. ამასთანავე, სენატორმა პერენმა დაასკვნა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა მკაფიოდ უნდა გააცნობიერონ, რა რეალური მიზნები აქვს მოსკოვს და გამართონ მასთან დიალოგი.**

რუსეთმა თავისი ბირთვული შეიარაღება განაახლა, განალაგა ახალი რაკეტები, ამიტომ ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრების წინ ალიანსის გენმდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** და აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში — **კეი ბეილი ჰატჩინსონმა** ყველას შეახსენეს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არსებობის აზრი რუსეთისა და მისი გავლენის შეკავებაა. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი სიტყვები გაისმის ნატოს მომავლის შესახებაც, გამოდის, რომ ალიანსის მოწინააღმდეგე კვლავაც ძველი რჩება, როგორც ეს იყო სსრკ-ის პერიოდში, — აღნიშნავს Le Figaro-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი.

დასავლელი სამხედროები აკვირდებიან რუსეთის სამხედრო გადაიარაღებას. ისინი აღნიშნავენ, რომ რუსეთს ჰყავს ახალი ატომური წყალქვეშა ნავები და ისინი რეგულარულად გადიან სწავლებას, რომლებიც წარმოაჩენენ მის შესაძლებლობებს, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში ისინი ამაგრებენ თავიანთ ბაზას ტარტუსში, აგრეთვე, არქტიკაში. რუსეთი გამუდმებით მანევრირებს ჰაერში მეზობელი ქვეყნების საზღვრებთან, აგრეთვე, კოსმოსში.

ფრანგმა სენატორმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც თითქმის მთლიანად არის აღწერილი რუსეთის არსენალი. კოსმოსური პოტენციალი. **ჰიპერბგერითი, აგრეთვე, ბირთვულქობინიანი რაკეტების შექმნისა და განლაგების გარდა, მოსკოვი ავითარებს ელექტრონული ომისთვის აუცილებელ შესაძლებლობებს, რათა გაანეიტრალოს მოწინააღმდეგის უპირატესობა დაზვერვისა და თვალთვალის საკითხებში.**

მოსკოვმა 2008 წელს დაიწყო თავისი შეიარაღების ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია, რადგან ჩათვალა, რომ მის სასიცოცხლო ინტერესებს დაემუქრნენ. ამასთანავე, ფრანგი სენატორის აზრით, თუ ფარულ და თანმდევ ხარჯებსაც გავითვალისწინებთ. რუსეთის რეალური დანახარჯები თავდაცვაზე წელიწადში არის არა 60 მლრდ დოლარი, არამედ 200 მლრდ.

„ფრთხილად უნდა ვიყოთ რუსეთთან — ანტირუსულ პარანოიას აშშ ხშირად წინასწარგანზრახვით უწყობს ხელს, რუსეთთან აუცილებელია საუბარი“. ფრანგი სენატორი ალიანსის წევრ ქვეყნებს ურჩევს, რუსეთთან ერთად გადაწყვიტონ ტერორისტული საფრთხეები, პრობლემები და მოთოკონ თურქეთის ამბიციები, — წერს Le Figaro.

**russianrt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**



მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის, ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

ახლა შობის წინა მარხვაა — მრავალდღიანი მარხვა, რომელიც დაიწყო 28 ნოემბერს და 7 იანვრამდე გრძელდება. ამ ორმოცდღიან პერიოდში, როგორც წმ. ლეონ დიდი წერს, „როგორც უფალმა უხვად მოგვმადლა მიწიერი ნაყოფი, ასევე ამ მარხვის განმავლობაში ჩვენც გულუხვნი და მოწყალენი უნდა ვიყოთ გლახაკთა მიმართ“.

საშობაო მარხვა დაწესებულია იმისთვის, რომ ქრისტეშობის დღესასწაულისათვის თავი სინანულით, ლოცვითა და მარხვით განვიწმიდოთ, რათა წმიდა გულით, სულითა და სხეულით შევძლოთ, მოწიწებით მივეახლოთ ამქვეყნად მოვლენილ ძეს ღვთისას — მას ჩვენი წმინდა გული მივუძღვნათ.

მაგრამ რა ხდება დღეს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში? არანაირი სინანული, არანაირი მიტევება, არანაირი დანდობა...

თითქოს ყველას დავიწყებია, გაზულუქებულ ადამიანებს უფალი გონს მოსასვლელად განსაცდელს რომ მოუვლენს ხოლმე. აკი მოგვივლინა კიდეც კორონა. ცოტა ხნის წინათ ბევრი ურწმუნო თომა გაიძახოდა: არანაირი კორონავირუსი არ არსებობს, მიმოიხედეთ თქვენ გარშემო, ვინმე დაავადდა და გარდაიცვალაო?

აბა, ახლა მიმოიხედეთ და დათვალეთ, რამდენ თქვენიანს მოუწია ამ საშინელებასთან გამკლავება. სათვალავი აგერიათ? ასეა, როცა არც უფლის გესმის, არც კაცის და ეშმაკის კერძი ხდები. სწორედ ახლა „ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს“, მაგრამ „ადამიანის უბედურობა დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი, რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში“...

„ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თითონ მიაგნეთო“, — წერს დიდი ილია. ჰოდა, აი ეს წერილიც, ჩემო მკითხველო, იმედია, დაგეხმარება იმ ბილიკის პოვნაში, რომელიც „არც საშიშია, არც საკრძალველი“; თან ილიას ეს რჩევაც გავითვალისწინოთ: „თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“.

# «ადამიანის უბედურობა დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი»



## შინაური მიმოხილვა

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თითონ ბრალეული თავისისთავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, **ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს**. მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. **მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა?** სანანებელი ცოდვაა და არ-სანანებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა, მაშ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენია-მეთქი. ჯერ მიბრძანეთო, მიპასუხა, რა არის ცოდვა და რა არის მადლი და მერე იმისდაგვარად მეც მოგახსენებო. ამისთანა პასუხმა დავთრები სულ მთლად ამირია. ჩავიხედე ჩემის გულის დავთარში და თუმცა მაგისი პასუხი იქ ვიპოვე, მაგრამ დავთრის ბოლო ფურცელზედ ეს ეწერა: შენი შენთვის შეინახეო, საქმე ის არის, სხვა რას ჰფიქრობს მაგ საგანზეო.

მიმოვიხედე ჩემს გარეშემო, დავეკითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი ჭკვიანი კაცი ვნახე, მრავალი წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ **ადამიანის უბედურობა დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში.** მაგალითებრ, უწინ გალილეი კინაღამ ცეცხლში დასწვეს, — რათა სთქვიო, მზე დგას და დედამიწა ტრიალებსო, და ეხლა კი რომ პირველის კლასის ბალღმა ეგ არა სთქვას, როზგით გაჰხეთქენ. სპარსეთში რომ მთავრობას აშკარა ცუდი რამ დაუწუნო, ენას მოგჭრიან, ინგლისში რომ ეგევე ჰქმნა, გზას მოგცემენ დიდებისა და სახელისათვის. კაცმა რომ აბეზარს მოგიყვანოს, შენი ადამიანობა შეჰლახოს და შემოგაკვდეს, დაგახრჩობენ; ომში რომ ერთის მაგიერად ათასი სული გაჟლიტო — სახელოვან კაცად ჩაგთვლიან. მშიერმწყურვალთა სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუკმა პური რომ მოიპარო, ვირის აბანოში გიკვრენ თავს; მტრის ქვეყანა რომ მთლად გადაჰბუგო და ათასი კაცი შიმშილით ამოახრჩო, სახელოვან საქმედ ჩაგეთვლება. აბა მოდი და ლარი გააბი, ლარს იქით ცოდვებს მოუყარე თავი და ლარს აქეთ მადლსა!..

რათ უნდა იყოს ესე, თუ გონება ადამიანისა ყველგან ერთნაირად საღია და მრთელი? რა ჰქმნას გამკითხველმა და მსაჯულმა, როცა ამისთანა უთავბოლო დავთარი აქვს ხელში ცოდვა-მადლის გასარჩევად? გამკითხველს და მსაჯულს კიდევ არა ევნება-რა, რა ჰქმნას თითონ გამკითხველმა და განსასჯელმა? როგორ მოაწყოს თავისი დღენი ცხოვრებისა, სად დაიხიოს უკან და სად წაიწიოს წინ? რა იხელთოს და რა უკუირიდოს? რას გაექცეს და რას მოეწიოს? **კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა.** უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს ეგ განსხვავება.

ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? „რატომაო“? საქმეც იმაშია, რომ მაგ „რატომს“ ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულდაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა. ეხლახან ერთის დიდად გამოჩენილის მწერალის ნაწერი წავიკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა მისთვის ბედს ყოველისფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულო, გულო, რომ მას არა ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდკაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანი, სიმრთელე, ერთის სიტყვით, ყოვლისფრით და მრავალკეცად ბედნიერი ყოფილა გარედამ, თუ ეგრე ითქმის. ხოლო შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამდე მიუყვანია, რომ გადაუწყვეტია, — ყველაფერი ფუჭიაო, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო და ჰლამობდა თურმე თავის-თავის მოკვლას. დღე-ყოველი მისი ერთი დაუძინებელი ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი, რომელიც უფრო მწვავია, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვით, რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია, სხვა უარესმა ჯოჯოხეთმა-ღა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში.

საცოდავია კაცი, დევნული ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ამოცანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეჭიდება და გამკლავება კიდევ არაფერი, საქმე იმაშია, რომ კაცმა თვისის სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გავხსნა მისი კვანძიო, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევაწყვიტოო. სწორედ ეგრე გადუბამს თავისის სიცოცხლის ძაფი ამ ამოცანაზედ ხსენებულს მწერალსა. ყოველივე მეცნიერება ფსკერამდე გონების თვალით მოუჩხრეკია, გამოუძიებია, არ დარჩენია არც ერთი ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი, რომ ზედმიწევნით არ შეესწავლოს, ყოველივე ჭკუისა და ხელის ნამოქმედარი ადამიანისა აუწონ-დაუწონია, ყოველივე ხორციელი სიკეთე ამა წუთისოფლისა ხელთა ჰქონია და გამოუკვლევია, ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყეულის ამოცანის ნამდვილი და გულ-დასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვნია ვერსად, ვერაფერში და ვერავისგან. რაკი ეგრეაო და სიცოცხლის აზრი ვერ მოიპოვებაო, მაშ სიცოცხლე სიცოცხლედ არა ჰღირსო და ყოფნას არ-ყოფნა სჯობიაო. გადაუწყვეტია და თავის-თავის მოკვლაზედ მიმდგარა. ამ ამოცანას რომ ნამდვილი, უცილობელი, გულ-დასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ ჩვენს „რატომსაც“ წამალი დაედებოდა და შავი — შავი იქნებოდა და თეთრი — თეთრი ყველასათვის, ყველგან და ყოველს შემთხვევაში. ამ წყეულის ამოცანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენს, რომელს იგი გამოჩენილი მწერალიც ამის გამო იხსენიებს თავის ნაწერში, მაგ ამოცანამ დაუწყლულა გული და ეს უნუგეშო, გულსაკლავი სიტყვები ამოაკვნესა: **„ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო“.** აი, რა-გვარმა მსჯელობამ მიიყვანა **სოლომონ ბრძენი** ამის თქმამდე: რა უმეტესობა არს კაცისა ყოველსავე შინა შრომასა მისსაო? ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს და ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და თავის ადგილადვე მიიზიდებაო; გარემოს გარემოვლით დადის სული და სიმგრგვლესა თვისსა ისევ მოიქცევისო; ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა და ზღვა მაინც არ ივსებაო; ყოველთა სიტყვათა შრომისათა მამაკაცი ვერ შემძლებელ არს თქმად და არა აივსება თვალი ხედვითა და არცა ყური სმენითა; რაც ყოფილა, იგივ იქნება, რაც საქმნელია, იგივე ქმნულა და არა-რა არს ▶

**«მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა?»**

„სწორედ ახლა „ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს, ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში»...

◀ მზესა ქვეშე ისეთი, რომ შეიძლებოდეს ითქვასო: აჰა, ეს ახალიაო. რაც აწ იქმნა, საუკუნეთა შინა ქმნულნი არიან წინასწარ ჩვენსაო. მე მეფე ვიყავიო ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველნი ქმნილნი და ნაქმარნი მზესა ქვეშე და აჰა, ყოველი ამაოება და აღრჩევა სულისაო! აჰა, განვდიდდიო და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, რომელნიც იყვნენ უწინარეს ჩემსა, გული ჩემი მივეც ხედვად სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან ნახა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი და ვცან, რომ ესეცა ამაოებაა და აღრჩევა სულისაო. განვადიდე ქმნულნი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავნერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი, დავნერგე მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა, გამოვიყვანე ჩემდა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალნი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მყვანდნენ სახლის-წულნი, შევიძინე მრავალი სამროწლესი და სამწყსოსი, შევიკრიბე ვერცხლი და ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევკრიბე მემღერენი მამანი და დედანი ჩემთა ყურთა დასატკბობად, შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა ჩემზედ უწინარეს მყოფთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, ყოველი, რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არა-რა დავიკელიო. ხოლო რა მოვიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ჰქმნეს ჩემთა ხელთა, ვსთქვიო: „აჰა ესეცა ამაო და აღრჩევაო სულისა!“ მოვიხილე მე ხილვად სიბრძნისა და უგუნურებისა და ვნახეო, **სიბრძნე სჯობს უგუნურებასა, როგორც ნათელი ბნელსა, ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელშიაო. მაგრამ რა გამოვიდაო? ერთი და იგივე შემთხვევა ორივეს ერთნაირად წაგვაწყდენსო, უგუნურის შემთხვევა მეც შემემთხვისო და რაღა უმეტესობაა სიბრძნეშიო?**

ბრძენსაც ისე დაივიწყებენ, როგორც უგუნურსა, სიკვდილი ორივეს თანასწორად ჰხოცსო, ყოველნი მიწისაგან შექმნილნი არიან და მიწადვე მიიქცევიანო. და მოვიძულე ცხოვრება და ყოველნი ჩემნი ქმნულნი, მოვიძულე მე ყოველი სოფელი და შრომა ჩემი, რადგანაც იგი უნდა დარჩეს „კაცსა ყოფადსა შემდგომად ჩემსა“ და ვინ იცის, ბრძენი იქნება თუ უგუნური იგი, რომელიც დაეპატრონება „ყოველთა შრომათა ჩემთა, რომელსა დავშვერ და რომელსა ვბრძნობდი მზესა ქვეშეო. და აჰა ესეცა ამაოებააო“. მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატკბობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყანაზედ სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი. ამ ყველაფრობას, მისდამი ისე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუყებია და, რა საკვირველია, — რომ გულასუყებულმა ყველა, რამაც გული აუსუყა, ამაოებად ჩასთვალოს, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალ-წინ წარმოუდგება, მიწა ვარ და მიწადვე მივიქცევიო. აბა, პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დაგვით ვშოულობთ, და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყვით: რაშიაც არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება, — რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთნაირად გა-



# «სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს: «ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად... ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად». აი თურმე სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ წყეულის ამოცანისა? აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა!»

ისაზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ამას არავინა გვკითხავს და თუნდაც იკითხოს ვინმე, „ვერ შემძლებელ არს მამაკაცი თქმად ამისად“, სოლომონ ბრძნისა არ იყოს. შენც სუ! და მეც სუ!..

ესეა თუ არა, ჩვენ ამ მაღალ ფარდებში ტრიალს თუ არ დავანებეთ თავი, შორს წავა საქმე. სოლომონ ბრძენს მარტო უკვდავება-ღა ჰქონია სანატრელი, სხვა ყველა ბედს მისთვის მიუნიჭებია. ჩვენ კი „არსებითი პურიც“ გვენატრება. სად ჩვენ და სად სოლომონ ბრძენი? ჩვენ მისადმე არც ხელი მიგვიწვდება და არც სურვილი. ჩვენ ჯერ ბევრი კიბეები გვაქვს ასასვლელი და ჯერ არც ერთს საფეხურზედ ფეხიც არ მოგვიკიდებია. უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩვენ თუმცა ძალიან ბედნიერნი ვართ, მაგრამ ყველაფერი ფათერაკის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჰმართებს. თუმცა სოლომონ ბრძენს გავუბედეთ და სიტყვა მეტ-ნაკლებობით შევუბრუნეთ, მაგრამ, მე და ჩემმა ღმერთმა, ზოგში კი აშკარად მართალია. მართლა-და, **საშინელებაა, როცა შენს ნაწვავნადაგსა, შენს ნაჯაფავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. გინდა თუ არა, სოლომონ ბრძენსავით ამოიკვნესებ და იტყვი: თუ ეგრეა (და რომ ეგრეა, აშკარად ვხედავთ) რისთვის დავშვერ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშეო?** ყველა ყველაო, მეტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგვპირდი და მაგას რაებსა ჰბოდავო. ღმერთი-რჯული, მეც არ ვიცი, რაებსა ვბოდავ. ეს კი ვიცი, რომ მართლა ვბოდავ. როგორღაც გზა-კვალი ამერია და დავიბნივე. თავი სინანულით დავიწყე და ლამის წაწყმედის გზაზედ გავიდე და სამგლე გოჭსავით გავისისწვრიო. იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვით, ყველას, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება. ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმანეთში არაფერი კავშირი აქვთ. ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის. რა მემართება, არც მე ვიცი. **ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო. მე ვშიშობ და ვკანკალებ, მართლა ესე არ მოხდეს-მეთქი, ის ჩემი სულთამხუთავი-კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის. რას იღრიჯები, შე უგვარო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფანფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჭვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ, ეშმაკო-მეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. პირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ!** ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი. ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!..

მაინც რისთვის გავაბი ლაპარაკი სოლომონ ბრძენსა და იმ წყეულ ამოცანაზედ, მეც ვერ გამიგია. მე ვგრძნობ, რომ ძალიან შევტოპე და თავს ბოლო ვეღარ გამოვაბი. რით დაგისრულოთ სიტყვა არ ვიცი, ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეურჩება. ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თითონ მიაგნეთ. მე კი ვდუმდები და ვიდრე მამალი დაიყივლებდეს და ეს სულთამხუთავი გამიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას ვიტყვი და ისევ სოლომონ ბრძენს ვალაპარაკებ. არც საშიშია, არც საკრძალველი. **სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს: „ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი განყრად ქვათა და ჟამი შეკრებად ქვათა, ჟამი გარდახვევად და ჟამი განშორებად გარდახვეულისაგან, ჟამი ძიებისად და ჟამი წაწყმედისად, ჟამი დამარხვისად და ჟამი აღმოთხრისად, ჟამი განხევისად და ჟამი შეკერვისად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად“. აი თურმე სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ წყეულის ამოცანისა? აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა!**

მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ, თავი ხომ არ მომძულებია, რომ დასახრჩობად გამოვიმეტო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: **აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანანა,** რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან.

**„დროს ჰსჭვრიტე,**
**ჟამთა რა მოაქვს?**
**რას ისხამს, რა მოისთვლების“** — ქართველთაგან თქმულია.

მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოების. ამიტომაც იმ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და ზედ დავართავ:

**„თუ ჟამს ხელთ აქვს**
**ისარიო,**
**შენცა ხელთ გქონდეს**
**ფარიო“.**

**1885 წელი, თებერვალი**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲚᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔ ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲡ ᲡᲔᲥᲡᲢᲧᲕᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲘᲜ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲢᲘᲚᲘ

**შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა კათოლიკე მღვდლის ბინაში იპოვეს 48 წლის ფინელი ქალი, რომელიც ამ „ღვთისმსახურს“ 12 წლის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდა.**

**„ეს მღვდელი შვეიცარიულ მედიაში ლუგანოელი დონ არმანდოს სახელით არის ცნობილი, ცხოვრობს წმ. ლავრენტის კათედრალის მახლობლად“,** — იუწყება ფინეთის ახალი ამბების სააგენტო Yle.

ქალი იპოვეს მას შემდეგ, რაც ელექტრიკოსები მღვდლის ბინაში შეეცადნენ შესვლას და შენიშნეს, რომ მასპინძელი უცნაურად იქცეოდა და მიმართეს პოლიციას.

48 წლის ქალი წარმოუდგენლად ჭუჭყიანი იყო და არანორმალურად რეაგირებდა პოლიციელების შეკითხვებზე. იგი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.



## ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲜᲐ, ᲡᲥᲔᲡᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

**ექიმებს არ აქვთ უფლება, ბავშვებს სქესის შეცვლა შთააგონონ, — მიიჩნევს 15 წლის გოგონა, რომელმაც ექიმების რჩევით დაიწყო მამაკაცის ჰორმონების მიღება სქესის შეცვლის მიზნით.**



15 წლისა იყო **ᲙᲘᲠᲐ ᲑᲔᲚᲘ,** როცა დეპრესიაში ჩავარდა, რადგან ვერ გაეგო — გოგო იყო და ბიჭობა უნდოდა. კონსულტაციის მისაღებად კლინიკას მიმართა. მესამე შეხვედრის შემდეგ ექიმებმა სქესობრივი მომწიფების საწინააღმდეგო პრეპარატები დაუნიშნეს. სქესიდან სქესში „გადასვლის“ მომდევნო ეტაპზე მამაკაცის ჰორმონ ტესტოსტერონის მიღება გახდა საჭირო. შედეგად, მკლავები და სხეული გაუბანჯგვლიანდა, ხმა დაუბოხდა.

2017 წელს ქალიშვილმა პირველი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა — მოიკვეთა მკერდი, მაგრამ საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მიხვდა, რომ შეცდა. შეწყვიტა პრეპარატების მიღება და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ სურდა სქესის შეცვლა. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო — ჰორმონულმა თერაპიამ თავისი გაიტანა — მისი ხმა და სხეული ამჟამად უფრო მამაკაცურს ჰგავს, ვიდრე ქალისას.

კირამ სასამართლოს მიმართა საჩივრით და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ცხოვრების დამახინჯება არის ექიმების ბრალი, რომლებმაც არამდგრადი ფსიქიკის ახალგაზრდა ქალს აკვიატებული სურვილი არათუ გადაათქმევინეს, პირიქით — ხელი შეუწყვეს მას.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲔᲘᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ

**ესტონეთის მთავრობამ ჩამოაყალიბა შეკითხვა, რომელსაც რეფერენდუმზე გამოიტანს: „ესტონეთში უნდა დარჩეს თუ არა ქორწინება ქალის და კაცის კავშირად?“ რეფერენდუმი, ალბათ, აპრილში გაიმართება.**



ესტონეთის მმართველმა პარტიებმა ასეთი ხმის მიცემა წელიწად-ნახევრის წინ გადაწყვიტეს. ეს დაიჟინა კონსერვატიულმა სახალხო პარტიამ, რომელიც გამოდის არატრადიციული ორიენტაციის პირების ოფიციალური კავშირის წინააღმდეგ, — იუწყება ტელეარხი „შორსაა ტალინამდე?“

„ლგბტ თემას ესტონეთში კარგა ხნის განმავლობაში ამუხრუჭებდნენ, მაგრამ ოქტომბერში მთავრობა კინაღამ დაიშალა შინაგან საქმეთა მინისტრ **ᲛᲐᲠᲢᲐ ᲰᲔᲚᲛᲔᲡ** განცხადების გამო, რომელმაც Deutshe Welle-ს მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ადგილობრივ ჰომოსექსუალებს ურჩია ტოლერანტულ შვედეთში გამგზავრება, თუ ესტონეთში ცხოვრების წესები ხელს არ აძლევთ.

„მმართველ კოალიციაში მდგომარეობა გამწვავდა, — წერენ არხის მიმომხილველები, — მთავრობის შენარჩუნება შეძლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქორწინების შესახებ რეფერენდუმის მოწყობაზე შეთანხმდნენ“.

ოპოზიცია ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ხმალშემართული წინ აღუდგა. პირველი შეეწინააღმდეგა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ტრადიციულად სექსუმცირესობებს უჭერს მხარს. მისმა ლიდერმა **ᲘᲜᲓᲠᲔᲙ ᲡᲐᲐᲠᲛᲐ** რეფერენდუმის მოწყობას ქორწინების საკითხზე დიდი შეცდომა უწოდა.

ამ რეფერენდუმის გამართვის საკითხმა მთავრობას ცხოვრება გაურთულა. საქმეს ამ ღონისძიებაზე უარის თქმა გააადვილებდა, მაგრამ პროექტის იდეოლოგი პარტია უკან ვერ იხევს. რეფერენდუმი აუცილებელია კონსერვატიული ელექტორატისთვის.

**„ჩვენ გვსურს, მტკიცედ განვაცხადოთ, რომ უცხოეთში დადასტურებული ქორწინების სხვა ფორმები ესტონეთში არ მოქმედებს“,** — განაცხადა პარტიის ლიდერმა, ფინანსთა მინისტრმა **ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲰᲔᲚᲛᲔᲛ.**

## ᲞᲔᲓᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ 30 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲜᲔᲜ

**ეს ხდებოდა განათლებულ გერმანიაში. ამ გამაოგნებელი სოციალური პროგრამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ტელეარხმა RT Deutsh-მა გერმანიის უნივერსიტეტის ჰილდესჰაიმის მკვლევარების მონათხრობზე დაყრდნობით: 30 წლის განმავლობაში უპატრონოდ დარჩენილ გერმანელ ბავშვებს აღსაზრდელად მუნიციპალურ ხელისუფალთა ხელშეწყობით პედოფილებს აძლევდნენ.**



**პროგრამის ორგანიზატორი იყო ცნობილი გერმანელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ᲰᲔᲚᲛᲣᲢ ᲙᲔᲜᲢᲚᲔᲠᲘ. ეს „ექსპერიმენტი“ მან 1970 წელს დაიწყო და 2000 წლამდე გააგრძელა. მკვლევარები და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ფონდის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამ ბინძურ ქმედებაში „განსაკუთრებულია საზოგადოება და სახელმწიფო“.**




ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲰᲔᲚᲛᲣᲢ ᲙᲔᲜᲢᲚᲔᲠᲘ

კენტლერის საეჭვო ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის გარშემო სკანდალმა მხოლოდ 2015 წელს იფეთქა. იმხანად ექსპერიმენტატორი უკვე გარდაცვლილი იყო. ეტყობა, ამის გამო უცებვე გაქრა პრესის ფურცლებიდან.

ამ დანაშაულის გამოკვლევას ტელეარხი RT Deutsch ახლახან დაუბრუნდა.

კენტლერი თავის წიგნში „მშობლები სექსუალურ აღზრდას სწავლობენ“ ბავშვებისა და ყმაწვილების არაორთოგრადულ აღზრდას უწევდა პროპაგანდას. მას ხშირად იწვევდნენ რადიო და ტელეგადაცემებში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ბავშვთა ფსიქოლოგიის ექსპერტს, რის გამოც პოპულარობა მოიპოვა.

ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვები არცთუ იშვიათად ხდებოდნენ თავიანთი მეურვეების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მაგრამ ბერლინის სოცუზრუნველყოფის სამსახურები ამ ფაქტებზე თვალს ხუჭავდნენ.

თვითონ კენტლერი რამდენიმე ნაშვილები ბიჭის მეურვე იყო. იგი 2008 წელს გარდაიცვალა. 2015 წელს განახლდა გამოძიება, მაგრამ მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობის დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის აქტივისტმა **ᲐᲜᲟᲔᲚᲘᲙᲐ ᲔᲕᲢᲔᲠᲜᲛᲐ** ტელეჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „პროექტი 2000 წლამდე ხორციელდებოდა. ამით შეიძლება აიხსნას, რომ მას დიდი კავშირი ჰქონდა დამყარებული ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გამორიცხული არ არის, რომ მისი ავტორიტეტის ასეთი ამაღლება ნაცისტების მიერ მეცნიერების ჭეშმარიტი მსახურების განადგურების შედეგი იყო. მის სამეცნიერო თეორიებს არავითარი ფასი არ ჰქონდა“.

შეიძლება ბევრმა ზეპირად არ იცის მსოფლიო მიზიდულობის კანონი, მაგრამ ნიუტონის მიერ მისი აღმოჩენის ისტორია, პრაქტიკულად, ყველასთვის ცნობილია: თითქოს ის ვაშლის ხის ძირში იჯდა და მოულოდნელად ჩამოვარდნილი ნაყოფი თავში დაეცა. ამ შემთხვევამ მიიყვანა ფიზიკოსი მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენასთან. სინამდვილეში ასე არ ყოფილა.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 6 მითი, რომლებიც გააქარწყლეს ისტორიკოსებმა, მაგრამ ბევრს დღესაც სჯერა

კაცობრიობის ისტორია სავსეა მითებითა და ვარაუდებით, რომელთაგან ზოგიერთი ბევრს ისტორიული ფაქტი ჰგონია, თუმცა ამ „ფაქტებს" რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. გთავაზობთ რამდენიმე მითს, რომლებიც კარგა ხნის წინათ გააქარწყლეს ისტორიკოსებმა, მაგრამ ამის შესახებ ბევრმა არ იცის.

## მითი №1: ნაპოლეონი დაბალი იყო



კარიკატურებზე ნაპოლეონი ტანმოკლე ჯუჯად იყო გამოსახული



ბონაპარტე არ იყო ძალიან დაბალი

ნაპოლეონის სიდაბლეზე ლაპარაკია ლიტერატურულ ნაწარმოებებში, კინოსა და ტელევიზიაში, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ სახელგანთქმული კორსიკელის ჯუჯად მოხსენიება, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია. ნაპოლეონის სიდაბლეზე ინფორმაცია ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გავრცელდა, როცა დამპყრობლური კამპანია წამოიწყო. იმხანად საფრანგეთში პროპაგანდის განსაკუთრებული ინსტრუმენტი იყო კარიკატურა და, სახელდობრ, კარიკატურისტები გამოსახავდნენ ნაპოლეონს დაბალი ტანის პერსონად, ხალხში კი ავრცელებდნენ ხმას, რომ ნაპოლეონის სიმაღლე მხოლოდ 155 სმ იყო.

ისტორიკოსები კი შემონახული წყაროებითა და ნაპოლეონის თანამედროვეთა ნაამბობით ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის იმპერატორის სიმაღლე 169 სმ იყო.

## მითი №2. კლეოპატრა ეგვიპტელი იყო



ეგვიპტის მმართველი ეგვიპტეში არ დაბადებულა

ისტორიული პროცესი ხშირად არ ექვემდებარება ლოგიკის კანონებს, ამიტომ ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც დაფუძნებულია ანალიზზე, არ შეესაბამება სინამდვილეს. სწორედ ასე შეიძლება დავახასიათოთ უმრავლესობის გონებაში გამჯდარი აზრი, რომ ლეგენდარული დედოფალი კლეოპატრა ეგვიპტელი იყო. სინამდვილეში კლეოპატრას უფრო შეიძლება ვუწოდოთ **ალექსანდრე მაკედონელის** თანამემამულე, ვიდრე **ფარაონ რამზესის**.

მომავალი დედოფალი ალექსანდრიაში დაიბადა და პტოლომეუსების დინასტიას მიეკუთვნებოდა. მამამისი იყო პტოლომეუს XII აკლეტი, გვარის დამაარსებელი პტოლომეუს I სოტერი კი ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი სარდალი იყო, მაკედონელის სიკვდილის შემდეგ კი ჯერ მისი მონაცვლე გახდა, შემდეგ — ეგვიპტის მეფე. კლეოპატრა პტოლომეუსების გვარის წარმომადგენელი რომ არის, ამის მტკიცებულებაა იმდროინდელი ეგვიპტური მონეტები, რომლებზეც გამოსახულია დედოფლის პროფილი — ქალი ხუჭუჭა თმითა და კეხიანი ცხვირით, დიდი თვალებითა და წინ წამოწეული ყბით. სწორედ ეს ნიშნები იყო დამახასიათებელი პტოლომეუსებისთვის.

## მითი №3: ნიუტონს მიზიდულობის კანონის აღმოჩენაში დაეხმარა თავზე დაცემული ვაშლი



ასეთი სახალისო ეპიზოდი ფიზიკის ისტორიაში სინამდვილეში არ ყოფილა



თუ ვაშლი ჩამოვარდა, ის ნიუტონს თავში არ დაეცემოდა

შეიძლება ბევრმა ზეპირად არ იცის მსოფლიო მიზიდულობის კანონი, მაგრამ ნიუტონის მიერ მისი აღმოჩენის ისტორია, პრაქტიკულად, ყველასთვის ცნობილია: თითქოს მეცნიერი ვაშლის ხის ძირში იჯდა და მოულოდნელად ჩამოვარდნილი ნაყოფი თავში დაეცა. ამ შემთხვევამ მიიყვანა ფიზიკოსი მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენასთან. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ნიუტონის ბიოგრაფები ამტკიცებენ, რომ მიზიდულობის ძალაზე მეცნიერი გაცილებით ადრე ფიქრობდა, ვიდრე ეს სახალისო ეპიზოდია დათარიღებული. ნიუტონის თავზე ვაშლის დაცემის შესახებ კი არანაირი ცნობა არ არსებობს. ფიზიკოსს შეეძლო, თვალყური ედევნებინა ვაშლის ხის ტოტებიდან ნაყოფის ჩამოცვენისთვის, შემდეგ კი ეს პროცესი მიზიდულობის კანონის ასახსნელ თვალსაჩინო მაგალითად გამოეყენებინა.

## მითი №4: კოლუმბი იყო პირველი ევროპელი, რომელმაც ფეხი დადგა ამერიკის მიწაზე



კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ მის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს

ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიცია ინდოეთისკენ მიმავალი გზის საძიებლად კაცობრიობის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენად იქცა: მან საფუძველი დაუდო დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, მაგრამ აქ არის ერთი სახალისო ფაქტი: მოგზაურმა კი აღმოაჩინა ახალი კონტინენტი, მაგრამ თვითონ მას იქ ფეხი არასდროს დაუდგამს. იმ მიწაზე, რომელსაც დღეს ჩრდილოეთი ამერიკა ჰქვია, კოლუმბი არასოდეს ყოფილა. იქამდე მან, უბრალოდ, ვერ მიაღწია. კოლუმბის ოთხივე ექსპედიცია მხოლოდ კარიბის ზღვის კუნძულებამდე მივიდა, ჩრდილოეთისკენ კი აღარ წასულა.

## მითი №5: ნერონმა რომი გადაწვა



რომი დაიწვა, მაგრამ ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია



ნერონის თანამედროვე ისტორიკოსები უარყოფენ რომის გადაწვის მითს

რომის იმპერატორ ნერონზე რა საშინელებას აღარ ამბობენ. ნერონის მიერ ჩადენილი ცუდი საქმეების უმრავლესობა დასტურდება ისტორიული წყაროებით, მაგრამ არაფერში ჯდება მითი იმის შესახებ, რომ მან რომი გადაწვა, თანაც სიამოვნებით უმზერდა ცეცხლში გახვეულ ქალაქს, ლექსებს ყვებოდა და ქნარზე უკრავდა. ნერონი ქნარზე არ უკრავდა და იმის მტკიცება, რომ რომი მან გადაწვა, ძალიან რთულია. ამ მოსაზრებას უარყოფს რომაელი ისტორიკოსი **კორნელიუს ტაციტუსი,** რომელიც შეესწრო ამ ხანძარს.

მისი თქმით, ნერონმა ყველაფერი გააკეთა ხანძრის გავრცელების შესაჩერებლად. ამას გარდა, ხანძრის შემდეგ, სწორედ იმპერატორის ბრძანებით, გადააკეთეს ქალაქი ისე, რომ მინიმუმამდე შეამცირეს ასეთ უბედურების განმეორება.

## მითი №6: ეგვიპტის პირამიდები მონებმა ააშენეს



პირამიდებს, ძირითადად, თავისუფალი მოქალაქეები აშენებდნენ

ეგვიპტის პირამიდების აშენების საიდუმლოს ამოცნობას ისტორიკოსები დღესაც ცდილობენ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მათ გარშემო უამრავი მოსაზრებაა, თანაც მათი უმრავლესობა მეცნიერებს ჯერ არ უარუყვიათ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო, თუმცა ცოტა ხნის წინათ ამ სიიდან ამოიღეს მტკიცება იმის შესახებ, რომ პირამიდების ასაშენებლად მონებს იყენებდნენ. ცოტა ხნის წინათ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამარხები იმ ეგვიპტელებისა, რომლებიც პირამიდებს აშენებდნენ. როგორც გაირკვა, ისინი იყვნენ თავისუფალი მოქალაქეები და არა მონები. ეს სამარხები არქეოლოგებმა იპოვეს იმ ადგილების ახლოს, სადაც დამარხული არიან დიდგვაროვანი ეგვიპტელები. არც ერთ მონას ასეთი პატივი არ რგებია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

პიროვნება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გიორგის ერთი დავალება მივეცი, რომლის შესრულებას, ჩვეულებრივ, 10 წუთს ანდომებენ. მან ორჯერ ნაკლები დრო მოანდომა. მივხვდი, რომ ჰქონდა პოტენცია, რესურსი, სპორტული ალღო... მაგრამ ძალიან გამხდარი იყო. ორი მეტრისა და ცხრა სანტიმეტრის სიმაღლის ყმაწვილი იმის ნახევარს იწონიდა, რამდენიც, წესითა და რიგით, უნდა ყოფილიყო“**

**ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის პირველობის საფინალო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამ თემაზე საუბრობს ჯამლეტ ხუხაშვილი:**

# ჯამლეტ ხუხაშვილის მადლით გზაგაკვალული

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი მატჩი ჩვენმა გუნდმა ფინეთში გამართა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებს გარანტირებული აქვს გადამწყვეტ ეტაპზე მონაწილეობა, როგორც მასპინძელს (საამისოდ თბილისში სპორტის სასახლეც კი შენდება), ჩვენი კალათბურთელები ყველა თამაშში მოტივირებულები არიან, რათა დაამტკიცონ, რომ შერჩევით ეტაპზე სტატისტების როლით არ კმაყოფილდებიან. ამიტომ მოწინააღმდეგეებთან ყველა შეხვედრა, განსაკუთრებით კი, ფინეთთან, რომლის ნაკრებიც ჩვენს გუნდს გადამწყვეტ მომენტებში ამარცხებდა, ძალების სრული მობილიზებით ჩაატარა. ფინეთის ნაკრებთან მატჩს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — სპორტული და მორალური.

მიყვებოდა ამას სახელგანთქმული კომენტატორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ჯამლეტ ხუხაშვილი** ონლაინ, ანუ დაუსწრებლად, მანქანის საჭესთან იჯდა და ისე. ქალბატონი ევა, მისი კდემამოსილი ცოლი, ხმის ოპერატორისა და რეჟისორის ფუნქციებს ერთდროულად ასრულებდა, და ყველანი შეთანხმებულად მანქანის მართვისას მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვის წესს ვაჟკაცურად ვარღვევდით. ისინი ერთი სპორტული ღონისძიებიდან სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან შეხვედრაზე დასასწრებლად მიიჩქაროდნენ, მე — რედაქციაში ვბრუნდებოდი მასალის ჩასაბარებლად და საკომენდანტო საათის დაწყებამდე ამ ინტერვიუს ჩაწერა უნდა მოგვესწრო. დროის დეფიციტი ხუხაშვილების ყველაზე დიდი პრობლემაა.

**ფინეთთან მატჩი წინა დღეს გაიმართა, თამაში ნანახი გვქონდა და ანგარიში, ცხადია, ვიცოდით, მაგრამ ჯამლეტი კომენტატორის მისთვის ჩვეულ (უნიკალურ) სტილში ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ყურადღებად ვიყავი ქცეული და სიამოვნებით ვიხსენებდი იმ მართლაც საინტერესო შეხვედრის პერიპეტიებს.**

მოკლედ, ის რთული მატჩი მეორედ მოვიგეთ ანგარიშით — 91:85.

**შევეკითხე: — იმ მატჩის გმირი, ბატონო ჯამლეტ, თქვენი აღზრდილი და დაოსტატებული გიორგი შერმადინი იყო, რომლის სანახავად დიდი ხნის წინათ რამდენიმე ადამიანი სპორტის სასახლის პატარა დარბაზში დაგვიბარე. აქედან ხომ არ დაიწყებდით-მეთქი ამ სპორტსმენზე საუბარს?**

**მიპასუხა ასე:**

— დავიწყებ, მაგრამ ჯერ იმას გეტყვით, რომ ჩვენს გუნდს ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლდა, მაგრამ ეროვნული ნაკრების კაპიტანი **თორნიკე შენგელია** დაგვიბრუნდა — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა, კონტრაქტში ჩაწერილი პუნქტის თანახმად, გამოუშვა ამ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად, და მას და გიორგი შერმადინს, ორ ლიდერს, დააწვა შეხვედრის მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა. აქვე შევნიშნავ, რომ ცეესკას არც ერთი ლეგიონერის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის მათი გაშვება თავიანთი ქვეყნების ნაკრებების შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. ერთადერთი გამონაკლისი თორნიკე შენგელიაა.

ფინეთთან მატჩი მაინც შერმადინისთვის იყო გამორჩეული, მიუხედავად იმისა, რომ მან მიგვაჩვია სხვადასხვა შეხვედრაში უმაღლესი დონის ოსტატობის ჩვენებას. ოქტომბრის თვეში ესპანეთის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. ესპანეთის ჩემპიონატი NBA-ს შემდეგ მსოფლიოში უძლიერესად არის აღიარებული.

**— და შენ, ბატონო ჯამლეტ, პირველმა დაინახე ამ მაღალ, გამხდარ, მხრებში ოდნავ მოხრილ და მორიდებულ ყმაწვილში პერსპექტიული კალათბურთელის მონაცემები.**

— დაწვრილებით გეტყვი. 2004 წლის ბოლოს კალათბურთის ფედერაციიდან **როლანდ ხომერიკმა** მირჩია, ყურადღება მიმექცია ნატახტარელი ბიჭისთვის, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში პირველ ნაბიჯებს დგამდა და, პრაქტიკულად, კალათბურთის ანბანს სწავლობდა. ვნახე, მშობლებთან ერთად ვესაუბრე და 31 დეკემბერს სპორტის სასახლეში დავიბარე. კარგი „მასალა“ რომ იყო, მაშინვე შევამჩნიე და პირველ ვარჯიშზე არც მეტი, არც ნაკლები, პირველი იანვრისთვის მივიწვიე. მაგრამ მამამისმა მთხოვა, ტრადიციას ნუ დამარღვევინებ, ახალ წელს ოჯახის წევრები ყოველთვის ერთად ვხვდებით და სხვა დროს გამოვუშვებ, როგორც მეტყვიო. დავეთანხმე და ორი იანვრისთვის დავიბარე. ბედობის დღეს.

**— ფეხბედნიერი გამოდგა.**

— მართლაც კარგად დაებედა ფეხის შემოდგმა სპორტის სასახლის იმ დარბაზში, რომელშიც 60-იანი წლებიდან იზრდებოდნენ ჩვენი სახელოვანი კალათბურთელები.

**— განსაკუთრებული მაინც რა შეამჩნიე ამ ბიჭს?**

— გიორგის ერთი დავალება მივეცი, რომლის შესრულებას, ჩვეულებრივ, 10 წუთს ანდომებენ. **მან ორჯერ ნაკლები დრო მოანდომა. მივხვდი, რომ ჰქონდა პოტენცია, რესურსი, სპორტული ალღო... მაგრამ ძალიან გამხდარი იყო. ორი მეტრის და ცხრა სანტიმეტრის სიმაღლის ყმაწვილი იმის ნახევარს იწონიდა, რამდენიც, წესითა და რიგით, უნდა ყოფილიყო.**

დაიწყო ვარჯიში და ერთ წელიწადში იმდენს მიაღწია, რომ საქართველოს პირველობის ყველა მატჩში, სულ ცოტა, 40 ქულას აგროვებდა. ამას საერთაშორისო ტურნირები მოჰყვა, რომლებშიც ასევე საუკეთესო იყო.

ცალკე პრობლემა იყო წონის მომატება. დიდი მჭამელი არ გახლდათ, წენიანს ისე მი-



**«გიორგი შერმადინი სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა: ნატახტარიდან, მშობლების ოჯახიდან, მიშიკო ხუხაშვილის, ჩემი ბიჭის, ნაჩუქარი მანქანით ჩამოდიოდა თბილისში და საღამოობით კვლავ შინ ბრუნდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ოჯახმა მას თბილისში ბინა დაუთმო. რეჟიმის შენარჩუნება და მუდმივი მზადყოფნა ვარჯიშისა თუ თამაშისთვის ცხოვრების წესად ჩამოუყალიბდა»**

ირთმევდა, როგორც, მაგალითად, ჩვენ შავ ხიზილალას. **ამის გამო სამჯერ გამექცა გუნდიდან — არც ჭამა მინდა, არც კალათბურთიო. მაინც ჩვენი გავიტანეთ და „პანათაიკოსში“ რომ გავუშვით, ბიჭი, რომელიც მანამდე 87 კილოგრამს იწონიდა, 116 კილოგრამზე მეტი იყო.**

დღეში სამჯერ 7-8 საათის განმავლობაში ვავარჯიშებდით მე, ჩემი ბიჭი მიშიკო ხუხაშვილი და დილაობით — ნოდარ ქორქია. ჰყავდა თავისი ექიმი, ჩვენი სკოლის დირექტორის მოადგილე **ინგა ლაფანაშვილი** (ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს. ამჟამად მისი და, ნინო, იმ სკოლის დირექტორია) ყოველდღიურად განსაკუთრებულ კერძებს უმზადებდა. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ ფენომენური სპორტსმენის აღზრდაში გვეხმარებოდა.

**— და არავითარი შური და წინააღმდეგობა?**

— არც უმაგისობა იყო: ზოგიერთი ხმას ავრცელებდა — ჯამლეტ ხუხაშვილმა შეიძლება გააფუჭოს და ჯობია, დროზე გაყიდოს შერმადინი უცხოეთის რომელიმე კლუბში, სადაც საერთაშორისო კლასის კალათბურთელად გაიზრდება. ამაზე ვუპასუხებდი ხოლმე, რომ ქართველი [illegible] ვარ და ვითომ ჩემზე მეტად გიყვართ ფული-მეთქი?! ამას ჯობია, მხარში ამომიდგეთ და ერთად დავამტკიცოთ, რომ დიდი სპორტსმენების გაზრდა ჩვენც შეგვიძლია.

**გიორგი შერმადინი სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა: ნატახტარიდან, მშობლების ოჯახიდან, მიშიკო ხუხაშვილის, ჩემი ბიჭის მანქანით ჩამოდიოდა თბილისში და საღამოობით კვლავ შინ ბრუნდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ოჯახმა მას თბილისში ბინა დაუთმო. რეჟიმის შენარჩუნება და მუდმივი მზადყოფნა ვარჯიშისა თუ თამაშისთვის ცხოვრების წესად ჩამოუყალიბდა.**

ვასწავლიდით ინგლისურს, რომელიც აუცილებლად დასჭირდებოდა დიდ გუნდებში გადასვლის შემდეგ.

2008 წელს მას დიდი პერსპექტივის გზა გაეხსნა.

**— ბატონო ჯამლეტ, თუ არ ვცდები, მანამდეც ჰქონდა გიორგის უცხოეთის მაღალი კლასის ლიგაში გადასვლის შანსი.**

— ჰქონდა. კერძოდ, NBA-ში, მაგრამ ფეხის ტრავმამ შეუშალა ხელი. მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში უნდა ეთამაშა ამერიკის ნაკრების წინააღმდეგ. ჩავედით მემფისში და მაინცდამაინც მატჩის დაწყების წინ, ვარჯიშისას სერიოზულად დაიზიანა ფეხი... იშვიათია ასეთი უიღბლობა.

იმხანად „ნაიკის“ პრეზიდენტს უნდოდა, რომ ეს ახალგაზრდა კალათბურთელი მისი ფირმის სახე გამხდარიყო. მაგრამ ამ სურვილსაც ხაზი გადაესვა. მემფისში მეგზურობას გვიწევდა ჩემი კიდევ ერთი გაზრდილი კალათბურთელი **ვლადიმერ სტეფანია,** რომელმაც NBA-ში რვა წლის განმავლობაში ითამაშა.

**— რომელ განსაკუთრებულ თვისებას შეუქებდით გიორგი შერმადინს, როგორც უკვე ჩამოყალიბებულ, საქვეყნოდ ცნობილ სპორტსმენს?**

— გიორგი შერმადინი უნივერსალური კალათბურთელია. გუნდური სტილის მოთამაშე, იდეალური გადაცემები და ქულების მოპოვების იდეალური უნარი აქვს. ამასთან, ფარიდან ასხლეტილი ბურთების უფრო მეტი ჩამოხსნა შეუძლია, მაგრამ ცოტა დამთმობია, „თავხედი“ არ არის. ამიტომაა, რომ მისი ზონიდან სხვებს მიაქვთ ბურთი — მისი გუნდის მოთამაშეებს. ყოველი თამაშის წინ ვაძლევდი ამ შენიშვნას, მაგრამ... უაღრესად კეთილშობილი პიროვნებაა და ამიტომ პარკეტზე თავისი ზონის მკაცრ პატრონად ვერ გამოიყურება.

**— მაგრამ ეს ხელს არ უშლის, იყოს საუკეთესო საუკეთესოთა შორის. ასეა?**

— რა თქმა უნდა, ასეა... შერმადინმა მრავალი კლუბი მოიარა და ყველგან საუკეთესო იყო, ორჯერ მოიპოვა ევროლიგის ჩემპიონთა თასი. ასეთი წარმატება ქართულ კალათბურთში არავის ჰქონია, თუ არ ჩავთვლით ჩვენს ვარსკვლავ **ზაზა ფაჩულიას,** რომელიც NBA-ს ორგზის გამარჯვებულია. გიორგი ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში რომ თამაშობდა, ყოველთვის საუკეთესო სპორტსმენებს შორის სახელდებოდა. ჯერ კიდევ 3-4 წლის წინათ თვის და სეზონის საუკეთესო კალათბურთელის წოდება დაიმსახურა. ფინეთის ნაკრებთან შეხვედრაში მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ორმოცდაათი იყო, რომელიც ბევრი სპორტსმენისთვის მიუწვდომელი მაჩვენებელია.

**— რომელშიც რა იგულისხმება?**

— ამაში შედის დაგროვილი ქულების რაოდენობა, მოხსნების რაოდენობა, შედეგიანი გადაცემები, ჯარიმების რაოდენობა, რომლებსაც მასთან ბრძოლის დროს იღებს მოწინააღმდეგე. **ფინელი სპორტსმენები ამ შეხვედრაში 17-ჯერ დაჯარიმდნენ. სამივე ტანმაღალი კალათბურთელი 5-5 ჯარიმის გამო გაუგდო მოედნიდან. ვერ ვიტყვი, რომ ფინეთთან თამაში შერმადინისთვის საუკეთესო იყო. უკეთესი შედეგებიც ჰქონია სხვა შეხვედრებში, მაგრამ ფინეთთან მატჩი მისი ბენეფისი იყო. ევროპის მასშტაბით ტურის საუკეთესო მოთამაშედ მოგვევლინა.**

ერთსაც დავუმატებ, რაც, არა მგონია, ბევრისთვის იყოს ცნობილი: გიორგი შერმადინი ოთხი შვილის მამაა. მისი მეუღლეა **ანი ამაშუკელი.** მათ დაოჯახებაში დიდი როლი ითამაშა ჩემმა ცოლმა ევამ.

**— ხანუმა?**

— გეცინებათ, მაგრამ მაჭანკალის როლი შეასრულა ევამ, როცა ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნეს დავით ტატიშვილის კლინიკის 10 წლის იუბილეზე. ანი ექიმია. ბედნიერი და თბილი ოჯახი აქვთ. როგორც ზღაპარშია.

* * *

**გითხარით, რომ ეს საუბარი ონლაინ ჩავწერეთ. ბატონი ჯამლეტი თავის მანქანას მართავდა, ქალბატონი ევა რეჟისორის, ხმის ოპერატორისა და შიგადაშიგ სუფლიორის როლს ერთდროულად ასრულებდა. მე ნათხოვარი მანქანით მივსრიალებდი და ყველანი ერთად უშიშრად ვარღვევდით ავტომანქანის მართვის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობის აკრძალვის წესს.**

**კომენდანტის საათის დაწყებამდე ნახევარი საათი რჩებოდა.**

**მოვასწარით!**

**მაგრები ვართ, არა, ჯამლეტ?**

**არმაზ სანებლიძე**

უცნაური მატჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შობის მეორე დღეს მეომრებმა კვლავ დატოვეს სანგრები და ნეიტრალურ ზოლში ფეხბურთი ითამაშეს. კარის ძელებად გამოიყენეს სარები, რომლებსაც მუზარადები ჩამოაცვეს. ბურთის მაგივრობას კი სხვადასხვა საგანი სწევდა, მაგალითად, კონსერვის ქილა. თითოეულ გუნდში იმდენი კაცი თამაშობდა, რამდენსაც მოესურვებოდა — წესებს იქ არავინ იცავდა.**

ბელგიის ქალაქ იპრში, რომელიც 60 კმ-ით არის დაშორებული ბრიუგეს და ახლოსაა საფრანგეთის საზღვართან, დღეს დაახლოებით 35 ათასი კაცი ცხოვრობს. I მსოფლიო ომის წლებში (1914-1918) იპრი მთლიანად განადგურდა, შემდეგ კი ხელახლაააშენეს. სახელწოდება „იპრი" ბევრს გაახსენებს ე.წ. „მდოგვის აირს" — დიქლორდიეთილსულფიდს — მომწამვლელ ნივთიერებას, რომელიც გერმანელებმა 1917 წლის 12 ივლისს ინგლისელებისა და ფრანგების წინააღმდეგ გამოიყენეს და რომელსაც იპრიტი უწოდეს.

# ომი და... ბურთი

## საშობაო სასწაული

ისტორიის სცენაზე იპრიტის გამოჩენამდე სამი წლით ადრე ქალაქ იპრის გარშემო კოლოსალური დაძაბულობა იყო. I მსოფლიო ომის პირველივე დღეებში გერმანიის არმიამ პარიზზე შეტევა წამოიწყო ბელგიის გავლით. 1914 წლის დეკემბერში პარიზიდან 40 კილომეტრში მდინარე მარნთან ბრძოლის შემდეგ ძლივს შეძლეს გერმანელთა შეჩერება. ამის შემდეგ ანტანტის ჯარების კონტრშეტევა დაიწყო, მაგრამ მალე ორივე მხარეს ბრძოლის გასაგრძელებლად საჭირო რეზერვი ამოეწურა. ქალაქი იპრი აღმოჩნდა ე.წ. იპრის რკალის ცენტრში: ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ის გარშემორტყმული იყო გერმანელი ჯარისკაცებით, მაგრამ თვით იპრსა და ახლომდებარე ტერიტორიებზე გამაგრებულნი იყვნენ ბელგიელი, ფრანგი და ინგლისელი სამხედროები. ძალების ასეთი განლაგება შენარჩუნებული იყო ომის ოთხი წლის განმავლობაში და ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული. ქალაქი დიდ წინაღობას ქმნიდა სტრატეგიული ობიექტების მიმართულებით და იცავდა პა-დე-კალეს სრუტის მნიშვნელოვან პორტებს.

1914 წლის ოქტომბერში ბელგიელები იძულებულნი იყვნენ, რაბებიც კი გაეხსნათ და დაბლობი დაეტბორათ გერმანელთა შეტევის შესაჩერებლად. 22 ნოემბერს გერმანელთა შეტევა შეჩერდა, ომი გადავიდა პოზიციური ბრძოლების სტადიაზე. ჯარისკაცებმა მავთულხლართები გააბეს და სანგრები გათხარეს მოწინააღმდეგის არტილერიისგან თავის დასაცავად, შეტევას კონტრშეტევა ცვლიდა და თითოეული შეტევა-კონტრშეტევის შემდეგ დაპირისპირებული მხარეები ე.წ. ნეიტრალურ ზონაში, მავთულხლართებთან ასობით მოკლულს ტოვებდნენ.

**შობის ღამეს ასიათასობით გერმანელმა, ფრანგმა და ინგლისელმა ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა შეწყვიტა, კაპელანებმა დაიწყეს საშობაო მსახურება.**

1914 წლის 24 დეკემბერს ინგლისელებმა შენიშნეს, რომ გერმანელებმა თავიანთ ტრანშეებზე რამდენიმე ადგილას ტყვიამფრქვევების ნაცვლად ნაძვის ხეები დადგეს და ომის პირობების შესაბამისად მორთეს: სათამაშოების ნაცვლად ვაზნები და ქაღალდისგან გამოჭრილი ფიგურები ჩამოკიდეს, გირლანდები კი ბინტისა და ტელეგრაფის ლენტისგან იყო დამზადებული. მალე ბრიტანელებს შემოესმათ გერმანული საშობაო სიმღერა Stille Nacht-ი. მას ინგლისელთა მხრიდან მოჰყვა ფსალმუნების შესრულება. შემდეგ გერმანელი ჯარისკაცები ნეიტრალურ ზონაში გავიდნენ — ხელში იარაღის ნაცვლად საჩუქრები ეჭირათ. ამის დანახვაზე ინგლისელებმაც მიატოვეს სანგრები და გერმანელების შესახვედრად გაემართნენ სამშობლოდან გამოგზავნილი საჩუქრებით ხელში. იმ ღამით ასიათასზე მეტმა გერმანელმა, ფრანგმა და ინგლისელმა სროლა შეწყვიტა — მათ დროებით დაივიწყეს მტრობა, მიწას მიაბარეს დაღუპულთა ცხედრები, შემდეგ კი ერთად ილოცეს.

**შობის მეორე დღეს მეომრებმა კვლავ დატოვეს სანგრები და ნეიტრალურ ზოლში ფეხბურთი ითამაშეს. კარის ძელებად გამოიყენეს სარები, რომლებსაც მუზარადები ჩამოაცვეს. ბურთის მაგივრობას კი სხვადასხვა საგანი სწევდა, მაგალითად, კონსერვის ქილა. თითოეულ გუნდში იმდენი კაცი თამაშობდა, რამდენსაც მოესურვებოდა — წესებს იქ არავინ იცავდა.**

ერთ-ერთი ასეთი მატჩი მოგვიანებით გაიხსენა გერმანელმა ლეიტენანტმა **იოჰანეს ნიმანმა**, რომლის ჯარისკაცებმაც 3:2 დაამარცხეს ინგლისელები. ინგლისელი **ალბერთ უინის** თქმით კი, სხვა მატჩში შოტლანდიელების გუნდმა პრუსიელები 4:1 დაამარცხა.



გერმანელებისა და ბრიტანელების მატჩი



საშობაო საჩუქრები მოწინააღმდეგეებისთვის



მემორიალი კომინ-ვარნეტონთან

**ამ უცნაურმა საფეხბურთო შეხვედრებმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა მონაწილეებზე, რომ ომის დასრულებიდან ათწლეულების შემდეგ ადგილზე, სადაც ის შეხვედრები გაიმართა, ბელგიის ქალაქ კომინ-ვარნეტონთან, რომელიც იპრის რკალზე მდებარეობდა, ბურთის ძეგლი დადგეს. ეს მსოფლიოში ერთადერთი მემორიალია, რომელთანაც მოაქვთ ყვავილები და ბურთები.**

სხვათა შორის, ამ ომში მონაწილეობდა ბავარიის ქვეითთა პოლკის იმხანად უცნობი, მაგრამ შემდგომ მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებელი ეფრეიტორი **ადოლფ ჰიტლერი.**

## შეტევა „მდოგვის აირით"

იპრის რკალზე პირველად გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერება. 1915 წლის 22 აპრილს იპრთან გამაგრებული ფრანგი სამხედროების პოზიციებზე მოაფრქვიეს 168 ტონა ქლორის მომწამვლელი აირი. დაახლოებით 6 ათასი ფრანგი სამხედრო დაიღუპა, დანარჩენები კი იძულებული იყვნენ, პოზიციები დაეტოვებინათ, რადგან თავს ვერ იცავდნენ (სხვათა შორის, მსოფლიოში პირველი აირწინაღი რუსმა **ნიკოლოზ ზელინსკიმ** გამოიგონა 1915 წლის ბოლოს).

1917 წლის 12-დან 13 ივნისის ღამით კი გერმანელებმა ანტანტის ჯარები დაბომბეს უცნაური ჭურვებით, რომლის შიგთავსიც ტანსაცმელში აღწევდა და სხეულის დამწვრობას იწვევდა. ამ მომწამვლელი ნივთიერებით, რომელსაც იპრიტი უწოდეს და რომელიც ადამიანის დნკ-ს აზიანებს, 3 ათასამდე ადამიანი მოიწამლა, მათგან 87 დაიღუპა, I მსოფლიო ომის დასრულებამდე კი იპრიტმა 400 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საფეხბურთო მატჩი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულმა ჯარისკაცებმა შობის დღესასწაულზე გამართეს, ერთადერთი ნათელი წერტილია იმჟამინდელი ევროპის ცხოვრებაში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





ჯოჯოხეთი დედამიწაზე





# ერდოღანი ახალ სამხედრო ავანტიურას ამზადებს

**ჯერ ჩამცხრალი არ იყო ბრძოლები მთიან ყარაბაღში, სადაც თურქეთმა სირიელი „ბოევიკები“ გადაიყვანა, რომ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მზადება დაიწყო ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტში ჩასართველად.**

გამოცემა India Today-ი წერს, რომ ანკარას განზრახული აქვს, „ბოევიკების“ გაგზავნა ქაშმირში — ინდოეთსა და პაკისტანს შორის საკამათო რეგიონში. ამით ერდოღანი ცდილობს თავისი გავლენის გავრცელებას აზიელ მუსლიმანებზე.

ბერძენი ჟურნალისტი, **ანდრეას მაუნტზურალიასი,** სირიელ ქურთებზე დაყრდნობით წერს, რომ თურქი ოფიცრები ადგენენ სიებს იმ „ბოევიკებისა“, რომლებიც მზად არიან ჰიმალაიში გასამგზავრებლად. თურქები მსურველებს 2 ათას დოლარს სთავაზობენ. ეს ინფორმაცია უარყო თურქეთის ელჩმა ინდოეთში **შაქირ ოზკანმა.**

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს თურქეთი რეგულარულად ერევა სხვა ქვეყნების კონფლიქტებში და ცდილობს თავისი გავლენის გავრცელებას უცხოეთში. ერდოღანმა რამდენიმეჯერ სცადა სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელება, ბოლო კრახით დასრულდა და თურქეთის ლიდერი იძულებული შეიქნა, დახმარებისთვის რუსეთის პრეზიდენტისთვის მიემართა. ამასთანავე, თურქეთმა ლიბიაშიც გადაისროლა ე.წ. ეროვნული მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი „ბოევიკები“.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



# ამერიკელებმა ტრამპს 207,5 მლნ შეუგროვეს არჩევნების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად

**აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, გუნდმა 207,5 მლნ დოლარი შეაგროვა მოქალაქეებისგან, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ჯო ბაიდენმა არჩევნებში პატიოსნად გაიმარჯვა.**

ლიბერალურმა მასმედიამ ჯო ბაიდენი არჩევნებში გამარჯვებულად ხმის დათვლის პროცედურის დასრულებამდე გამოაცხადა. ტრამპი კი, თავის მხრივ, მოითხოვს ხმების გადათვლას, რადგან არჩევნების მიმდინარეობისას ბევრი დარღვევა გამოვლინდა. ფალსიფიკაციას ხელი შეუწყო ფოსტით ხმის მიცემამაც, რაც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების ინიციატივა დაწესდა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული პარტია ბრალდებებს უარყოფს, მოქალაქეთა ნდობა ტრამპისადმი სოლიდური ფინანსური მხარდაჭერით გამოიხატა.

ტრამპის საარჩევნო შტაბის მენეჯერ **ბილ სტეპიენის** განცხადებით, მოქალაქეების მიერ შეგროვებული თანხა ტრამპს საშუალებას მისცემს, „განაგრძოს ბრძოლა კორუფციაში ჩაფლული საარჩევნო პროცესის გასაწმენდად“.

**news.front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# დონალდ ტრამპმა სომალიდან ჯარის უმეტესი ნაწილის გაყვანის ბრძანება გასცა

**აშშ-ის პრეზიდენტმა სომალიდან აშშ-ის ჯარის უმეტესი ნაწილის 2021 წლის დასაწყისამდე გაყვანის ბრძანება გასცა, — იუწყება CNN პენტაგონზე დყრდნობით.**

**„შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავდაცვის დეპარტამენტსა და შეერთებული შტატების აფრიკის სარდლობას 2021 წლის დასაწყისამდე სომალიდან პერსონალისა და აქტივების უმრავლესობის გამოყვანის უზრუნველყოფა დაავალა“,** — ნათქვამია პენტაგონის განცხადებაში.

დონალდ ტრამპი 2021 წლის 15 იანვრამდე ავღანეთიდან და ერაყიდან ათასობით ამერიკელ ჯარისკაცს გაიყვანს.





# ირანული მედია: ფაჰრიზადე დისტანციურად, სატელიტური კონტროლის, ხელოვნური ინტელექტისა და სახის ამოცნობის სისტემის საშუალებით მოკლეს

**ირანული მედიის ინფორმაციით, ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელმძღვანელის მოადგილე სარდმა ალი ფადავმა განაცხადა, რომ მოჰსენ ფაჰრიზადე მოკლეს ხელოვნური ინტელექტისა და სახის ამოცნობის სისტემის საშუალებით.**

ფადავის თქმით, თავდამსხმელები ადგილზე არ იმყოფებოდნენ და თავდასხმის იარაღის მართვა სატელიტური თანამგზავრის საშუალებით განხორციელდა.

**შეგახსენებთ:** ირანელი მეცნიერი მოჰსენ ფაჰრიზადე 27 ნოემბერს მოკლეს. თეირანი მკვლელობაში ისრაელს ადანაშაულებს.



# ფსაკიმ თეთრ სახლში დაბრუნება ვერ მოასწრო, რომ კვლავ შეცდომა დაუშვა

**სკანდალებით ცნობილი ჯენი ფსაკი, რომელიც ახლახან კვლავ დანიშნეს ჯო ბაიდენის მომავალი ადმინისტრაციის პრესსპიკერად, კვლავ ჩაფლავდა.**

ფსაკი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ შეეცადა იმ 6 ქალის შექებას, რომლებმაც მასთან ერთად უნდა იმუშაონ თეთრ სახლში. ფსაკიმ კომპლიმენტები მიუძღვნა მათ, მაგრამ ჯილ ბაიდენის, მომავალი პირველი ლედის, პრესმდივნის ნაცვლად შეაქო სრულიად უცნობი ქალბატონი მსგავსი გვარით.

ამის გამო, როგორც ჩანს, მას უსაყვედურეს, ყოველ შემთხვევაში „ტვიტერში“ გაჩნდა მისი განცხადება, რომელშიც ბოდიშს იხდიდა დაშვებული შეცდომის გამო.

**ren.tv-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაულალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.

წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.




საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894